ბაზიური გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№191 (250) 9-16 ოქტომბერი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# სრულიად საქართველოვ, მოგილოცავ გამარჯვებას!

*დღეს საქართველოში სამუდამოდ დასრულდა შევარდნაძის მახინჯი მმართველობის სისტემა! ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა არაქართულ შავ-ბნელ ძალებზე, რომელიც წლების განმავლობაში უხრავდა გულ-გვამს საქართველოსა და ქართულ საზოგადობას!*

## გაუმარჯოს თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს!

მაშ ასე, აღსრულდა – მეორედ საქართველოს უახლეს ისტორიაში (პირველად ეს მოხდა მაშინ, როცა ქართველმა ხალხმა პარლამენტში ერთსულოვნად აირჩია პოლიტიკური ბლოკი **“მრგვალი მაგიდა”**, ხოლო საქართველოს პრეზიდენტად – ზვიად გამსახურდია!) ხალხმა თავისუფალ არჩევნებში მხარი დაუჭირა კოალიციას **“ქართული ოცნება – ბიძინა ივანიშვილი”** და ყოველგვარი რევოლუციისა და დავიდარაბის გარეშე შეცვალა სააკაშვილის **“ნაციონალური”** ხელისუფლება, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლის განმავლობაში ჭირისა და ვაების მეტი არაფერი მოუტანია საქართველოსა და ქართველი ერისათვის.

არა და, 2003 წელს, შევარდნაძის არაქართული სულისკვეთებითა და ბანდიტიზმით გაჟღენთილი ხელისუფლების ჩამოგდებას და ქვეყნის სათავეში ახალგაზრდა რეფორმატორთა მოსვლას, მიხეილ სააკაშვილის თავკაცობით, მართლაც დიდი იმედით შეეგება სრულიად საქართველო! ამ იმედს კი ამტკიცებდა ის, რომ იუსტიციის ახალგაზრდა მინისტრი მიხეილ სააკაშვილი მართლაც თავგამოდებით ებრძოდა შევარდნაძის კორუმპირებულ ხელისუფლებას, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამხელდა მათ თავგასულობასა და სიხარბეს, მორალისა და ზნეობის დეფიციტს. ხალხი ფიქრობდა, რომ თუ ფინანსურად და მატერიალურად ყოველმხრივ უზრუნველყოფილი მინისტრი ვერ ურიგდება შევარდნაძისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის შავ-ბნელ საქმეებს, მას ქვეყნის ბედი უფრო აწუხებს და არა პირადი გამდიდრებისა და ხელისუფლებას დაუფლების დაუოკებელი სურვილი. მაშინ ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სააკაშვილის **“პატრიოტული”** მოქმედების შეჭმარიტი მოტივი გახლდათ ლტოლვა უმაღლესი ხელისუფლის სავარძლისაკენ და არა საერთო-სახალხო გულისტკივილის გაზიარება...

მაგრამ, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, ქართული საზოგადოება ამჯერადაც **“მოღორებული”** დარჩა და ერთი უბედურება მეორეთი – უფრო ახალგაზრდა და ენერგიული დამანგრეველი სულისკვეთების მქონე არაქართული პოლიტიკური ძალით შეიცვალა. მთავარი მიზეზი კი ჩვეული ქართული პოლიტიკური სიბეცე გახლდათ: **“ოღონდ შევარდნაძე ნუ იქნება და, ვინც გინდა ის მოვიდეს”!**

მოვიდა კიდეც, მოვიდა რეფორმისტული გეგმებით, ხოლო ჩვენი ქვეყნის სირცხვილად ქცეული სახელმწიფო ავტოინსპექციის რეფორმირებამ და მისმა ჩანაცვლებამ პატრულით, საბოლოოდ განუმტკიცა საზოგადოებას ის აზრი, რომ ხელისუფლებაში მოვიდა ქვეყნის ბედით დაინტერესებული **“ნაციონალური მოძრაობა”**!

მაგრამ, თურმე ამაო ყოფილა ხალხის მოლოდინი – მალე დაიწყო **“ტელედაპატიმრებებები”**, რამაც საფუძვლიანი ეჭვი გააჩინა იმის თაობაზე, რომ ეს ძალა ქვეყნის ტრადიციებთან და რელიგიასთან ბრძოლით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე ქვეყნის აღმშენებლობით!

სწორედ მაშინ დაიწყეს სააკაშვილმა და მისმა ნაციონალებმა საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა.

**– პოლიტიზირებული გახადეს პოლიცია, ჯარი და სპეცსამსახურები;**

**– კონსტიტუციის მოთხოვნათა უხეში დარღვევით გააუქმეს ანტიმონოპოლიური სამსახური, რის გამოც საქართველოს ეკონომიკა ერთი მუჭა მონოპოლისტების ხელში აღმოჩნდა;**

**– იურიდიული და სამოქალაქო სახე დაუკარგეს სასამართლოს, პროკურატურას და ხელისუფლების ანტისაზოგადოებრივი და ანტიადამიანური მოღვაწეობის ბრმა იარაღად აქციეს ისინი;**

**– როცა გაძლიერებული სახალხო დიპლომატიის წყალობით გამოიკვეთა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მშობლიურ წიაღში დაბრუნების რეალური კონტურები, სწორედ მაშინ წამოეგნენ სეპარატისტთა პროვოკაციას, გაუაზრებელი დანაშაულებრივი მოქმედებების წყალობით ჩაებნენ უთანასწორო ომში, რაც ქართველ ხალხს სოლიდური მსხვერპლის ფასად დაუჯდა და იურიდიულად გააფორმეს ამ ძირძველი ქართული მიწების საქართველოდან საბოლოოდ მოწყვეტა;**

**– შეუდგნენ უაზრო, მრავალმილიონიანი სამშენებლო პროექტების განხორციელებას, მაშინ, როცა ქართველი ხალხი სიღატაკის ზღვრამდე მიიყვანეს და ქვეყანა მილიონზე მეტ ქართველს დაატოვებინეს, რომლებიც სამშობლოდან გადაიხვეწნენ ლუკმა-პურის საძიებლად. ასეთ დროს მართლაც დიდი უზნეობაა, რომ გაღატაკებული ქვეყნის პრეზიდენტმა საკუთარი ავადმყოფური ფანტაზიის დასაკმაყოფილებლად აიშენოს უზარმაზარი, მაგრამ გემოვნებას აშკარად მოკლებული სრა-სასახლე და ამ უაზრობას რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი მოახმაროს;**

**– ღიად, დაურიდებლად ხვრეტდნენ უდანაშაულო ახალგაზრდებს, დღისით-მზისით, შუა ქალაქში, ხოლო სანდრო გირგვლიანის მხეცური მკვლელობა “სამართალდამცავების” მიერ, სცილდება თვით შუასაუკუნოვანი კანიბალების ფანტაზიასაც კი;**

**– დაამკვიდრეს პატიმრების საშინელი წამება-დამცირება ციხეებში, რათა დაეშინებინათ საზოგადოება და დაეთანხმებინათ ისინი ნებისმიერ საპროცესო გარიგებაზე, რაც ქვეყნის ბიუჯეტის შევსების უმთავრეს წყაროდ აქციეს სააკაშვილმა და მისმა ბანდამ;**

**– ხელაღებით გაყიდეს ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები, მიწები კი კაპიკებში გაასხვისეს გადამთიელებზე, როთაც დააასუსტეს და დააძაბუნეს ერთ დროს საბჭოთა კავშირში შემადგენლობაში მყოფი ძლიერი საქართველოს ეკონომიკა;**

**– ცხრაკლიტულში მოაქციეს თავისუფალი სიტყვა, უკანონოდ დაეუფლნენ რამდენიმე კომერციულ ტელეარხს, ბიუჯეტის ხარჯზე არსებული საზოგადოებრივი მაუწყებელი კი დაურიდებლად ამოიდეს საჯდომის ქვეშ და საკუთარი “წარმატებების” გაჟღერების მთავარ ტრუბადურად აქციეს;**

**– სიცრუე და პირფერობა ცხოვრების წესად უქციეს მუდამ ჭეშმარიტების მოტრფიალე ქართველ ხალხს;**

**– ლამის საბოლოოდ გაანადგურეს და ამოძირკვეს განათლება, კულტურა, მეცნიერება, ქართულ საზოგადოებას კი, ძალის გამოყენებით, თავს მოახვიეს სუროგატული დასავლური ღირებულებები;**

**– სიყალბედ აქციეს მუდამ პროგრესისაკენ სწრაფვის მქონე ქართველი ხალხის ყოფა;**

**– ქვეყნის დატოვება აიძულეს ჭეშმარიტ მამულიშვილებს, დიდ ხელოვნებს, მეცნიერებისა და თავისუფალი შემოქმედების კორიფეებს და გზა გაუკაფეს უხამსობასა და უნიჭობას;**

**– განზრახული ჰქონდათ საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანა, რაც რეაქციონერ სომეხთა მრავალსაუკუნოვანი განაზრახი გახლდათ და ითვალისწინებდა თბილისის სომხურ ქალაქად გამოცხადებას. ეს კი საქართველოს შუაში გაწყვეტას ნიშნავს;**

**– ყოველი დონის არჩევნების თავხედურად, ძალის გამოყენებით გაყალბებით საბოლოოდ გადაუწურეს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას თავისუფალი და ობიექტური არჩევნების ჩატარების იმედი;**

**– სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებლურ რელიგიურ მრწამსს, ეკლესიის წიაღი გაავსეს პოლიტიკანი მღვდელმსახურებით, რომლებიც დითირამბებს უმღერდნენ გათავხედებულ ნაციონალებსა და მათ ნეტარდიმილიან ბელადს...**

ბოდიშს მოვიხდი ჩვენი მკითხველის წინაშე, თუ მთელი იმ სიბოროტისა და უსგავსოების ჩამოთვლა ვერ მოვახერხე, რაც ბედკრულ საქართველოში აშკარად არაქართულმა ნაციონალურმა ძალამ დაამკვიდრა, რადგან ყველა სიბოროტის ჩამოთვლას ერთი სქელტანიანი წიგნიც კი ვერ დაიტევს!

და ეს ყველაფერი თავიდანაა დასაწყები, თავიდანაა გასააზრებელი, თავიდანაა გასაკეთებელი!

თურმე, ოცი წელიწადი ტყუილად გვიცხოვრია, სიცრუესა და პირმოთნეობაში გვიარსებია, გვეგონა წინ მივდიოდით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მყარი ნაბიჯებით ვიხევდით უკან-უკან.

## ამიტომ, კიდევ ერთხელ მოგილოცავთ საქართველოში აწ უკვე ავადსახსენებელი ნაციონალებისა და მათი ბელადის მიხეილ სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის უსახელოდ დასრულებას!

დღეიდან ჩვენ ნამდვილად აღარ გვცალია შევარდნაძის, სააკაშვილის, ბოკერიას, ადეიშვილის, თავხელიძის, თაქთაქიშვილის, წიკლაურის, ოჩიაურის, ხერხეულიძის, კუბლაშვილის და სხვა გათავხედებული ნაციონალების კრიტიკისა და მათი ავი საქმეების განქიქებისათვის, რადგან საქართველოა იმ ჩიხიდან გამოსაყვანი, სადაც იგი სააკაშვილის ეთნიკურად, რელიგიურად და სულიერად აშკარად არაქართულმა ხელისუფლებამ შეიყვანა. და ეს უნდა გაკეთდეს სწრაფად, მთელი მონდომებით, რადგან საქართველო დღეს მძიმედაა ავად და თუ ავადმყოფს დროულად არ აღმოვუჩინეთ დახმარება, იგი შესაძლოა ხელში ჩაგვაკვდეს!

დღეიდან ჩვენ მხოლოდ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესებში უნდა ჩავერთო, მუდამ ხელი უნდა გვეჭიროს ქვეყნის მაჯისცემაზე, შევაქოთ კარგი და ელვის სისწრაფით ვამხილოთ ყოველივე ის მანკიერი, რაც მემკვიდრეობით დაგვიტოვა ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის ხელისუფლებამ.

დღევანდელი ჩვენი საზოგადოების პრობლემა კი ის გახლავთ, რომ მკვეთრმა ოპოზიციურმა განწყობამ იმდენად ძლიერი კრიტიკული მუხტი შემოიტანა ჩვენს შემეცნებაში, რომ საკმაოდ გვიჭირს სხვა ჟანრში საქმიანობა. მაგრამ, სხვებთან ერთად, ჩვენც ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოთ, როგორც მეოთხე ხელისუფლებამ, დაურიდებლად უნდა ვამხილოთ ის უწმინდური ძალაც, რომელიც, უეჭველია, **“ქართულ ოცნებასაც”** ფარულად შემოჭყვება ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე...

ქვეყანას უანგარო სამსახური სჭირდება, რომელსაც მას ვერასოდეს გაუწევენ სისხლისმწოველ ტკიპებად ქცეული ნაციონალები და სააკაშვილი. ჯერ კიდევ 2000 წელს, ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია** თავის წერილში **“რამ დაგვღუპა, რა გადაგვარჩენს?”**, წერდა: **“ადამიანი თანამდებობაზე სამი მიზეზის გამო მიდის: საკუთარი შეხედულებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელფასის მიღებისათვის, ქრთამის აღებისათვის”.**

**ეს** უკანასკნელი ორი ფაქტორი ხარბთა და გაუმაძღართა ანგარების რექვიემი გახლავთ, რომელიც, როგორც წესი, არავისათვის არ მთავრდება სასიკეთოდ. რაც შეეხება პირველ პუნქტს, დღეიდან ყოველი ქართველი უნდა ეცადოს საკუთარი შეხედულებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციას, რადგან სხვა შემთხვევაში ქართველი ხალხი მუდამ დარჩება არშემდგარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მკვიდრად.

აქედან საბოლოო გაქრობამდე კი ერთი ნაბიჯია!

მაგრამ ქვეყანა გადაგვირჩა – ბუნების ძალამ ამჯერადაც არ შეგვაქცია ზურგი, მაგრამ თუ კვლავაც მკლავზე ძილი გავაგრძელეთ და საკუთარი საქმე ჩვენვე არ ვაკეთეთ, ღმერთიც ზურგს შეგვაქცევს და ბუნებაც, რადგან – ერთი შეცდომა შეცდომაა, მეორე შეცდომაც შეიძლება შეცდომად ჩავთვალოთ, მესამე შეცდომა კი მხოლოდ ბრიყვს მოსდის და ვაი თუ, ერთხელაც ჩვენმა სიბრიყვემ და გულარხეინობამ გადაგვიყოლოს!

# მოგზაურობანი

**გთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და ეთნოგრაფის თედო სახოკიას წიგნის იმ ნაწილიდან, რომელიც აფხაზეთის გლეხობის ყოფას აღგვიწერს მე-19 საუკუნეში.**

## სამურზაყანო

***ოჩამჩირე – კარი სამურზაყანოსი. მისი წარსული და აწმყო. სიმინდით ვაჭრობა. ოჩამჩირის ბზა. ოჩამჩირის სკოლა. ქურდობა და მთავრობის ღონისძიებები მის მოსასპობად.***

სოფლიდან ნაკლებად შემოტანილი სანოვაგის მიზეზი თუა, რომ აქაურ სამიკიტნოში ასე მამა-სისხლად იყიდება საჭმელ-სასმელი. მერე ისიც რა: მოუხარშავი ფქვილის ღომი, ხუთი წლის ტარანი ანუ მისი დაი – ფარგა, **"ბოჭკის"** ყველი, **"ადესის"** ღვინო. აი, აქაური სამიკიტნო რით უმასპინძლდება მის ანაბარა დარჩენილ ადამიანებს.

ოჩამჩირე ვაკეზეა გაშენებული, გარშემოც ჭაობები არტყია. ეს გარემოება აქაურ ჰავას ციებ-ცხელებიანსა ჰხდის. ციება აქ იცის ზაფხულობით, მაგრამ ეს უკანასკნელი ხანი, რაც ოჩამჩირეში თხრილები გაჭრეს და ზოგან ჭაობები დაშრა, ციებამაც იკლო. წლეულ, მაგალითად, სხვა წლებთან შედარებით, ნაკლებად იყო ციება. ზაფხულობით, ყოველდღე, ჰქრის ზღვიდან გრილი ქარი, რომელსაც **"ზღვაურს"** ეძახიან. ეს ქარი სიცხეს ძალას უკარგავს.

**"რუსთა საზოგადოების"** საფოსტო გემები აქ ზაფხულობით კვირაში ექვსჯერ შემოდის – სამჯერ რუსეთიდან მომავალი და სამჯერაც – ბათუმიდან. ფოსტის მოსვლის დროს ოჩამჩირის ნირშეუცვლელი ცხოვრება ფერს იცვლის ხოლმე, ამოძრავდება.

რა თქმა უნდა, ფრიად დიდ წარმატებაში შევა დაბა ოჩამჩირე, თუ მალე გამართლდა ხმები აქეთკენ რკინიგზის ხაზის გაყვანის შესახებ: იმასაც ამბობენ, ოჩამჩირეზე ექვსი კილომეტრის მანძილის სიშორეს კაცი არაფრად არ ჩააგდებს, თუ კი როდესმე მართლაც ეღირსა აქაურებს ამხელა ბედნიერება.

ოჩამჩირეს აქვს შემდეგი სახელმწიფო დაწესებულებანი: კოდორის ნაწილის უფროსის კანცელარია, სასამართლო, ფოსტა-ტელეგრაფი და საბაჟო. გარდა ამათი, არსებობს აფთიაქი, ჰყავს თავისი ექიმი და ფერშალი.

თვალსაჩინო ნაკლს აქაურ ცხოვრებისას შეადგენს ერთი, თუნდა მცირედი წიგნთსაცავის უქონლობა. ახალმოსულმა ადამიანმა ორი ან სამი საათის შემდეგ არ იცის, რა ჰქნას, ისე მოეწყინება აქ ყოფნა. წამლად ერთი გაზეთის შოვნა არ შეიძლებოდა. მართალია, აქაურ ყავახანაში მისდით ბათუმის რუსული გაზეთი **"შავი ზღვის უწყება"**, მაგრამ ისე არ შეგიძლიათ წაიკითხოთ ეს, უკაცრავად პასუხია, გაზეთი, რომ ბრაზისგან თავი შეიკავოთ. ნომერი ისე არ გამოვა ამ გაზეთისა, რომ რაიმე უშვერი თრევა-ლანძღვა და უგვანო ჭორიკანული ცილისწამება არ იყოს საქართველოს შესახებ.

ოჩამჩირელები ზრუნვას შეუდგნენ კიდეც ამ ნაკლის ასაცილებლად. გამართეს ხელის მოწერა, თხუთმეტიოდე თუმანს მოუყარეს თავი და, ის იყო, საქმეს უნდა შესდგომოდნენ, რომ ჰაი არა, ხელის შემშლელი გამოტყვრა ამ საშვილისშვილო საქმისა. ოჩამჩირელთ უნდოდათ, რომ მომავალ წიგნსაცავში რუსულ წიგნებთან ერთად ქართული წიგნებიც ყოფილიყო, რადგან უმეტესი მოთხოვნილება აქ ამ უკანასკნელზედაა. ცნობილმა ბორ. ხორავამ აქაც გაურია თავისი ხელი. არავინ იცის რა მანქანებით, და ნებართვა გამოიტანა ისეთი წიგნსაცავის გახსნისა, სადაც ერთი ქართული წიგნი არ უნდა ყოფილიყო. ამ მოგროვილ ფულსაც, ცოტას გაწყდა, თავისი აზრის აღსასრულებლად არ დაეპატრონა. ოჩამჩირელებმა მაშინათვე განზე დაიხიეს.

ამგვარად, ჯერ-ჯერობით საქმე შეჩერებულია. ხოლო, ოჩამჩირელნი უწიგნოდა რჩებიან, ვინ იცის, როდემდე! მერე ისეთ დროს, როცა ყველგან წიგნთსაცავები იხსნება, ხალხი განათლებაში დგამს ფეხსა, თვალს ახელს, ჭკუას იკრეფს... როცა, წიგნების შემწეობით, ყველა ცდილობს მოყვარე მტრისაგან გაარჩიოს, კარგი – ავისაგან; როცა ცდილობენ, თავის მრავალფეროვან გაჭირვებას მალამო რამე დასდონ, წელმოწყვეტილი სიცოცხლე გაიამონ, გაიუმჯობესონ.

სამართლიანად თავი მოაქვს აქაურებს თავიანთი სკოლითა. მშვენიერი ექვსთვალიანი ქვითკირის შენობა სკოლისა, ოჩამჩირის გამოჩინებულ ადგილასა დგას, და შორ მანძილიდან პირველად ეს სკოლა ხვდება კაცს თვალში. მაგრამ რომ იტყვიან **"გარედან მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდან – მოყვარესაო"**, სწორედ ამ სკოლაზე ითქმის, როგორც მკითხველი ქვევით დაინახავს.

აშენებულია ეს სკოლა 1885 წელს ოჩამჩირელების ხარჯით. სულ დაუჯდათ მისი აშენება აქაურებს 9.000 მანეთი.

მას აქეთ სკოლის შენახვა აქაურებს ყოველწლივ უჯდებათ 2.200 მანეთი, სახელდობრ: ორს, საგნების მასწავლებელს – 900 მანეთი, მებაღეს (სკოლას სამეურნეო განყოფილებაცა აქვს) – 480 მანეთი, 150 მანეთი – საღმრთო სჯულის მასწავლებელს, 200 მან. – ქალთა განყოფილების მასწავლებელ ქალს, 100 მანეთი წიგნსაცავისათვის არის გადადებული და დანარჩენ 370 მანეთსა სხვა წვრილმან საჭიროებას (მოსამსახურე, გათბობა და განათება და სხვა) ანდომებენ.

კურსი ამ სკოლისა გრძელდება 3 წელიწადი, თუმცა 2-კლასიან ნორმალურ სასწავლებლად ითვლება. საგნებს მარტო რუსულ ენაზე ასწავლიან. შიგა სწავლობენ მეგრელები და აქა-იქ აფხაზი ბავშვები.

მაგრამ ამოცანად რჩება ის გარემოება, თუ რას ასწავლიან ამ სამი წლის განმავლობაში. წლეულ აქ კურსდამთავრებულებ ოთხ ბავშვთაგან ერთი სოხუმის სამთო სკოლაში მისაბარებლად მიიყვანეს: რის ვაი-ვაგლახით მესამე განყოფილების ეგზამენი დაიჭირა იმ სასწავლებელში, რომლის სამ განყოფილებას ოჩამჩირის სკოლის სამი განყოფილება თავისი პროგრამით თუ არ აღემატება, არ ჩამოუვარდება. სოხუმის ამავე სამთო სკოლაში ოჩამჩირის სკოლაში კურსდამთავრებულებთან ერთად ეგზამენს იჭერდნენ სოხუმის სამრევლო სკოლაში (სამი წლის კურსია) კურსდამთავრებული 3 შეგირდი და სამივე ჩინებულად მომზადებულნი გამოდგნენ 1 კლასში შესასვლელად.

სანუგეშოა განა, რომ ისეთმა ყმაწვილმა, რომლის აღზრდა ოჩამჩირელთ 520 მანეთი დაუჯდათ და რომელიც 3 წელიწად დროსა ჰკარგავს, სოხუმის სამთო სკოლა რა არის, იმის 1 კლასის ეგზამენიც ვერ დაიჭიროს!.. საგულისხმოა ეს ფაქტი, და **"ვისაც ყურნი ახვნენ სმენად, ისმინონ"**.

ზევითა ვთქვით, რომ ოჩამჩირელნი აქაური სკოლის წიგნსაცავისათვის ყოველწლივ ათ თუმანს იხდიანო. არც ეგ არის მცირედი ფული. ქება და დიდება ოჩამჩირელთ, რომ ამის გაღებასაც ახერხებენ! გარნა ის, რასაც თვითონ იკლებენ, ის წვითა და დაგვით მონაგარი ფული აღწევს თავის დანიშნულებას? აბა ვნახოთ ესეცა.

ამ სკოლის წიგნსაცავის მთელი **"ავლა-დიდება კატას აეკიდება"**. მარტო ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა არსებობს, ღარიბი, ისიც ნახევარზე მეტი **"ცირკულარებითაა"** სავსე. საბავშვო საკითხავი წიგნები სრულიად არ არის. ჯერ არავის უნახავს, რომ ოჩამჩირის სკოლის შეგირდს სახელმძღვანელოს გარდა სხვა რამე საკითხავი წიგნი სჭერიდეს ხელში, სკოლიდან გამოტანილი.

რა თქმა უნდა, ვერცერთ ოჩამჩირელს ვერავინ დაუშლის თავისთავს მაინც ჰკითხოს: მისი ღარიბ ჯიბიდან ამოღებული ფული სკოლის წიგნსაცავს როგორა და რამდენად ხმარდება?.. იმის ნება კი, მგონი აქვს, ამ კითხვაზე პასუხი მიიღოს.

ოჩამჩირელთა და ოჩამჩირის სკოლის ზედამხედველს შორის კარგა ხანია ატეხილია უსიამოვნება ამ სკოლის ბედ-იღბლის ასე უკუღმართად წასვლის გამო. გამოძიებაც არის დანიშნული. რა თქმა უნდა, ოჩამჩირელთ თუ კი 9.000 მანეთის ერთხანად დახარჯვა შეეძლოთ სკოლისათვის და იმავე საგნისათვის ყოველწლივ 2.200 მანეთის გაღება არ ემძიმებათ, არც ის უნდა გაუჭირდეთ, რომ თავიანთ ერთადერთ სკოლას გონივრულად გაუძღვნენ და ეცადონ მოსპონ მიზეზი მისი წარმატების ხელის შემშლელი.

ერთნაირი საშუალებაა შემოღებული აქეთკენ, ვითომდა მოსასპობად ქურდობისა: როცა ვინმეს ცხენს ან სხვა ოთხფეხ საქონელს მოჰპარავენ, მთელი სოფელი, სადაც საქონელი დაიკარგა, ვალდებულია, დანაკარგი უზღოს პატრონსა. მეგრელების ერთმა სოფელმა აძვიუბამ, რომლის მეზობლად რუსები სახლობენ, 3 წლის განმავლობაში ამნაირი ფული 15.000 მანეთი გადაიხადა. კომლზე ყოველ წლივ უწევს 5 მანეთი.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

## ალექსანდრე ანქვაბმა და ლეონიდე ლაკერბაიამ მონაწილეობა მიიღეს მე-11 საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმში "სოჭი-2012".

როგორც საინფორმაციო სააგენტო **"აფსნი პრესი"** იუწყება, აფხაზეთის პრეზიდენტის საინფორმაციო სამმართველოდან მიიღეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა და პრემიერ-მინისტრმა ლეონიდე ლაკერბაიამ მონაწილეობა მიიღეს მე-11 საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმში **"სოჭი-2012"**.

ინფორმაციის შესაბამისად, რომელსაც ასევე ავრცელებს სააგენტო ИТАР-ТАСС-ი, ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერები დიმიტრი კოზაკი და ოლგა გოლოდეცი, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ნიკოლოზ ნიკიფოროვი, ტრანსპორტის მინისტრი მაქსიმე სოკოლოვი, რეგიონთა ხელმძღვანელები, დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები და რუსეთის და უცხოეთის ბიზნეს-წრეების ხელმძღვანელები.

მე-11 საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმში **"სოჭი-2012"** რეგისტრაცია გაიარა რუსეთის ფედერაციის 55 ქალაქისა და რეგიონების 7.200 წარმოგზავნილმა დელეგატმა და 40 ქვეყნის წარმომადგენელმა კომპანიამ. როგორც ფორუმის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ამ საქმიან შეხვედრაში მონაწილეობდა სულ 8.600 ადამიანი, რომელთა შორის 600 დელეგატი ევროპისა და აზიის ორმოცამდე ქვეყნიდან იყვნენ მოვლენილი. აქვე ჩამოვიდნენ სხვადასხვა დიპლომატიურ მისიათა წარმომადგენლები. ფორუმმა სტარტი აიღო საქმიან საუზმეზე, რომელიც რუსეთის შემნახველმა ბანკმა გამართა ეგიდით: **"კონკურენციის არქონის პირობებში კარგად გვძინავს, მაგრამ ცუდად ვცხოვრობთ!"**

მე-11 საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმის **"სოჭი-2012"** მუშაობაში მონაწილეობა მიიღო რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა დიმიტრი მედვედევმა, რომელმაც გააკეთა მეტად საინტერესო მოხსენება შერეული თუ ერთი პროფილის მქონე კომპანიების კონკურენტუნარიანობის შემდგომი გაძლიერებისთაობაზე **"კონკურენტუნარიანობა – განვითარება თუ სიცოცხლისუნარიანობა"**, რომლის შემდეგ გაიმართა პოლემიკა თემაზე **"გახსნილი რეგიონები"**.

პრეზიდენტის პრესსამსახურში გვაცნობეს, რომ აღნიშნული ფორუმის ძირითადი თემა გახლდათ რუსეთის რეგიონების ეკონომიკის და კომპანიების კონკურენტუნარიანობა, ინვესტიციების როლი წარმოებათა ტექნოლოგიური მოდერნიზაციისა და თანამედროვე წარმოებების შექმნის საქმეში. განსაკუთრებული აქცენტები კეთდებოდა კონკურენტული გარემოს განვითარებაზე, საინვესტიციო აქტივების გამართულ მოძრაობაზე, ინოვაციების ხელშეწყობაზე, საქმიანი კლიმატის გაუმჯობესებაზე, ადამიანური კაპიტალის შემდგომ განვითარებაზე, რაც იმით დასრულდა, რომ მიღებული იქნა რუსეთის ეკონომიკის განუხრელი ზრდის მოდელის პროექტი.

დისკუსიის – **"გახსნილი რეგიონები"** – მიმდინარეობისას, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქალაქ მოსკოვის მერი სერგეი სობიანინი, მინისტრები, სხვადასხვა კომპანიათა ხელმძღვანელები ძირითადად დაისვა რუსეთის რეგიონებისა და ქალაქების ბიზნეს-კლიმატის გაუმჯობესების მიმართულებათა შემუშავების საკითხი.

გასულ წელს, ანალოგიური ფორუმის მუშაობის პროცესში გაფორმდა 105 საქმიანი შეთანხმება საერთო თანხით 457,1 მილიარდი რუბლი. ფორუმის სპეციალურ სტენდზე გამოფენილი იყო 139 რუსული და უცხოური ექსპონატი. ფორუმის პავილიონის შენობაში, რომელიც გაშლილი გახლდათ 15 ათას კვადრატულ მეტრზე, მუდამ ხალხმრავლობა იყო. ფორუმის დამთავრების საზეიმო სხდომაზე გამოსული მომხსენებლები ერთხმად აღნიშნავდნენ მითითებული ღონისძიების სარგებლიანობაზე და პირობას სდებდნენ, რომ აქედანვე დაიწყებდნენ მზადებას მომავალ ფორუმში უფრო მეტად ნაყოფიერი მონაწილეობისათვის.

# ცოცხით გამოხვეტილი ვარდები და არჩევნებისშემდგომი მწარე ფიქრები...

დამთავრდა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა კოალიცია **"ქართულმა ოცნებამ"**. განუზომელი იყო სრულიად საქართველოს სიხარული – ხალხი ქუჩებს მოედო, მთელი ღამე ზეიმობდნენ. რაოდენ უნდა ეზიზღებოდე საკუთარ ხალხს, რომ შენმა დაცემამ (არა – ზნედაცემულობამ) საზოგადოება ესოდენ აღაფრთოვანოს.

მოკლედ, **"ქართულმა ოცნებამ"** დამაჯერებლად გაიმარჯვა **"ნაციონალებზე"** და უმრავლესობით შევიდნენ პარლამენტში, რაც შემდგომ წინსვლას და განვითარებას უქადის ქვეყანას. და რაც მთავარია, უკვე დადებითი მესიჯები წამოვიდა რუსეთიდან, რომლის კეთილი ნების გარეშე გამორიცხულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. როგორც წინა ნომრებში ვწინასწარმეტყველებდით, მიხეილ სააკაშვილმა და მისმა ნაციონალებმა მეორე პლანზე გადაინაცვლეს, მალე კი პოლიტიკურ სანაგვეზე აღმოჩნდებიან...

სააკაშვილმა აღიარა ივანიშვილის გუნდის გამარჯვება,მაგრამ არ მიულოცნია იგი პოლიტიკური მეტოქისათვის,როგორც ამას ღირსეული ადამიანები აკეთებენ. მაგრამ რომელ ღირსებაზე უნდა ელაპარაკო სააკაშვილს და მის ხროვას, რომლებიც გულ-გვამს უხრავდნენ საქართველოს და უფსკრულისაკენ მიაქანებდნენ ჩვენს სამშობლოს...

სააკაშვილი და ნაციონალები კი ხამუშ-ხამუშ,რის ვაი-ვაგლახითა და წვალებით აღიარებდნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა გამარჯვებას, უფრო სწორად, მათ დრო გაჰყავდათ, რათა კიდევ ერთხელ გაეყალბებინათ არჩევნები,რადგან სწორედ სიყალბით ინარჩუნებდნენ ისინი ადგილებს საქართველოს ხელისუფლებაში. მაგრამ ვერ მოახერხეს გაყალბება დამკვირვებლებისა და თვით საზოგადოების პრინციპული პოზიციის გამო, ვერ მოახერხეს იმის გამო,რომ ქართულმა საზოგადოებამ მტკიცე ნება გამოავლინა, უცხოელებმა კი აიძულეს სააკაშვილი კიდევ ერთხელ მოესხა **"დემოკრატის"** მანტია და ეღიარებინა საკუთარი დამარცხება, როგორც ეს ნამდვილ დემოკრატიულ ქვეყნებში ხდება.

როცა წინასაარჩევნო ეკზიტპოლები გამოცხადდა, სადაც **"მეოცნებეთა"** გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, სააკაშვილმა ჩვეული უტიფრობით განაცხადა: **"პარტიული სიებით არჩევნები "ქართულმა ოცნებამ" მოიგო, მაჟორიტარებს კი ჩვენ ვიგებთ და უმრავლესობით შევალთ პარლამენტშიო"**. სიმართლე გითხრათ,არავის გაკვირვებია სააკაშვილის ამგვარი არაადექვატური განაცხადი, რადგან სწორედ სააკაშვილმა განაცხადა 2008 წლის პროვოკაციული ომის დამთავრების შემდეგ: **"ამ ომში ჩვენ სასტიკად დავამარცხეთ რუსეთიო"**! კიდევ ერთხელ გაბრიყვდა მაშინ ქართული საზოგადოება, დაუჯერა სააკაშვილს და შედეგად მიიღო საქართველოდან იურიდიულად მოწყვეტილი აფხაზეთი და სამაჩაბლო.

და რაც ყველაზე უფრო შეურაცხმყოფელია ქართველი ერისათვის, **"გამარჯვების ზარს"** არისხებდა ის კურდღელივით მხდალი **"მხედართმთავარი"**, გორში გუთნად რომ გადაიქცა და ცხვირით ახნა ქართლის ყამირი, ქვასავით მყარი ნიადაგი. აქვე ვიტყვით, რომ ერთხელ თუ მოგატყუებენ, შეგიძლია საკუთარ გულუბრყვილობას და მიამიტობას დააბრალო, მეორედ რომ მოგატყუებენ, შეგიძლია მომტყუებლის ვერაგობას დააბრალო,მესამედ რომ მოგატყუებენ, საკუთარ სისულელეს უნდა დააბრალო...

**"მეოცნებეთა"** დამაჯერებელი გამარჯვება განაპირობა ქართველი ერის სიფხიზლემ,მისმა მობილურობამ,საზოგადოების მადალმა მოქალაქეობრივმა შეგნებამ,რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო გადარჩა განადგურებისაგან. მაგრამ საქართველოს ყველა რეგიონი ამ შეგნებით მიუდგა საქართველოში წარსულის მახინჯ რუდიმენტად შემორჩენილ ნაციონალების და მათი ბელადის, დიქტატორ სააკაშვილის პოლიტიკური ყოფნა-არყოფნის საკითხს?

**სამწუხაროდ – არა!**

არჩევნები სრულიად საქართველოში იმ შედეგით რომ დამთავრებულიყო,როგორიც სამეგრელოში დამთავრდა, ნაციონალები კვლავაც გაიხანგრძლივებდნენ თავიანთ არსებობას ხელისუფლების სათავეში, რაც საქართველოს, როგორც სახელმწიფოს გარდაცვალების ტოლფასი იქნებოდა! არ ვიცი, მესამედ მოტყუებულ სამეგრელოს მართლა ატყუებს ვინმე თუ თავად იტყუებს თავს...

იმასაც კი ამბობენ (და ეჭვსაც არ იწვევს) რომ სამეგრელოს რიგ რაიონებში გაყალბდა არჩევნები **"ნაციონალთა"** სასარგებლოდ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ესა თუ ის დეპუტატობის კანდიდატი ვერასოდეს შეძლებს არჩევნების გაყალბებას თანამდგომთა დახმარების გარეშე. მაგრამ, ნუთუ სამეგრელოში შეიძლება იყოს იმდენი გამყალბებელი, რომელსაც სრულიადაც არ აწუხებს ქვეყნის ბედი და შიშით თუ ანგარებით ატანილი ემხრობა ბნელეთიდან აღმოცენებულ სატანას?

მურთაზ ხურცილავას, გურამ ოდიშარიას, ირაკლი ალასანიას, სხვა ღირსეულ ქართველებს რომ შეაქცევ ზურგს და სადიზმით გამორჩეულ ნაციონალ კაციჭამიებს ამოუდგები მხარში, ეს უკვე საზოგადოების პოლიტიკურ სხეულში ღრმად გადგმულ დაავადებაზე მეტყველებს!

მე ამგვარ ხალხს პატივს ვეღარ ვცემ. მე მხოლოდ ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა მაიძულებს ერთგულად ვემსახურო ჩემს საზოგადოებას, მაგრამ ვერაფერი ძალა ვერ მაიძულებს პატივი ვცე უღირს ადამიანებს.

ნაციონალებისა და სააკაშვილის საქართველოს ხელისუფლებაში შემოთესვლიდან ცხრა წლის განმავლობაში ალბათ მეც ხშირად ჩამომიშვია ხელი, რადგან ვხედავდი, თუ როგორ ურიგდებოდა ჩემი ხალხი მმართველი ძალის სიცრუეს, ფარისევლობას, პირფერობას, ქურდობას, სხვა მანკიერებებს... მაგრამ, შემიძლია განვაცხადო, რომ საბოლოოდ არასოდეს შევრიგებივაღ სიმახინჯეს!

ძველი რომაელები ამბობდნენ: **"უსამართლობას ან ებრძვიან, ან ემსახურებიან"**. სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"**, მისი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ალექსანდრე ჭაჭია, გაზეთი **"ილორი"** ყოველთვის ებრძოდნენ და ამხელდნენ უსამართლობას, დაუნდობლად ებრძოდნენ ქართულ სულიერებას, ტრადიციებს, მართლმადიდებლურ მრწამსს მდილებივით შესეულ მანქურთებს, არად აგდებდნენ მოძალადე ხელისუფლებისაგან წამოსულ მუქარებს, თვით სიკვდილის საფრთხესაც კი.

რაც შეეხება უსამართლობისადმი სამსახურს, ეს უმსგავსი საქმე ადამიანს შეიძლება აიძულოს ორმა ფაქტორმა: შიშმა ან სიბრიყვემ!

არა მგონია, რომ აიეტისა და ქუჯის შთამომავალ,მაცი ხვიტიასა და დათა თუთაშხიას მშობელ და აღმზრდელ ხალხს შიში იმდენად თრგუნავდეს, რომ საღად განსჯის უნარი დააკარგვინოს!

მაშ, სხვა რა მიზეზი უნდა იყოს?

**"თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასაო"** – ამბობენ საქართველოში გაუგებარ ადამიანზე. მართლაც გაუგებარი უნდა იყოს ის საზოგადოება, რომელსაც ჰყავს ალექსანდრე ჭაჭია და მაინც ბრმად გაჰყვეს მიხეილ სააკაშვილს!

იქნებ ამაზე იფიქროთ, ჩემო ძვირფასო, საყვარელო მეგრელებო?

**როლანდ ჯალაღანია,**
**"აია"-ს და "ფაზისი"-ს**
**აკადემიების წევრი. გაზეთ**
**"ილორის" მთავარი**
**რედაქტორი.**

# „კანონი ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით უნდა შერბილდეს“

ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი გიორგი ვოლსკი **„ეხო კავკაზასთვის“** მიცემულ ინტერვიუში ამბობს,რომ კანონი ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით უნდა შერბილდეს, რადგან დღეისათვის ის მხოლოდ ამკრძალავია და აუცილებლად უნდა იქნეს ორივე მხარეზე მორგებული.

შეგახსენეთ, რომ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი საქართველოს პარლამენტმა 2008 წელს მიიღო, მოგვიანებით კი მასში ცვლილებები შეიტანა ვენეციის კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით. კანონი ოკუპირებული ტერიტორიებზე თავისუფალ გადაადგილებასა და ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვას აწესებს საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე. ოკუპირებული ტერიტორიებზე თავისუფალი გადაადგილება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ჰუმანიტარულ საქმიანობას ეწევიან და მოსახლეობას საკვებით, მედიკამენტებითა და პირველადი მოთხოვნადი საგნებით ამარაგებენ.

ვოლსკის განცხადებას სხვადასხვაგვარი შეფასება მოჰყვა როგორც **„ქართულ ოცნებაში“**, ისე ოპოზიციაში გადასულ **„ნაციონალურ მოძრაობაში“**.

გიორგი ვოლსკი აზუსტებს, რომ უნდა შერბილდეს ურთიერთობების რეჟიმი, კონტაქტის რაც შეიძლება მეტი საშუალება მიეცეთ ქართველებსაც და ოსებსაც, განსაკუთრებით,დროებითი გამყოფი ხაზის ორივე მხარეს.

ამ საკითხზე კომენტარს აკეთებს სოზარ სუბარიც: **„რაც დაკარგა მიხეილ სააკაშვილმა, უნდა დავაბრუნოთ ჩვენ. ეს არის ჩვენი პოზიცია, ამისთვის გარკვეული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო.“**

აკაკი მინაშვილის განცხადებით, **„ეს „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ასპარეზზე უმრავლესობაში მოსვლის შემდეგ ერთ-ერთი პირველი განცხადებაა, რომ უნდათ ამ კანონის შერბილება უკეთეს შემთხვევაში, ან საერთოდ გაუქმება. ეს ნიშნავს იმას, რომ მათი გაცხადებული პოლიტიკური მიზანია, რომ კონტროლი არ იყოს ამ ტერიტორიაზე, თუნდაც სამართლებრივი.“**

რაც შეეხება მოლოდინებს, **„ქართული ოცნების“** ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უკვე კეთდება პროგნოზები მოსკოვში. ექსპერტები და პოლიტიკოსები ვარაუდობენ,რომ დიპლომატიური ურთიერთობები აღდგება ქვეყნებს შორის, მაგრამ ეს არ იქნება საქართველოსთვის მომგებიანი.

აქვე შევარდნაძის დროინდელი ჩინოვნიკები ქონების დაბრუნებას ითხოვენ, კერძოდ,ასლან აბაშიძე და ლევან მამალაძე. **„ქართული ოცნების“** მაჟორიტარ შალვა შავგულიძის განცხადებით,ასლან აბაშიძემ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უკვე მიმართა. მამალაძის თაობაზე სააგენტო **„გლობალ ნიუსს“** მამალაძის ადვოკატმა ალექსანდრე ალადაშვილმა განუცხადა. მისივე ინფორმაციით, მამალაძის საქმემ საქართველოში სამივე ინსტანცია გაიარა და ქონების დაბრუნებაზე, ბუნებრივია, პრეტენზიები ექნება.

შეგახსენებთ, რომ ორივე პრეტენდენტი წითელი ცირკულარით იძებნება.

**საქინფორმი**

## პოეზიის კუთხე

## პოეტ ვასილ ბესელიას

ვინც დემონურ ცეცხლს არ მონობს,
პოეზიით მაშვრალია,
კოლხურ ლექსის იადონო,
ნოსირელო „მაფშალია“.
ხმა ზეციურს რომ გადარებ,
შენგან მესმის ხმები ცისა,
ელვას გულით დაატარებ,
სული კი არ გაიცრიცა.
სევდანარევ იმედებმა
უნუგეშოდ არ დაგვტოვა,
მეტ რაღას გაიმეტებდა,
ლექსი ნექტრად დაგიტოვა.
ვეფერები სიბრძნის ახოს,
შფოთავ პოეზიის ქარო,
ჯიბეში მაქვს გულთან ახლოს,
ის ლექსები, ჯადოქარო!
რაც მე ხორცში სულს მიუნჯებს,
ვით კამკამა ცის სილურჯეს,
ხან მაღონებს, ხან მამუნჯებს,
ვერ ველევი ამ საუნჯეს.
სხვა ლექსებიც მოდადანე
მზის სინათლეს დღეს ელიან,
სალამი და გეთაყვანე,
ძმაო, ვასილ ბესელია.

*შენიშვნა:* 2004 წლის გაზეთ „კოლხეთის“ ფურცლებზე,რომელსაც დიდ ხანს გულის ჯიბით დავატარებდი, პირველად შევხვდი და გავეცანი პოეტ ვასილ ბესელიას შემოქმედებას. ჩემთვის ეს იყო ნამდვილი პათოსი, ნირვანა და თან სულის ელექსირი, ანუ ლექსთა სამყაროს ტრიუმფი იდეალურ დიდ ფერებში.

**ჯემალ ჯიქია**



# ბერია

## XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

### სეიბეი ხიემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ტყუილს კი ყოველთვის მოკლე ფეხი აქვს და სიმონოვმა მაშინაც წაიფორთხილა, როცა ამტკიცებდა, რომ მისი რედაქტორობით 1953 წელს გამოცემულ **"ლიტერატურნაია გაზეტაში"** ბერიას გვარი შეიძლებოდა მოხსენებული ყოფილიყო რომელიმე საბჭოთა მეურნეობაში ან კოლმეურნეობაში ვიზიტისას. **"დემოკრატები"** კი ერთხმად ამტკიცებენ, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ ბერია მკაცრად აკონტროლებდა საბჭოთა პრესას და მხოლოდ თვითრეკლამით იყო დაკავებული.

აი, მეორე **"შემოქმედებითი"** ნიმუშიც... ცილს სწამებს რა ბერიას, ანტონოვ-ოვსეენკო ამტკიცებს, რომ ბერიამ მაშინ გაიცნო მირ ჯაფარ ბაგიროვი, როცა იგი **"მუსავატისტურ დაზვერვაში"** მუშაობდა. 1953 წლის ივლისის ცეკას პლენუმზე კი ბაგიროვი ამტკიცებდა, რომ ამ დროს საერთოდ არ იმყოფებოდა ბაქოში და რუსეთში საქმიანობდა. ამ შემთხვევაში, ან ერთი ტყუის ან მეორე, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ოვსეენკოც ცრუობს და ბაგიროვიც.

ერთ რამედ ღირს ბერიას ავტობიოგრაფიაზე ვიდაცეების ბ.ს. პოპოვისა და ვ.ტ. ოპოკოვის კომენტარები, რომელიც ანტიბერიასეულ კრებულში გამოქვეყნდა 1991 წელს! 1923 წელს ბერია თავის ავტობიოგრაფიაში წერს:

**"იმავე 1915 წელს პირველად, ჩანასახის სახით, ვიღებ მონაწილეობას პარტიულ ცხოვრებაში. ამა წლის ოქტომბერში ბაქოს ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა ჩამოვაყალიბეთ არალეგალური მარქსისტული წრე, რომელშიც სხვა სასწავლებლების მოსწავლეებიც გაწევრიანდნენ. ამ წრემ იარსება 1917 წლის თებერვლამდე. მე ხაზინადარის მოვალეობას ვასრულებდი. წრის მთავარი მოტივი გახლდათ: მოსწავლეთა ორგანიზება, ერთმანეთისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა და თვითგანათლება მარქსისტული სულისკვეთებით** (რეფერატების წაკითხვა), **წიგნების გარჩევა და სხვა. ამავ დროს, არჩეული ვიყავი კლასის მამასახლისად (არალეგალურად)".**

თითქოს ყველაფერი ნათელია. ტონი მშვიდი, მშრალი და საქმიანია, მაგრამ ბერიას მოძულეები მას ამგვარ კომენტარს უკეთებენ:

**"როცა დაიწყო არალეგალურობანას თამაში** (? – ს.კ.) **და იატაკქვეშა საქმოანობის სიმულაცია, ბერია ყოველივე ამის მიჩქმალვას ცდილობდა მაღალი რევოლუციური ფრაზებით, თვითგანდიდების ელფერით და ბელადის ამბიციებით"**.

იგივე ბ.ს. პოპოვი და ვ.ტ. ოპოკოვი მიანიშნებენ ბერიას მონაწილეობას 1925 წლის ავიაკატასტროფაში, რომელსაც ემსხვერპლენ ამიერკავკასიის სამხარეო ფედერაციის მდივანი მიასნიკოვი და ცნობილი ჩეკისტი ათარბეკოვი და აცხადებენ, რომ **"ბერიამ არ აპატია მათ უმწიკვლო პარტიული სტაჟი, რომელიც ძალზე მტკივნეული გახლდათ ლავრენტისათვის".**

დაღუპვისას მიასნიკოვი 39 წლის იყო და პარტიის წევრი გახლდათ 1906 წლიდან. ამრიგად, გამოდის რომ, 26 წლის ბერიამ არ აპატია ბევრად მასზე უფროს ამხანაგებს ის რომ მათ დიდი პარტიული სტაჟი ჰქონდათ.

იგი რა, კლინიკური ფსიქოპატი იყო?

მართლაც რომ ბრმაა სიძულვილი!

მაგრამ, სამწუხაროდ, სიძულვილი აქტიურიცაა! 1953 წლის 16 ივლისს ვინმე ელენე ღოღობერიძე, 1937 წელს რეპრესირებული ლევან ღოღობერიძის დაიკო, წერდა ანასტას მიქოიანს:

**"ახლა, ბოლოს და ბოლოს, სავსებით ნათელია, რომ ადამიანი, რომელმაც იმსხვერპლა ლევანი – ხალხის მტერია. ბერიამ იმსხვერპლა იგი შეგნებულად, რადგან მხილების ეშინოდა.**

**ალბათ თქვენთვის არ არის ცნობილი, რომ ლევანის ხელში 1933 წელს აღმოჩნდა მასალები, რომლებიც ადასტურებდნენ ბერიას ბიოგრაფიაში არსებულ სამარცხვინო მომენტებს** (იგულისხმება **"მუსავატური კვალი"** – ს.კ.). **ორჯონიკიძემ ურჩია მაშინ ლევანს, რომ გაჩუმებულიყო..."** და ა.შ.

ელენე გოგიბერიძემ განცხადებას დაურთო თითქოსდა მისი ძმის მიერ, დახვრეტის წინ, **"საქართველოს შინსახკომის ციხეში დაწერილი წერილის"** ასლები. მან განმარტა, რომ ორიგინალები ადრე გადასცა მალენკოვს (თუმცა იგი შემდეგ ვერსად მოიძიეს). ბუნებით ფრთხილმა მიქოიანმა განცხადებას სვლა მისცა მხოლოს 1954 წლის 16 იანვარს და ლევან ღოღობერიძე კომპარტიის მეოცე ყრილობის შემდეგ რეაბილიტირებული იქნა.

მაგრამ ფაქტია, რომ ბერიას კი არ სძულდა ლევანი, არამედ ლევანს სძულდა ბერია. მე შეგახსენებთ, თუ რას სწერდა ბერია თბილისიდან მოსკოვში სერგო ორჯონიკიძეს:

**"სოხუმში ისვენებს ლევან ღოღობერიძე. ამხანაგ ლაკობასა და სხვა ამხანაგების გადმოცემით იგი ჩემზე ავრცელებს ბინძურ ჭორებს ამიერკავკასიის ხელმძღვანელ ამხანაგებს შორის, თითქოს მე ვმუშაობდი მუსავატელთა კონტრდაზვერვაში და ამტკიცებს, რომ თითქოს პარტიაში ამის თაობაზე არაფერი იციან. ამასთან, ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ მე მუსავატელთა დაზვერვაში შეგზავნილი ვიყავი პარტიის მიერ და ეს საკითხი პარტიის ცეკას სხდომაზე განხილული იქნა 1920 წელს ამხანაგების სტალინის, კამინსკის, მირზა დაულ ჰუსეინოვის, ნარიმანოვის, სარქისიანის, რუხულას, ახუნდოვის, ბუნიათ-ზადეს და სხვების მონაწილეობით".**

აი, ასეთი **"საგების"** საფუძველზე ყალიბდებოდა **"ჯალათი ბერიას"** სახე. სხვათა შორის, სუხომლინოვის წიგნში მოყვანილია ბერიას აშკარად ყალბი ფაქსიმილე, რომელიც შემდეგ აღმოჩნდა დასახვრეტთა რამენიმე სიის ბოლოში, როგორც ბერიას ხელმოწერა. ასეთი სიყალბის ჩადენა კი იმდროინდელი ტექნიკის პირობებშიც არ გახლდათ ძნელი საქმე.

და სიბინძურის ამგვარ ნაკადს ასხამდნენ არა მხოლოდ ბერიას, არამედ კიროვის სახელსაც კი. თანაც, მის სიცოცხლეში! და თანაც ისეთ ლაფს ასხამდნენ, რომ ბერიაზე შექმნილ წიგნში მისი გამოქვეყნება აუცილებელია – ძალიან თვალშისაცემია პარალელები! და მე მკითხველს გავაცნობ წერილს, რომელიც 1921 წლის ივლისში შევიდა კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში:

**"ვაუწყებ ცეკას, რომ კიროვმა პარტბილეთი მიიღო ასტრახანში, მანამდე მას კავკასიაში იცნობდნენ როგორც პირწავარდნილ მენშევიკს, რომელიც პარტიული მუშაობისადმი დიდ მიდრეკილებას არ იჩენდა.**

**ამხანაგი კიროვი, როგორც ორატორი, პოპულარულია ხალხში, მაგრამ მას პრაქტიკულად არ გააჩნია პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მუშაობის სტაჟი, რომლის ჩატარებაც მას ან არ ძალუძს, ან დელიკატურად არიდებს თავს და მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნების მუშების წინაშე სიტყვით გამოსვლას ჯერდება... იგი დიდ ხანი ყოყმანობდა... ოფიციალურად პარტიაში შევიდა 1919 წელს..."**

ამ წერილის ცეკაში შესვლის მომენტისათვის 35 წლის სერგეი მირონის ძე კიროვს (კოსტრიკოვს) ჰქონდა შემდეგი შრომითი ბიოგრაფია: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა 1904 წელს.

1905 წლის ივლისიდან იყო ტომსკის პარტიული კომიტეტის წევრი, ხელმძღვანელობდა არალეგალურ ტიპოგრაფიას, 1907 წელს მიუსაჯეს ციხე 1 წლითა და 7 თვით.

1909 წლიდან ხელმძღვანელობს ვლადიკავკაზის პარტიულ ორგანიზაციას, იყო ოქტომბრის რევოლუციის მონაწილე პეტროგრადში.

შემდეგ – იყო თერგის და ჩრდილოეთ-კავკასიის რესპუბლიკების ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი, მეთერთმეტე არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი, ხელმძღვანელობდა ასტრახანის დაცვას 1919 წელს.

იყო საქართველოსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის ორგანიზატორი, 1920 წელს ხელმძღვანელობდა საბჭოთა დელეგაციას რიგის სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, პოლონეთთან ურთიერთობების მოგვარებისათვის, იყო პარტიის კავკასიის ბიუროს წევრი.

1921 წლის ივლისიდან იყო აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკას მდივანი და რუსეთის კომპარტიის (ბ) ცეკას წევრობის კანდიდატი...

საბრალდებო წერილის ავტორი კი იყო იური პავლეს ძე ბუტიაგინი და არც ის გახლავთ შემთხვევითი პიროვნება: პარტიის წევრი 1902 წლიდან, სავსებით დამსახურებული ბიოგრაფიით; სამი რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მონაწილე, იჯდა ციხეში, რამდენიმეჯერ გადაასახლეს... 1919 წელს კიროვთან ერთად იყო ასტრახანის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი...

სწორედ ეს ბუტიაგინი დაიხსნა კიროვმა ტროცკის გულისწყრომისაგან ასტრახანის დაცვისას... სწორედ ბუტიაგინი აწარმოებდა პირდაპირი სატელეფონო ხაზით მოლაპარაკებებს კიროვთან და ყოველ სეანსს იწყებდა შემდეგი მეგობრული სიტყვებით: **"გამარჯობა, მირონიჩ!"**.

და ეს ბუტიაგინი, 1935 წლის 1 დეკემბერს (უკვე კიროვის მკვლელობის შემდეგ) წერდა გაზეტ **"პრავდაში"**:

**"იგი ცხოვრობდა ჩვენს გვერდით, მეგობრებთან ერთად, ერთ ვიწრო ოთახში, სადაც საწოლების მოვალეობას ასრულებდნენ იატაკზე გაფენილი ნაბდები. რა თქმა უნდა, მას შეეძლო მეტი კომფორტი მოეწყო თავისათვის, მაგრამ იგი არასოდეს აძლევდა თავს იმის უფლებას, რომ თანამებრძოლებზე კარგად ეცხოვრა... შემდეგ იწყებოდა მძიმე დღე – დიდი ადამიანის საბრძოლო დღე, ხიფათით აღსავსე, რათა ქალაქი მტრის შემოსევისაგან დაეხსნა".**

მაშ რამ აიძულა ძველი ბოლშევიკი, რომ კიროვის სახელისათვის ლაფი მიესხა?

ზუსტი პასუხი მე არ გამაჩნია, მაგრამ რაღაც ვარაუდის გამოთქმა შემიძლია... დამთავრდა სამოქალაქო ომი. კიროვი უკვე გამოჩენილი პიროვნება გახლდათ და თანდათან მიიწევდა ზევით, რადგან ეპოქამ თავის გამოჩენის საშუალება მისცა. ბუტიაგინი კი საშუალო დონის მოღვაწედ დარჩა და იგივე 1921 წელს მხოლოდ წითელი არმიის კომისრის პოსტი ეკავა... თანაც, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილში. საჭიროა კი აქ დამატებითი კომენტარი?

და თუ ამისთანა ბუტიაგინები თავს ვერ უჭერდნენ შურსა და ბოღმას და ლაფს ასხამდა უმწიკვლო ადამიანის სახელს, შეეძლოთ კი თავი შეეკავებინათ ამგვარი საქციელისაგან ბერიას მოშურნეებს? ამასთან, ბუტიაგინი მშვიდი სლავი ადამიანი (დაიბადა ტვერის გუბერნიაში) იყო. ბერიას მოშურნეები კი – ღოღობერიძის მსგავსნი, – ასე თუ ისე, კავკასიელი ტემპერამენტიანი ადამიანები იყვნენ.

სხვათა შორის, 1919 წლის 27 ნოემბერს, მოსკოვში, ცეკას მდივან სტასოვას სახელზე (ასლები ლენინსა და ტროცკის) გაიგზავნა დეპეშა, რომელშიც, ნაწილობრივ, აღნიშნული იყო:

**"აი, უკვე სამი წელიწადია, რაც მეთერთმეტე არმიის მეთაურის მოვალეობას პირნათლად ასრულებს სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი ბუტიაგინი. თავს მოვალედ მივიჩნევ აღვნიშნო, რომ ამ პერიოდის განმავლობაში არმიის სამხედრო სულისკვეთება შესამჩნევად ამაღლდა და განმტკიცდა...**

**სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ბუტიაგინის ძალისხმევას ვერ ამჩნევენ და სათანადოდ ვერ აფასებენ სამხედრო ხელმძღვანელები, რადგან ამ დღეებში არმიის მეთაურის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დაინიშნა დივიზიის მეთაური ვასილენკო. ჩემის აზრით, ამგვარი გადაადგილება არამც თუ გამართლებული, არამედ სარისკოცაა..."** და ა.შ.

დეპეშას ხელს აწერს... კიროვი და, როგორც ხედავთ, მთელ პასუხისმგებლობასაც საკუთარ თავზე იღებს.

არა მხოლოდ ბუტიაგინს უნათებდა გზას სერგეი მირონის ძე კიროვი... მე კიდევ მოვიყვან 1919 წლით დათარიღებულ ერთ დოკუმენტს, რომელიც გაუგზავნა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციურ საბჭოში, ასლი – პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და, ასევე, ასლი – საკავშირო საგანგებო კომისიაში:

**"ამ დღეებში, ასტრახანში... კიროვის წინააღმდეგ მოეწყო ბინძური პროვოკაცია... რომელსაც მხარს უჭერდნენ საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები. მათ შექმნეს ლეგენდა იმის თაობაზე, რომ კიროვი არის ილიოდორი** (იერომონახი ილიოდორი ჯერ ავადსახსენებელი რასპუტინის მომხრე იყო, შემდეგ კი მას დაუძინებელ მტრად ექცა – ს.კ.). **გუბერნიის სამხედრო კომისარ ჩუგუნოვის ბრძანებითა და უშუალო მონაწილეობით გაჩხრიკეს კიროვის ბინა და დროებით პატიმრობაში აიყვანეს იგი... თითქოსდა, პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით... არმიის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა სასწრაფო მიიღო ამ ავანტიურაში მონაწილეთა დაპატიმრების გადაწყვეტილება. დააპატიმრეს შინაგანი დაცვის ქვედანაყოფის მეთაური კროტოვი... პოლკის პოლიტკომისარი პაშკოვი, გუბერნიის აღმასკომის მდივანი ივანოვი, გუბერნიის სახალხო მეურნეობის საბჭოს კოლეგიის წევრი როკატი, მოწყალების და ვასერმანი..."**

ეს იდიოტური ისტორია სულელურ ანეკდოტს მოგვაგონებს: კიროვი – ილიოდორი! მაგრამ ეს ხომ მოხდა. იმიტომ, რომ მტკიცე ბოლშევიკი კიროვი უკვე ბევრ ვინმეს ეჩხირებოდა თვალში...

ასევე, მტკიცე ბოლშევიკი ბერიაც ბევრ ჩინოვნიკსა და პატივმოყვარე ფუნქციონერს ეჩხირებოდა თვალში, რომ არაფერი ვთქვათ საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ მტრებზე! ეჩხირებოდა თვალში ბერიას სიცოცხლეში. ეჩხირება თვალში დღესაც – მისი დაღუპვიდან ათწლეულების შემდეგ.

გებელსი... ბერიას წინააღმდეგ წამოწეული მორიგი ბრალდებების გაცნობის შემდეგ მე მახსენდებოდა **"შავი"** და **"რუხი"** პროპაგანდის უდავოდ ნიჭიერი ოსტატის პრინციპი: ტყუილი რაც უფრო ამაზრზენია, მით უფრო დამაჯერებელია! ამიტომაცაა დამაჯერებელი ბერიას მიმართ აგორებული ცილისწამებისა და სიცრუის ნიაღვარი.

აი, ა. სუხომლინოვის წიგნი, რომელიც მოგვითხრობს დეკემბერში გამართულ ბერიას სასამართლო პროცესზე საბჭოთა მზვერავის ალექსანდრე კოროტკოვის გამოსვლას, რომელიც, თუ სხდომის ოქმს ვერწმუნებით, შეკითხვებსაც კი უსვამდა ბერიას. მაშ რა გამოდის – ჰაერში ეკიდება ჩემი ვერსია ბერიას სასამართლოს გარეშე მოკვლის თაობაზე? არავითარ შემთხვევაში! იმიტომ, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ფალსიფიკაციასთან. საქმე იმაშია, რომ პროფესიონალი კოროტკოვი სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატს ახსენებს 1940 წლების მოვლენების აღწერისას, მაშინ, როცა ეს ორგანო შეიქმნა 1941 წლის 3 თებერვალს. რეალური კოროტკოვი ამას არ იტყოდა – მზვერავს რეფლექსის დონეზე აქვს ჩანერგილი ფაქტობრივი და კალენდარული სიზუსტე.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲗᲠᲔᲕᲔᲚᲐᲗᲘ

სულ ახლახან ქუთაისში გამოიცა ცნობილი ქართველი ჟურნალისტის ალექსანდრე შენგელიას მცირე ფორმატისა და მოცულობის პოეტური კრებული **“სათრეველა”**. წიგნის რედაქტორია ვაჟა გავაშელი. დაიბეჭდა კი სტამბაში ი.მ. **“კახა კაკოვიჩი”**. ტირაჟიც მცირეა – 100 ეკზემპლარი. ავტორი განმარტავს: **“წიგნი იბეჭდება ას ეკზემპლარად, ინომრება და უფასოდ ურიგდება მხოლოდ უახლოეს მეგობრებს, რათა მათი რჩევით განისაზღვროს რეალური ტირაჟის ხარისხი და მოცულობა”.**

ახლო მეგობართა შორის 81-ე აღმოჩნდი და, შესაბამისად, ამ ნომრითაა დადამღული ჩემთვის განკუთვნილი ძღვენი.

ალ. შენგელიას არ სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა ქართველ მკითხველთან. საკმარისია გავიხსენოთ მისი მოღვაწეობა დედაქალაქის პრესასა და ტელევიზიაში, გაზეთის რედაქტორობა ქუთაისში და, სხვებთან ერთად, დაუვიწყარი ტელეგადაცემა **“კაკაბეთის ზარები”**. მიუხედავად ამისა, ჩემთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა ალეკოს იუმორისტულ-სატირული ნიჭის გამობრწყინება, თანაც ლექსად.

წიგნში ჩვენი საზოგადოებისათვის საჭირბოროტო უამრავი მოვლენაა უარყოფითად შეფასებული და გასაკიცხად მიჩნეული, მაგრამ, მათ შორის, საგრძნობლად ჭარბობს კრიტიკა ქვეყნის ხელისუფლებისა და მის თანაგუნდელთა სამხილებლად. საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ავტორი სწორედ ამ თემაზე ამახვილებს ყურადღებას.

**“რადგან სიბილწემ იმძლავრა ერთობ**
**და სიმართლის მთქმელს ელოდება ხვედრი საშიში,**
**ყველა გულმართალს ააშორე, ღმერთო,**
**ის რაც დამართეს**
**ჟვანიას და პატარკაციშვილს”** (გვ.12).

ან კიდევ: **“ახვრებს დაუდგა დრო გახელების**
**და ხანჯლებს გესლში ისე ლესავენ,**
**სისხლით მოთხვრილი მათი ხელები**
**შეშურდებოდა რიჩარდ მესამეს”** (იქვე).

წინ წამოიწია ბიძინა ივანიშვილის თემამაც:

**“ეგ ენა, ნეტავ, გასხლა რამ,**
**ტარაბუა რად გასხა, რომ**
**ტელეეკრანის მასხარა**
**ივანიშვილზე მასხაროს?”** (იქვე).

შემდეგი ორი მინიშნებით აშკარად იხატება პრეზიდენტის იერსახე:

**“უნდა განსჭვრიტო ადრევე,**
**ვის რატომ რა ეწამება,**
**როდესაც აგებ შადრევნებს**
**და არა ღვთის სახლ “სამებას”,**
**სანთლებს თუ ანთებ შანდლებზე –**
**კვლავ სკამზე დასაბრძანებლად”** (გვ.13).

ან: **“აღმაშენებელს თავს ვინც ადრის წამდაუწუმა,**
**რატომ ივიწყებს, მზე სხვაა და სხვაა წუმწუმა!”** (იქვე).

კრიტიკის გაფიცხებულ თონეში ჩავარდა წინასაარჩევნო ჩალიჩიც:

**“თუ გურამიშვილს სულ ცოტას ვაცლით,**
**ვურჩევთ, რა ვუყოთ ეშმას და მაცილს,**
**ვინც არჩევნებში თვალში ბეწვს გვაცლის...**
**– დახვდა ეკალი, ზედ დასცა ნაცი! –**
**ნათელმხილველი ბრძანდება კაცი.”** (გვ.19).

გრძელდება არცთუ ბუნდოვანი თემა:

**“ბრძოლა ბევრჯერ მოგვიგეს,**
**რადგან კარგად იციან,**
**არჩევნებში მორიგი**
**დიდი სიტუტუცეა,**
**თუ ხამლივით მოირგე**
**ქვეყნის კონსტიტუცია...”** (გვ.20).

ბარემ ერთი სიმართლეც გავრისკოთ:

**“რად გიყურებ დაკვირვებით,**
**რატომ გწონი მისხალ-მისხალ?**
**არჩევნის წინ დაპირება**
**ადრეც მოგვცეს ვამპირებმა,**
**მაგრამ იქცნენ ხალხის რისხვად.”** (გვ.20).

ქვეყნის უიმედო პოლიტიკური ვითარებაც ამოატივტივა ჟურნალისტმა პოეტმა:

**“ტაში-ტუშით და დოს ყლაპვით**
**ტახტზე ორჯერ დაჯდა ღლაპი**
**და ვეღარ ცნობს ძაღლი პატრონს.**
**ტრაბახით და ბრეტის ბრეტით,**
**ბევრჯერ მოხვდა რუსის კეტი.**
**ჰოდა, რა ვქნათ, რა ვინატროთ?**
**არ გვაქვს ნეიტრალიტეტი,**
**აღარც “მაპი”, აღარც “ნატო”**
**და დიდ სამტროს დავრჩით მარტო!”** (გვ.23).

არც წინა პრეზიდენტი დარჩენილა **“უყურადღებოდ”** და **“გაუგებრობაში”**.

**“ბიჭბუჭებს რომ ჩაისვამდა**
**და უშაქრო ჩაის სვამდა,**
**არ ახსოვდათ ცოდვა-მადლი,**
**სკამს აცლიდა მისი კადრი...**
**ორიოდე წელიწადი**
**და კვლავ ისმის: “წადი, წადი”,**
**რამეთუ კვლავ ელის ჩაი**
**ყველა ახალ ველიჩაიშს”.** (გვ.28)

ავტორი ისევ მომდევნო პრეზიდენტს მიუბრუნდა რუსთველისეული **“სათრეველათი”**:

**“დიდოსტატია ტრაბახის, როშვის,**
**კატის კნუტია, ნუ არევთ ლომში,**
**თორემ ნერვებზე ისევ ის მოგვშლის,**
**ვინც სულელურად ჩაგვაბა ომში,**
**ხუთდღიან ომში,**
**წაგებულ ომში”** (გვ.23)

და ისიც დაამატა:

**“რაკი ვუთხარ “არა” მიშას,**
**შემბორკა და არ ამიშვა.**
**არჩევნებმაც არამი შვა**
**და როგორ ვთქვა: “არა მიშავს?”**

ბოლოს, ისევ საპარლამენტო არჩევნების გაწამაწია და სამსტრიქონიანი დანამატი:

**“როგორი გვაქვს არჩევნები,**
**ვინ არიან ნარჩევები,**
**რა ქცევის და რა რჩევების?**
**გვყავს ქურდულად გამრჩევლები,**
**ცემა-ტყეპა-დაჩემებით**
**თავის წარმომაჩენლები.**
**თუმცა თუნდ ამ მაჩვენებლით,**
**არჩევნების ნაჩვევ ნებით**
**მაინც ჩვენი სარჩენები”.** (გვ.42)

დანამატი: **“რადგან ოქროს სარაია აიშენა,**
**ამომრჩეველს ბრანწს უჩვენებს:**
**– აი, შენა!”** (გვ.47).

რაც შეეხება წიგნის სათაურს **“სათრეველა”**, ჩემი აზრით, იგი გულისხმობს გაკიცხულ პიროვნებათა უკანმოუბრუნებლად გაცილებას სათრეველათი – სამართლიანი არჩევნების შედეგად.

**ᲒᲘᲕᲘ ᲑᲝᲯᲒᲣᲐ**

## ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ, ᲫᲛᲐᲝ, ᲐᲚᲔᲙᲝ!

აღარც კი მახსოვს, როდიდან ვმეგობრობთ ერთმანეთთან. მახსოვს მხოლოდ, რომ, როცა შენ გაზეთ **“თბილისში”** ხელმძღვანელობდი განყოფილებას, მე კი – გაზეთ **“ზარია ვოსტოკაში”**, კვირა არ გავიდოდა, რომ ერთმანეთს არ შევხვედროდით და აზრი არ გაგვეზიარებინა ამა თუ იმ პუბლიკაციისა და მისი ავტორის თაობაზე.

ან იმას რა დამავიწყებს, როგორი ძმური დახმარება გამიწიე მაშინ, როცა ცნობილი ქართველი კინორეჟისორის რევაზ ჩხეიძის მონოგრაფიაზე ვმუშაობდი. ან, განა იმის დავიწყება შემიძლია, საქართველოს იდეოლოგიის მეთაურთა გულისწყრომის გამო უმუშევრად რომ დავრჩი, როგორ ვერ მოისვენე მანამ, ვიდრე სერიოზულ დაწესებულებაში მუშაობა არ დამაწყებინე...

რომელი ერთი სიკეთე გავიხსენო, ჩემთვის და სხვებისთვის რომ გიწილადებია წმინდა კაცური სითბოთი!

ახლა კი, შენ 78 წლისა ხარ, ჩემო ძმაო, ალეკო, მე კი 71 წელს მოვალაგებ რამდენიმე კვირაში.

მართლაც რომ უცებ გადის დრო, მაგრამ სიცოცხლის ამგვარი გაელვებაც კი მთელი მატიანეა შენნაირი მადლიანი ადამიანისათვის, რადგან შენ საძრახისი საქმისათვის არც დრო გქონია არასოდეს და არც განწყობა. შენ ხომ მუდამ სიკეთესა და სიყვარულს სთესდი!

ღიმილიანი ბიჭი იყავი ყოველთვის, გულით იღიმოდი და არა სახით, გულით ცხოვრობდი და ცხოვრობ, რადგან ადამთა კეთილ მოდგმას სიყვარულის სხვა იარაღი არ გააჩნია...

იმან იკითხოს, საუკუნემდე მიდწევას რომ ცდილობს, მაგრამ სასიკეთო და დასახსომებელი არაფერი გაუკეთებია ადამიანებისათვის!

ასეა ძამია (შენივე სიტყვებით ვამბობ), სიკეთის გაკეთებას მატერიალურ და ფინანსურ საშუალებაზე მეტად სულიერი კაპიტალი სჭირდება. სულიერება, ზნეობა, მორალი და კეთილსინდისიერება კი შენ ყოველთვის ჭარბად გაგაჩნდა და სხვებსაც უხვად უნაწილებდი!

ახლა გულს ვუმაგრებთ ერთმანეთს: **“წლები სრულიად არ დაგმჩნევიაო”,** თუმცა ძალიან კარგად ვიცით, რომ ასეთი სიძაბუნეშეპარულები არ ვიყავით არც მე, არც შენ და არც ჩვენი უფროსი მეგობარი გივი ბოჯგუა, **“ცალი ხელით”** რომ შეეძლო დაძრული ავტომანქანის გაჩერება!

მაგრამ, კიდევ დიდხანს ვატყუოთ ერთმანეთი ამ გამამხნევებელი სიტყვებით, რადგან მოძალებული ასაკი სრულიადაც ვერ ასუსტებს სამშობლოს კეთილდღეობისათვის მუდამ საომრად შემართულ ადამიანში ბრძოლის ჟინს. შენ დღესაც ახალგაზრდული შემართებით ებრძვი ყოველგვარ უკეთურობას, ისეთივე ზათქითა და ყიჟინით, როგორითაც დღეს იბრძვიან ასაკმოძალებული საქვეყნოდ ცნობილი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, პოეტი რეზო ამაშუკელი, რეჟისორი რეზო ესაძე, მეცნიერი ვანო კიღურაძე, ქართული საზოგადოების სხვა ღირსეული წევრები, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწეები და სხვა **“ჩარეცხილები”**...

სწორედ თქვენნაირებზე ამბობენ რუსები: **“На таких людей свет держится”!**

ამიტომ, როგორც სიყმაწვილეში ვიტყოდით ხოლმე: **მართლაც კაი ბიჭი ხარ, ალეკო, ძამია!**

78 წელი მცირე დროა შენნაირი კაცისთვის – შენ ას წელზე ბევრად მეტი უნდა იცოცხლო, რადგან სიკეთის მეტს არაფერს მოუტან სამშობლოსა და მშობელ ხალხს!

ეს ჩემი მცირე მისალმება კი ერთი შენივე შესანიშნავი ლექსით მსურს გავასრულო:

**ახვრებს დაუდგა დრო გახელების**
**და ხანჯლებს გესლში ისე ლესავენ,**
**სისხლით მოთხვრილი მათი ხელები**
**შეშურდებოდა რიჩარდ მესამეს.**
**მუმლი მაინც ვერ წააქცევს მუხას**
**და წირვას ვერვინ ვერ გამოუყვანს**
**იმ კაცს, რომელსაც სამშობლო უყვარს,**
**იმ კაცს, რომელიც სამშობლოს უყვარს!**

ასე მხნედ და ვაჟკაცურად გვეყოლე, კიდევ ერთი საუკუნე, ჩემო ძმაო, ალეკო!

**ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ**

# ᲜᲣ ᲘᲖᲐᲛᲗ ᲐᲛᲐᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ!

– ნუ იზამთ, რომ ერთი თანამდებობის პირის, თუნდაც ქვეყნის მეთაურის ესკორტის გავლისას, პატრულმა ერთი საათით ადრე გადაკეტოს გზები და დამატებითი პრობლემები შეუქმნას ყოფითი პრობლემებით ისედაც გაწამებულ ადამიანებს;

– ნუ იზამთ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის ბედი კვლავ კერძო სტრუქტურებს ჩაუგდოთ ხელში, რომლებიც აიძულებენ მშობლებს ათმაგი და ოცმაგი თანხა გადაიხადონ სახელმძღვანელოებში, რვეულებში თუ სხვა სასწავლო ინვენტარში. განა შეიძლება, ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, როგორიც სახელმძღვანელოებია, იმ არაკეთილსინდისიერი ხალხის ხელში მოექცეს, რომლებიც ზოგიერთი ასევე არაკეთილსინდისიერი პარლამენტარის (ამბობენ, რომ ამ საქმეს პარლამენტიდან კურირებდა ნუგზარ წიკლაური და საკმაო თანხებსაც იჯიბავდა) ლობირებით, საკუთარი სურვილისამებრ ადებდნენ ფასს ლიტერატურას და მდიდრდებოდნენ ისედაც გაღატაკებული ხალხის კიდევ უფრო მეტად გაღატაკების ხარჯზე;

– ნუ იზამთ, რომ არ აღდგეს ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც დაარეგულირებს ფასებს სამომხმარებლო ბაზარზე. ეს სამსახური შეგნებულად დახურეს სააკაშვილმა და მისმა ხროვამ, რათა მონოპოლიური კლანებისათვის ჩაეგდოთ ხელში მთელი ეკონომიკა. სწორედ ეს გახლავთ ე.წ. “ელიტარული კორუფციის” ქვაკუთხედი, რომლითაც მდიდრდებოდა სააკაშვილის და მასთან დაახლოებული რამდენიმე ნაციონალის ოჯახი;

– ნუ იზამთ, რომ პოლიციის თანამშრომლის ჩვენება კვლავაც აპრიორი იყოს სასამართლოსათვის, რადგან სწორედ არაკეთილსინდისიერი პოლიციელების ყალბი ჩვენების მიზეზით დღეს უამრავი უდანაშაულო ადამიანი იტანჯება ციხის კედლებში;

– ნუ იზამთ, რომ ქვეყანაში აბოგინდნენ ახალი ბასიშვილები, უდესიანები, ჩოჩელები, კირკიტაძეები, კუბლაშვილები, ცისკარიშვილები, გაბაშვილები, რურუები, წერეთლები, თავხელიძეები, ნოდიები, ჩოლოყაშვილები, ბოკერიები, და სხვა ჯურის თავხედები, რომლებიც სწორედ სააკაშვილის ბოროტი ნებით განიმსჭვალნენ დაუსჯელობის სინდრომით და ცა ქუდად არ მიაჩნდათ, და დედამიწა ქალამნად;

– ნუ იზამთ, რომ სასამართლო კვლავაც პროკურატურის სრულიად უხერხემლო არსებად და სათამაშო ტიკინად დარჩეს და საკუთარი უმაღლესი მოვალეობის შესრულების ნაცვლად, მოსამართლემ მხოლოდ უპასუხისმგებლო “ბირჟავიკივით” იაროს სამსახურში. და, რაც მთავარია, დააბრუნეთ კონსტიტუცია ნორმალურ ჩარჩოებში;

– ნურასდროს ნუ დაპირდებით საზოგადოებას იმას, რის აღსრულებაში თავად გეპარებათ ეჭვი? სააკაშვილის მიერ არაერთგზის მოღორებული ხალხი უკვე თითქმის გადაეჩვია ხელისუფლების ნდობას და მისი უკან მობრუნება საკმაოდ ძნელი საქმე იქნება. მაგრამ, კიდევ უფრო გაგვიძნელდება ხელისუფლებიდან წამოსული თუნდაც ერთი როყიო დაპირების ატანა;

– ნუ იზამთ, რომ ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები კვლავ ცენტრიდან დაინიშნონ, რადგან ყველა ნორმალურ ქვეყანაში ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებს ხალხი ირჩევს;

– ნუ იზამთ, რომ სამეგრელო იმ საშინელ გეოეკონომიკურ ჩიხში დარჩეს, რომელშიც იგი შეიყვანა შევარდნაძე-სააკაშვილის ერთობლივმა პოლიტიკამ. ნუ იზამთ, რომ კვლავაც გაგრძელდეს სამეგრელოს მოსახლეობის დაპირებებით კვება, მისი მოსახლეობა კი გამოყენებულ იქნას მხოლოდ საარჩევნო ხმების ყულაბად;

– ნუ იზამთ, რომ დღეს ხელისუფლების მიერ მართული “ჯიბის” ტელეარხები კვლავ ხელისუფლების გავლენის სფეროში დარჩეს და ჟურნალისტებმა ვერ მოახერხონ ფრთების გაშლა. მუდმივი კონტროლით ხომ დიდი ზიანი ადგება ჟურნალისტთა პროფესიონალიზმს;

დანარჩენ უბედურებებზე, რომელიც წლების განმავლობაში მოახვია თავზე ქართველ ხალხს მიხეილ სააკაშვილმა და მისმა ნაციონალურმა ბანდამ და რომლის მოთმენა არ შეიძლება, მოგვიანებით მოგახსენებთ!

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘ “ᲘᲚᲝᲠᲘ”**

# კოლხეთი — კავკასიის ცივილიზაციის სათავე

**დასაწყისი "ილორი" №171-190**

1972 წელს პარიზში გამოვიდა სამეცნიერო ჟურნალ **„ბედი ქართლისა, რევიუ დე ქართველოლოჟის"** ორი გაერთიანებული 19 და 20 ნომერი (რედაქტორი პროფ. კალისტრატე სალია, გამომცემელი ნინო სალია), რომელშიც გამოქვეყნდა ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორის, გამოჩენილი მეცნიერის, ბასკოლოგ-ქართველოლოგის რენე ლაფონის (1899-1974) სტატია **„ბასკური და კავკასიური ენების შედარებისათვის"**. სტატია იძლევა კავკასიურ ენებთან ბასკურის კავშირის საინტერესო მაგალითებს. ის 1966 წელს ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ესპანეთში მრავლად არის ქართული ტოპონიმები: სოფელი ლენტეხი, იქვე ახლოს ალ-იბერია, გალი, მესტია, ნაშური, მდინარე და სოფელი ალგეთი და სხვა დამთხვევები და როგორც აღნიშნული გვაქვს, ქართული გვარები: ერისთავი, ლოლუა, ნოდია, ეშოვერია, ნარსია და ბევრი სხვა. ბასკეთში ასეთი ტოპონიმებისა და გვარების არსებობა შემთხვევითი არაა.

საბერძნეთსა და ეგეოსის ზღვის მიმდებარე ტერიტორიებზე უძველესი დროის მცხოვრებლები ისეთ ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა ინდოევროპულ ენებთან და მეცნიერებმა მას პირობითად ეგეოსური ენა უწოდეს, შემდგომში იქ **„მოვიდნენ"** იბერთა უძველესი წარმომადგენლები – პელაზგები, რომელთა ენა ეგეოსურის იდენტური იყო.

ბასკები თავიანთ ქვეყანას **„ეგუს სკალდუს"** უწოდებდნენ. **„ეგუს"** ბასკურად მზეს ნიშნავს, **„სკალდეს"** კი – ამომავალი მზის ქვეყნიდან წარგზავნილთ. რადგან **„ეგუს"** მზეს ნიშნავს, – წერს რ. ერისთავი, – მაშინ სიტყვები ეგვიპტე, ეგეოსი, ეგეიდა, ეგრისი მზესთან არიან დაკავშირებული.

შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ სიტყვები: სპანი, დესპანი, სპასპეტი, ესპანეთი (ე.ი. **„სპა"**) ქართულად ნიშნავს წარგზავნილს, ელჩს.

ისტორიული წყაროების მიხედვით ძვ.წ. V საუკუნემდე ესპანეთს იბერია ერქვა.

სახელწოდება ესპანეთი და იბერია – **„ეგუს სკალდენ"**, ერთი და იგივე აზრს გამოხატავს – წარგზავნილს, ელჩს.

ძველ კოლხეთში **„ოდ"**-ი ნიშნავდა მიწის ღვთაებას. ოდოია, ოდიში, ოდა, ოდიშარია, ოდიშვილი ამ ღვთაებასთან არის დაკავშირებული.

მინოსელები, რომლებიც კუნძულ კრეტაზე ცხოვრობდნენ, წარმოშობით პროტოკავკასიური – პროტოქართველები არიან – აკად. ნ. მარის ტერმინით, იაფეტურ მოდგმას ეკუთვნოდნენ. კუნძულ კრეტაზე მცხოვრებმა ხალხებმა შემდგომში შექმნეს კრეტის ცნობილი კულტურა და საფუძველი ჩაუყარეს შესანიშნავ ქალაქ კნოსოს.

კრეტაზე მცხოვრები (კოლხურ-მეგრული) **„იაფეტური"** ტომებისათვის საამაყო იყო, რომ მათ კუნძულზე დაიბადა ზევსი.

**„ოდისევსი პელაზგი ხალხის შვილია (პელაზ-გი). ამ სიტყვიდან ნათლადა ჩანს, რომ პელაზგები, ლაზ ხალხთან (კოლხებთან) არიან დაკავშირებულნი: თვით ოდისევსი კი ლაზი-კოლხია. მისი სახელი შედგება ორი კომპონენტისაგან: ოდო მიწის ღმერთი (კოლხურად) და სევსი (იგივე ზევსი)"** – წერს რ. ერისთავი.

რევაზ ერისთავს მიაჩნია, რომ ძველი ბერძნები და თანამედროვე ბერძნები ეთნიკურად ერთი მოდგმის ხალხი არ არის და ამ ორი მოდგმის ხალხის კულტურა ერთი და იგივე ხალხს არ შეუქმნია. უძველეს დროში – ძვ. წ. დაახლოებით XVI-XV-ს – დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე და კუნძულ კრეტაზე პელაზგები ცხოვრობდნენ.

ამ პერიოდში დაიწყო პელაზგთა ტომის ცივილიზაციის აყვავება, რომელიც შემდგომში მთელ სამყაროში ელინთა (ელადის) ცივილიზაციის სახელით გახდა ცნობილი.

ბერძენი ორი ქართული სიტყვისაგან შედგება: ბერი ანუ იბერი და ძენი, ამიტომ, როგორც ჩანს, მათ იბერის ძენი ეწოდა. ალბათ **„ი"** თანდათანობით ჩამოცილდა და დარჩა **„ბერძენი"**.

ბერძენი ხალხის პირველი დაარსებული ქალაქი იყო ათენა, რომელი სახელიც წმინდა მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, რაც ნიშნავს (ქართულად) **„აი ეს", „აქ", „ეს"**.

**„იბერთა ძენის, პელაზგთა მოდგმის ერმა მისცა მსოფლიოს შეუდარებელი პოეტები: ჰომეროსი, ევრიპიდე, აპოლონიოს როდოსელი, სოფოკლე; შეუდარებელი მოქანდაკენი: ფიდიასი, პრაქსიტელე, გენიოსი ფილოსოფოსები: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, პითაგორა, არქიმედე: ამ ხალხმა შექმნა სწორუპოვარ ღმერთთა პანთეონი: ზევსი, აპოლონი, პრომეთე, პოსეიდონი, ჰაფესი, არტემიდე, აფროდიტე და ბევრი სხვა. ამ ხალხმა მისცა მეცნიერებს განუმეორებელი და შეუდარებელი კანონები."** (**რევაზ ერისთავი,** მზის შვილები, გვ. 39.).

სწორედ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის გასაყარზე ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მოხდა დიდი მასშტაბის კატასტროფა (ამ პერიოდში მოხდა ვეზუვის ამოფრქვევა რომში) და ვულკანურმა ამოფრქვევებმა გაანადგურა ბერძენი ხალხის (პელაზგების) ნაამაგარი, დაიღუპა კრეტა-მინოს, ელინთა კულტურები და ამ უდიდესი ცივილიზაციისა და კულტურის შემქმნელი ხალხის ტერიტორიები ბარბაროსმა ტომებმა მიითვისეს და შთანთქეს. რაც ბერძნების მიერ იყო შექმნილი თითქმის ყველაფერი მიისაკუთრეს.

რევაზ ერისთავი ხაზგასმით წერს: თანამედროვე ბერძნები ანუ გრეკები, გენეტიკურად სულ სხვა მოდგმის ხალხია, ვიდრე დიდი ცივილიზაციისა და კულტურის შემქმნელი ხალხი – პელაზგები (იბერები). რ. ერისთავი ასკვნის: **„თანამედროვე ბერძნები (გრეკები) ჩვეულებრივი ორდინალური ხალხია და კვლავაც ვიმეორებთ, რომ ძველი ელადის გენიოს ხალხთან არც ეთნიკური და არც გენეტიკური ნათესაობა მათ არ აკავშირებთ."**

ასევე ძალიან საინტერესოა საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, ირლანდიასა და შოტლანდიის ტერიტორიებზე მათი ძირითადი მოსახლეობის წარმოშობის საკითხი.

ირლანდია უძველესი დროიდან დასახლებული იყო კავკასიური, იბერიულ-კოლხური ტომებით. უძველეს დროში ირლანდიას ჰიბერნია ერქვა. რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სახელი იბიერაა და ამ ტერიტორიებზე იბერები ცხოვრობდნენ.

იმას რომ ძველი კოლხი-იბერები მთელ მსოფლიოს იყვნენ მოდებულნი შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა ინგლისელმა მეცნიერმა, მწერალმა ქართველოლოგმა დევიდ ლანგმა:

### ლონდონური ბალადა დედაენაზე

*გავჭაბუკდე უნდა ახლა,*
*რა დროს ჩემი სიბერეა,*
*დიდ ბრიტანეთს და ესპანეთს*
*თურმე ექვა – იბერია.*
*დიდ ლონდონშიც გაისმოდა*
*თურმე მათი სიმღერები,*
*ბრიტანეთის მკვიდრიც იყვნენ*
*ხმაკაშკაშა იბერები.*
*არვინ იცის ვინ ჩააქრო*
*ამ იბერთა ძველი კერა,*
*მათი სიტყვა, მათი საქმე,*
*სიყვარული და სიმღერა*
*დაბლა მიწა მოწმედა მყავს*
*ცად ავდივარ ღმერთთან ერთთან*
*იაკობის „დედა ენით"*
*ვლაპარაკობ იბერთ ღმერთთან.*

აღსანიშნავია, რომ ევროპაში, კერძოდ შოტლანდიაში, ხმარობენ ქართული გუდასტვირის ანალოგიურ საკრავ ინსტრუმენტს, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი უძველესი მუსიკალური საკრავია, იგი ახლაც გავრცელებულია რაჭაში (გუდასტვირი), აჭარაში (ჭუნირი).

შოტლანდიაში არის დასახლებული პუნქტი ივერგორდონის (ივერ-გორდონი და ივერერი (ივერ-ერი). არის, აგრეთვე, საგრაფო ქალაქი ივერნესი (ივერ-ნესი), რომელიც ლოხ-ნესის ტბასთან მდებარეობს, რომელშიც შემჩნეულია მეოცე საუკუნის საოცრება – ტბის **„ურჩხული"**.

(წინამდებარე ნაშრომის ავტორი, დარწმუნებულია იმაში, რომ აღნიშნულ ტბაში არავითარი ურჩხული არ ბინადრობს. მეცნიერებს გამოკვლეული აქვთ ზღვებზე და ოკეანეებზე რა არსებები ბინადრობს და ერთი ტბის გამოკვლევა გაუჭირდა?)

**აშშ**-ს ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი ამბობდა, რომ მისი საგვარეულო ჩრდილოეთ ამერიკაში მოვიდა ირლანდიიდან და აირჩიეს ატლანტიკის ოკეანის სანაპირო, სადაც დასახლდნენ, შტატს ჯორჯია უწოდეს, ხოლო ადმინისტრაციულ ცენტრს – ატლანტა.

აქ რამის მინიშნება ხომ არ შეიძლება? ირლანდიას ჰიბერნია ერქვა, იქიდან წამოსულმა ხალხმა აშშ-ში დასახლებულ ადგილს ჯორჯია უწოდა (მაგრამ ეს სახელი საქართველოს პატივისცემისთვის არ შეურქმევიათ, არამედ ინგლისის მეფის საპატივცემლოდ შეარქვეს), დედაქალაქს კი ატლანტა, ხომ არ დაერქვა ქალაქს ატლანტა, ოკეანის სახელწოდების მიხედვით, მაგრამ ჩანს – არა! იმიტომ რომ ქალაქი ატლანტა ოკეანიდან რამდენიმე ასეული კილომეტრითაა დაშორებული.

ბასკებმა, ხალიბებმა, როგორც კი დასახლდნენ კუნძულ კორსიკაზე, კართაგენში, პირენეის მთების კალთებზე, მაშინათვე დაიწყეს მეტალურგიული საქმიანობა (მათ პირველებმა დაიწყეს რკინის გატანა მსოფლიო არენაზე). ძველი ეპოქის ისტორიკოსი კალიმახი წყვეტლის რკინის გამომგონებლებს, რომლებმაც უბედურება მოუტანეს სამყაროს: **„დაე განადგურდეს ხალიბების ტომი, რომლებმაც აღმოაჩინეს ეს ბოროტი ქმნილება და მიწიდან ამოიღეს."**

კანადის ქალაქ ბრომკვილის მახლობლად (კვებეკის პროვინცია) აღმოჩენილი სამი წარწერიანი ქვა თორმეტი წლის მუშაობის შემდეგ გაშიფრა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰოვარდ ფელიმ, ხოლო ლავალის უნივერსიტეტის არქეოლოგიის პროფესორის ტ. ლის აზრით, წარწერიანი ქვები მოწმობენ, რომ კართაგენის ტერიტორიაზე მცხოვრები ბასკები ჩრდილოეთ ამერიკაში ჩასულან 2 ათასი წლით ადრე, ვიდრე იქ კოლუმბის ექსპედიცია მივიდოდა. (ეს სენსაციური ქვები ინახება კანადის ქალაქ შერბურკის ეთნოგრაფიულ მუზეუმში.). მიაჩნიათ, რომ ქვებზე წარწერა გაკეთებულია ძვ.წ. VI საუკუნეში, – წყაროების მოშველიებით წერს რ.ერისთავი.

ბასკები კანადაში ჩასულან მდინარე წმინდა ლავრენტის მიდამოებში, იქიდან მისულან ხუთი ტბის რაიონში და იქ დაუდვიათ ბინა. იბერებმა მეტალურგიული საქმიანობა აქაც განაგრძეს.

ამერიკელი გეოლოგი პროფესორი ნუტენი განმარტავს, რომ ხუთი ტბის მიდამოებში უძველეს პერიოდში რკინის და სხვა მეტალების უმდიდრესი საბადოები იყო. აქ მოიპოვება სპილენძის, თუთიის, ნიკელის, ოქროს, კობალტის საბადოები.

ჩანს, ხუთი ტბის სახელწოდებანი ბასკების (უძველესი კოლხების) შერქმეული უნდა იყოს. მაგალითად: ერის ტბა და ქალაქ ერი (ერი ქართულად ტომს ნიშნავს); ტბა გურონი ალბათ ქურონი – ქურა, ქურო ლითონის სადნობ ღუმელს ქვია ქართულად; ტბა მიჩიგანი, ალბათ მიწიგანი (მიწის განი) – ეს ტბა ვიწროა დასავლეთიდან ჩრდილოეთისაკენ განივარის მიმართულებითაც; ტბა ონტარიო – ონი და რიო, ონი ან მზის ქალაქი, რაჭის პროვინციის უძველესი ცენტრი, რიო კი ქართველთა ბელადი, რომელიც მიწისძვრამდე იბერთა ბასკეთში გადასახლებას მეთაურობდა. რიოთი იწყება აგრეთვე მდინარე რიონის სახელიც; ზემო ტბის სახელი კი ყველა ენაზე ცნობილია.

დროთა ვითარებაში, – აღნიშნავს რ. ერისთავი, იბერები გადაადგილებას იწყებენ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში განვლეს ამერიკის ჩრდილოეთი და სამხრეთი კონტინენტები. ჩანს იმ პერიოდში იბერებმა დაარქვეს კონტინენტს ამერიკა – საქართველოშიც ხომ არის მხარეების დასახელება ამერი, იმერი, რაც აღნიშნული დასახელების იდენტურია. თუ რ. ერისთავის ჰიპოთეზა სწორია, მაშინ აქამდე არსებული შეხედულება, რომელიც უკავშირდება ამერიგო ვესპუჩის სახელს, სწორი არ ყოფილა.

ამ პერიოდში იბერთა თაოსნობით ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე იქმნება აცტეკების, მაიასა და ინკების კულტურები და დიდი ცივილიზაციები. იბერთა პროექტებით იქმნებოდა გიგანტური ნაგებობები, ტაძრები, ქანდაკებები, საირიგაციო სისტემები. ინდიელმა აბორიგენებმა ისწავლეს მიწათმოქმედების წესები, შინაური ცხოველებისა და ფრინველის მოვლა – პატრონობა.

**„საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ მაია, ინკა და აცტეკები იბერთა მოდგმის ტომები არიან... მაგალითად, მაია წმინდა მეგრული სიტყვაა. „მა", „მე"-ს ნიშნავს „იას", „აია" მეგრული გვარების დაბოლოებებშია, ჟორდანია, ჟვანია, კვირაია, კაშია, შენგელაია, ადანაია, ბარქაია, გოგელია, ყოლბაია და ბევრი სხვა... გავიხსენოთ სიტყვა „აია"** – ძველი კოლხეთის სახელმწიფოს სახელწოდება...

რაც შეეხება სიტყვა **„ინკას"** იგი მეგრულად გამოხატავს უცხო მხრიდან მოსულ კაცს. ამ სიტყვას დღეს ხშირად მოისმენთ, განსაკუთრებით სამეგრელოს მთიან რეგიონებში.

აცტეკი – ამ სიტყვას მეგრული (ლაზური) წარმოშობის ძირი აქვს. აცტეკი ანუ ათ-თექი, მეგრულ ენაზე ნიშნავს **„აქ", „აგერ"**. (**რევაზ ერისთავი,** მზის შვილები, გვ. 49-53). ასეთია რ. ერისთავის თვალსაზრისი.

მექსიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ფერადკანიანი ინდიელი აბორიგენების ტომის მრისხანე ღმერთი იყო ვიცლიპუცლი – ჯუჯა არსება, დაღრეჯილი, ფეხმოკლე, რომელიც თითქოსდა ცოცხალი ადამიანების გულს ითხოვდა. საზეიმო კოცონზე შეწვეს ქურუმები დაფდაფების გუგუნში. ცოცხალი ადამიანებს მკერდიდან გულებს გლეჯდნენ.

საკითხავია: ასეთი ზნე-ჩვეულებების და ასეთი შეგნების ადამიანებს შეეძლოთ შეექმნათ მაღალი დონის ცივილიზაცია და კულტურა? ასე რომ, დიდ შეცდომებს ხომ არ უშვებენ დასავლეთელი მეცნიერები (ამერიკელი არქეოლოგი მორლი და სხვები)?

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი, მეცნიერების**
**დამსახურებული მოღვაწე.**

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲬᲘᲥᲠᲝᲡ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ Ბ-Ნ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ, (ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ)**
**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ Ბ-Ნ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔᲡ, (ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ)**
**ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲡ, ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲡ – ᲘᲚᲘᲐ II, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ Ბ-Ნ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲑᲐᲛᲭᲠᲔᲚᲘᲫᲔᲡ**

**(ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ)**

განსაკუთრებით ბოლო წლები მძაფრი პოლემიკით აღინიშნა ქართველი ერის ისტორიაში არსებული წინააღმდეგობების გამო. არაერთი წერილი გამოქვეყნდა პრესაში, დაისვა მრავალი პრობლემური კითხვა, რომელთა მიმართ ობიექტური მიდგომა უდაოდ გადაჭრიდა ქართველი ერის ისტორიაში არსებულ ნაკლოვანებებს, ხელს შეუწყობდა ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფოს მშენებლობას და ქართველი საზოგადოების სულიერ-ზნეობრივ აღმავლობას. ამიტომ, დიდი ინტერესით მოველოდით საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის ახალ გამოცემას, რამეთუ იმედი გვქონდა – ქართველი ისტორიკოსები გაითვალისწინებდნენ საქართველოს ისტორიაში არსებულ ხარვეზებს და, საბოლოოდ, გადაიჭრებოდა სადავო საკითხები. მაგრამ მიზანმიმართულად იქნა იგნორირებული დიდი ივანე ჯავახიშვილის უნდობლობა ლეონტი მროველის **„ცხოვრება ქართველთა მეფეთას"** მიმართ და **„ქართლის ცხოვრების"** ეს ნაწილი, გამჭვირვალე სიცრუეებით სავსე, ისევ უკომენტაროდ დაიბეჭდა.

ჩვენ გვესმის, რომ წერილობითი წყაროების შესწორების უფლება, რამდენადაც არასწორი იყოს იგი, არავის არა აქვს, მაგრამ ჩვენი ერის შეურაცხმყოფელი, საფუძველს მოკლებული ცნობებისათვის კომენტარი დღემდე არავის გაუკეთებია და, ამდენად, არც არავის უარუყვია. პირიქით, სანდო წყაროდ იქნა მიღებული და საქართველოს ისტორიის I ტომი, ისევ ლეონტი მროველის **„ცხოვრება ქართველთა მეფეთა"**-ზე დაყრდნობით დაიწერა.

თითქოსდა ბევრს არ მოსწონს ქართველის ერის წარსულზე უცნაური, შეურაცხმყოფელი ცნობები, მაგრამ, ეტყობა, ისე ძლიერი ყოფილა იბერიული კვალის წაშლის სურვილი, რომ ლეონტი მროველის გაკრიტიკება კი არა, მის მიერ სომხების უსაზღვროდ განდიდებას და ქართველი ერის უმოწყალოდ დამცირებას, ცდილობენ გამართლება მოუძებნონ (იხ. ალექსანდრე აბდალაძე, საქართველოს სომხეთი, 2012, გვ. 30-39). არ აფიქსირებენ, მაგრამ, ცხადია, ასეთია საქართველოს ისტორიის I ტომის შემდგენელთა ნება-სურვილიც.

არ არსებობს სხვა პარალელური წყარო, რომელიც ადასტურებდეს ცნობას, რომ იაფეტის შვილიშვილს – თარგამოსს რვა ვაჟიშვილი ჰყოლოდეს და კავკასიის ნახევარი, **„უმჯობესი მიწები"**, სომხების კუთვნილება ყოფილიყოს. ეს **„ცხოვრება ქართველთა მეფეთას"** ავტორის მოგონილია და არავითარი ისტორიული ღირებულება არ გააჩნია; მეორეც, დამტკიცებულია, რომ **ქართველები** და ის ხალხი, რომლებსაც დღეს **სომხებს** ვუწოდებთ, ანთროპოლოგიურადაც სხვადასხვა ხალხია (ქართველები კავკასიური რასის წარმომადგენლებია, სომხები კი ინდოევროპელები არიან და, შეუძლებელია, მათი ეთნარქები ძმები ყოფილიყვნენ); მესამეც, არ არსებობს არავითარი სანდო წყარო, რომელიც ამტკიცებდეს, რომ ქართული ენა სახელმწიფო და სამწერლობო ენა ყოფილიყოს ქართლის მიერ სამეფოს სტატუსის მიღებამდე, ანუ 899, თუ 888 წლამდე. კაცობრიობის ისტორიას ერთი შემთხვევაც არ ახსოვს ჰეგემონ ეთნოსს სახელმწიფო და სამწერლობო ენად ქვეშევრდომის ენა ჰქონოდეს. **„ცხოვრება ქართველთა მეფეთა"**-ს ავტორს ეს სიცრუე იმისთვის დასჭირდა, რომ ამით იბერიისა და იბერიული ენის არსებობა წაეშალა, პროტოქართულ ენად სომხური წარმოეჩინა და იბერიულ-ქართული მიწები მიეთვისებინა.

**„ცხოვრება ქართველთა მეფეთას"** ავტორს თავისუფლად შეეძლო ფარნავაზი (არავინ იცის სინამდვილეში არსებობდა თუ არა) სამეფო დინასტიის წარმომადგენლად წარმოეჩინა, მაგრამ, მაშინ ამ ნაწარმოებს ცინიკურ ხასიათს ვერ მისცემდა. იგი ხაზს უსვამს, რომ ქართლს (როგორც ქვეშევრდომს) მამასახლისზე დიდი თანამდებობა არასოდეს ჰქონია და ცინიზმი კლასიკურობამდე აჰყავს, როცა მეფე, მამასახლისის ძმისწულს, – გლეხს, მორჩილებას უცხადებს, ხოლო გამეფებული გლეხი, მანამდე, მთელი დასავლეთ იბერიის მფლობელს, საერისთავოდ მხოლოდ ენგურსა და რიონს შორის ტერიტორიას უსაზღვრავს. მაგრამ სომეხი ჩარჩის მემკვიდრეს, თუ ჯაშუშს – ლეონტი მროველს ვერ წარმოედგინა უსინათლო, მაგრამ გონიერი მეფის – თეოდოს II მიერ გადადგმული ჰუმანური ნაბიჯი (ქართლის უფლისწულის – ბაგრატ III ბაგრატიონის ეგრის-აფხაზეთის მეფედ კურთხევა, რომელიც მოგვიანებით პროტოტიპად გამოადგა **„ცხოვრება ქართველთა მეფეთა"**-ს ავტორს), იბერებსა და მისი დედა ტანიდან ამოზრდილ, ალბათ, მანამდე დაჩაგრულ ქართებს შორის, თანასწორუფლებიანობის აღდგენას ემსახურებოდა. თეოდოს II-მდე იბერებმაც ვერ შეუფასეს თანასწორუფლებიანობის სიდიადე და, სწორედ, ამიტომ დაეცა იბერია. ჰეგემონობის ხელში ჩაგდების შემდეგ, ქართებმაც ბოროტად გამოიყენეს ძალაუფლება და ისტორიის სარბიელიდან იბერიული კვალის წაშლის გზას დაადგნენ, რასაც საფუძველი ჩაუყარა ლეონტი მროველმა და, თუ სამართლიანობა ვერ აღდგა (ღმერთმა ნუ ქნას), დიდი დრო არ დასჭირდება ქართველმა ერმა ისტორიის სასაფლაოზე დაიდოს ბინა.

ქართველი ერის მოსალოდნელი დაშლა-დაქუცმაცებისა და მისი საბოლოოდ მოსპობის საფუძველია სიცრუე, თითქოსდა, სახელდობრ, ქართული ენა ფარნავაზის დროიდან სახელმწიფო და სამწერლობო ენა ყოფილიყოს, რადგან ამ სიცრუის საფუძველზეა შექმნილი ქართველი ერის ყალბი ისტორია და ქართველი მეცნიერებიც დღემდე თავდადებით იცავენ ამ სიყალბეს, რაც ავტომატურად იცავს სომხების სასარგებლოდ მოგონილ სიცრუეს, რომლის საფუძველზეც შექმნეს მათ **„დიდი არმენიის"** რუქა და, ამ რუქაში შესული მშობლური მიწების მშვიდობიანად არ დათმობის შემთხვევაში, უკვე, ძალის გამოყენებით, წართმევას გვემუქრებიან. არამეცნიერულია ერთიდაიმავე ავტორის ის ცნობა მიიღო სანდო წყაროდ, რომელიც გაწყობს, ხოლო არ მიიღო ის, რომელიც საწინააღმდეგოა. უფრო კონკრეტულად, თუ მივიღებთ სანდო ცნობად, რომ ქართული ენა ფარნავაზის დროიდან სახელმწიფო და სამწერლობო ენა იყო, რის საფუძველზეც მიმდინარეობს ადამურ-იაფეტურ-ობერიული კვალის წაშლა, მით უმეტეს, როცა ფარნავაზის დროინდელ ენაზე წარმოდგენა არა გვაქვს, არა გვაქვს უფლება უარვყოთ იმავე ავტორის ცნობა, რომ ძვ.წ.აღ. VI საუკუნემდე **„ქართლოსიანთა ენა სომხური იყო"** და კავკასიის **„ნახევარი და უმჯობესი"** მიწები სომეხთა კუთვნილება. აღსანიშნავია, რომ ხალხი, რომელიც თავისთავს არმენს უწოდებს, ჩვენ სომხებს ვეძახით. ეს კი ჩვენი სიბრიყვეა.

ცხადია, ქართული ენა, უძველეს ხანაში, ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენის დედა ტანიდან ამოზრდილი დიალექტია, რამეთუ ქართულად წოდებული ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის გრამატიკა, თითქმის, იბერიულია, ხოლო ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირისეული ფორმები, შეიძლება, სინქრონიულ-დიაქრონიულ დონეზე შევისწავლოთ მხოლოდ იბერიული ენით, ხოლო ეს შეუძლებელია არათუ სომხურისათვის, არამედ ქართველურად წოდებული სხვა ენებისთვისაც.

ამდენად, პროტოქართული ენა (ვაი, სირცხვილო, ამის მტკიცება გვიწევს) სომხური კი არა, იბერიულია.

თვით სომხები, რომლებიც ლეონტი მროველის გადმოცემას ეყრდნობიან, რომელშიც **იბერები** და **იბერია** ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები და იბერიულ-ქართულ მიწებზე პრეტენზიას აცხადებენ, ქართველთა სომხური სახელწოდებით **ვრაც**, გამორიცხავენ ქართლელთა ოდესმე დამოუკიდებლობას და დღესაც ხაზს უსვამენ მხოლოდ იბერების არსებობას [ეთნონიმი **ვრაც** ნაწარმოებია **იბერის** სომხური სახელწოდებიდან იბერაც (იბერაც, ივერაც, ივრაც, ვრაც)].

მაგრამ იქ, სადაც პოლიტიკა მართავს მეცნიერებას, იქ, სადაც მეცნიერული სინდისი და ახალ აღმოჩენებზე ინტერესი არ არსებობს, მეცნიერება ჩაკლულია. უფრო მეტი, ამ გაყალბებული ისტორიის უმტკივნეულოდ დამკვიდრების მიზნით, პირდაპირ აკრძალული მაქვს კომპეტენტური სამეცნიერო აუდიტორიის წინაშე მოხსენებების გაკეთება, თორემ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ისეთი აღმოჩენების განხილვა, როგორიცაა, მაგ., **„რა ენაზე დაიწერა დედანში ბიბლიური დაბადება", „ვინ შექმნა კაცობრიობის პირველი ანბანი", „რომელია არმაზის ბილინგვის საიდუმლო ენა", „რა ენაზე და როგორ წარმოიშვნენ სამეტყველო ბგერები"**, ასევე, **„შეიძლება თუ არა მოვიძიოთ ძირისეული ფორმების მნიშვნელობანი და ჩასახვის მექანიზმები"** და **„შეიძლება თუ არა ფარდა ავხადოთ ენისა და მეტყველების წარმოშობის საიდუმლოებებს"**, თუ, როგორც ენათმეცნირების ინსტიტუტში გვარწმუნებენ, ეს ბედნიერება ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია.

არა, არ დაკარგულა. მეცნიერები ინფორმირებული არიან ზემოთ ჩამოთვლილი საიდუმლოებების გახსნის თაობაზე, მაგრამ სიკვდილი ურჩევნიათ მათ მოსმენას (ჭეშმარიტ მეცნიერს კი, რამდენადაც მძიმე არ იყოს, ოპონენტის მოსმენა უნდა შეეძლოს). სამაგიეროდ, დიდი ენთუზიაზმით ეწევიან სიცრუეთა პროპაგანდას და **ქართული მწერლობის დასაბამი** (სახელდობრ, ასეთი სახელწოდებით) ფარნავაზამდე მრავალი საუკუნით წინ გადააქვთ, მაშინ, როცა ქართული ენა სახელმწიფო და სამწერლობო ენა არ ყოფილა 899, თუ 888 წლამდე, ანუ ქართლის მიერ სამეფოს სტატუსის მიღებამდე, რაც დასტურდება იოანე პეტრიწის **„განმარტებანი <<პროკლე დიოდოხოსის ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა>> ბოლოსიტყვაობაში ნათქვამით; როცა „შუშანიკის მარტვილობა"** დედანში ქართულ ენაზე არ დაწერილა, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ის იბერიულიდანაა ნათარგმნი და ტექსტის გაგებინების დონეს ეტყობა, რომ ნათარგმნია არაუადრეს XIII-XIV საუკუნისა; როცა ბოლნისის სიონის ტაძრის კედელზე არსებული წარწერა XIII-XIV საუკუნის ქართულითაა დაწერილი და არა V საუკუნეში არსებული მდაბიური ქართულით. იგივე ითქმის იერუსალემის ლაზთა მონასტრის იატაკზე დატანებულ წარწერაზეც.

ამ დროს, **კაცობრიობის პირველი ცივილიზაციისა და პირველი დამწერლობის შემქმნელი ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენა, რომელიც ყველა სხვა ენებისაგან განსხვავებით, სამეტყველო ბგერების წარმოშობის საიდუმლოებებს ინახავს, დღეს ცინიკურად სახელშეცვლილი და წოდებული მეგრულ ენად, უნდათ ქართული ენის კილოკავად თუ არა, დიალექტად მაინც დაადგინონ და ამით, ნებსით თუ უნებლიედ, ქართველი ერი უსაძირკვლო ტაძარს დაამსგავსონ**. ღიად, თუ ანონიმურად, სწორედ, ამისთვის იბრძვის ენათმეცნიერი ტ. ფუტკარაძე, ხოლო მისთვის დასმულ კითხვებს კი ის უსირცხვილოდ გაურბის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეგრის-აფხაზეთისა და ქართლის გაერთიანების შემდეგ, პეტრიწის წინარე ხანაში, იმიტომ მომრავლდნენ **„უმეცარი, დიდების კმაყოფილებით გარსმოხვეული და თავისი უსწავლელობის მხილების უნარმოდუნებული მთარგმნელები"**, რომ თავისი არსებობის მანძილზე **ქართლურ** ენას პირველად მიენიჭა სახელმწიფო და სამწერლობო ენის სტატუსი. ამიტომ, ბუნებრივია, ამ ენაზე მანამდე არავითარი ლიტერატურა არ არსებობდა და, ამდენად, შეუძლებელია, ის განვითარებული და სამწერლობო ენა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც კი მიენიჭა საერთო სახელმწიფო ენის სტატუსი, სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა ეზრუნათ საკუთარ ენაზე ლიტერატურის შექმნაზე და, ბუნებრივია, პირველ რიგში თარგმნას მიჰყვეს ხელი. ხოლო ახ.წ.აღ. 523 წლამდე რომ იბერები და იბერიული ენა ჰეგემონობდა, ისტორიული ჭეშმარიტებაა და მისი იგნორირება და დამალვა დანაშაულია.

იოანე პეტრიწი (1050-1125) დიდად უკმაყოფილო და შეძრულია ქართლური ენის სიღარიბისა და მდაბიურობის გამო. ამიტომ დაუსახავს მიზნად თავისი გვარ-ტომის ენის რეფორმა: **„არა ვეც რული"** ჩემს სარეცელს და არცა წამი ჩემი სულის მოსასვენებლად, სანამ არ მომხედა მე გონებითმა ცისკარმა დღისაკენ, რომელსაც უმეცრებათა სიბნელე აღარ ენაცვლება და აღვიშურვე მე ჩემი გვარ-ტომისათვის შემექმნა ენა სიტყვამდიდარი და განსხვავებული მდაბიოთაგან (იოანე პეტრიწი, განმარტებანი <<პროკლე დიოდოხოსის თმრთისმეტყველების საფუძვლებისა>>, დ. მელიქიშვილისეული თარგმანი, 1999, გვ. 214).

თუ შევადარებთ ერთმანეთს V-X საუკუნისად მიჩნეულ ძეგლებს (**„წამებაჲ წმიდისა შუშანიკისაჲ"**, ბოლნისის სიონის ტაძრის კედელზე და იერუსალემის ლაზთა მონასტრის იატაკზე დატანებული წარწერები, **„ცხრა ძმა კოლაელთა"** და სხვა), უგანათლებულესი იოანე პეტრიწის შრომებს და ზაქარია იბერის **„პეტრე იბერიელის ცხოვრების"** XIII-XIV საუკუნეში მცხოვრები მღვდლის, მაკარ მესხისეულ თარგმანს, დავრწმუნდებით, რომ ამ სამ სხვადასხვა ხანაში შექმნილი ლიტერატურული და სხვა წერილობითი ძეგლებიდან V-X საუკუნისად მიჩნეული და XIII-XIV საუკუნის, ანუ რეფორმის შემდეგდროინდელი ქართული ენის თხრობისა და გაგებინების დონე ფაქტიურად ერთნაირია და ძველი ქართული ენის არასპეციალისტისთვისაც არაფერია გაუგებარი, ხოლო ენა უგანათლებულესი იოანე პეტრიწისა, რომელიც მოღვაწეობდა XI-XII საუკუნის მიჯნაზე და, მიუხედავად იმისა, არაფერი დაუშურებია თავისი გვარტომისათვის (ქართებისათვის) შეექმნა **„სიტყვამდიდარი, მდაბიოთაგან განსხვავებული"** და **„ბერძნულის ბადალი"** ენა, 50% პეტრიწისეული რეფორმის შემდეგაც გაუგებარია და, სწორედ, ამიტომ მოითხოვა თარგმნა.

ამდენად, დიდად საეჭვოა, პეტრიწის წინარე ხანისად მიჩნეული ლიტერატურული და სხვა წერილობითი ძეგლები XIII საუკუნეზე ადრე იყოს შექმნილი ქართლურ ენაზე და დატანებული აღნიშნულ მონასტრებზე.

ასეთ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენია პეტრიწის წინარე ხანის, ანუ რეფორმამდელი ქართლური ენა განვითარებული და სამწერლობო ყოფილიყო.

ამრიგად, **ქართლური** ენა, ქართლის მიერ სამეფოს სტატუსის მიღებამდე, სახელმწიფო და სამწერლობო ენა არასოდეს ყოფილა. ეს ისტორიული ჭეშმარიტებაა და არავისთვის საწყენი არ უნდა იყოს; არც სომხური ყოფილა პროტოქართული ენა და კავკასიის **„ნახევარი და უმჯობესი"** მიწები კი არა, ე.წ. სომეხ ერს ძვ.წ.აღ. II საუკუნემდე კავკასიის მიწაზე ფეხი არ დაუდგამს; **„ისტორიის მამას"** – ჰეროდოტეს ისინი ერთი სიტყვითაც არა აქვს ნახსენები მაშინ, როდესაც ყველა მეზობელ ქვეყნებსა და ხალხებს საოცარი სიზუსტით აღწერს. ყველაფერი ეს სომეხი ჯაშუშის – ლეონტი მროველის შეთხზულია, რომელმაც რუსურბნისი ჰედონიზმისა და გარყვნილების ბუდედ აქცია და დიდი დავით აღმაშენებლის სამართლიანი რისხვა (ბევრი სამღვდელო პირი გაკრიჭა და ეკლესიაში მსახურება აუკრძალა) დაიმსახურა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქართველმა მეცნიერ-მოღვაწეებმა ტერმინი **იბერი** და **იბერია**, საერთოდ, წაშალეს. მაგ., პეტრე იბერი, ზაქარია იბერი, პირინეის იბერები, კელტ-იბერები და ა.შ. პეტრე ქართველით, ზაქარია ქართველით, პირინეის ქართველებით, კელტ-ქართველებით და ა.შ. შეცვალეს. უცხოური წყაროები კი მხოლოდ იბერიას მოიხსენიებენ, ხოლო სახელმწიფოს, სახელწოდებით **საქართველო**, გვიან XIV საუკუნემდე არ იცნობს გარე სამყარო.

**ᲙᲣᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲤᲘᲐ**
**„ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡᲐ" ᲓᲐ „ᲐᲘᲐᲡ" ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# რა საფრთხეებს უქმნის საქართველოს გლობალიზაცია

***ევრაზიის ინსტიტუტმა კინოს სახლში, მედიაკავშირ "ობიექტივის" მხარდაჭერით აკადემიური საზოგადოების ნაწილი შეიკრიბა, სადაც განხილულ იქნა საქართველოს სამომავლო პრობლემები და პერსპექტივები გლობალიზაციის პროცესის ჭრილში. შეხვედრას, ევრაზიის ინსტიტუტის წევრების გარდა ესწრებოდნენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები.***

***გლობალიზაცია – ეს მოდური ტერმინი, მიუხედავად თავისი აბსტრაქტულობისა, მეტად აქტუალურია საქართველოსთანა მცირე ქვეყნებისათვის. ქართველ საზოგადოებას უჩნდება კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შესძლებს მცირერიცხოვანი ერი თავისი იდენტობის შენარჩუნებას გლობალიზებულ სამყაროში, დიდი ცივილიზაციის ჭიდაობის პირობებში. რამდენად იქნება დაცული ჩვენი რელიგიური, კულტურული და ეროვნული თვითმყოფადობის პირობებში, როდესაც საზღვრებიც კი არ გვაქვს მეზობლებთან დემარკირებული და ასეც რომ იყოს, გლობალიზაცია სწორედ იმას ნიშნავს, რომ მას მხოლოდ საზღვრებით ვერ აღუდგები წინ. მაგრამ იქნებ არც არის საჭირო გლობალიზაციისადმი წინააღმდეგობის გაწევა და იგი უფრო მეტი სიკეთეების მომტანია, ვიდრე ვნება შეეძლო? ამ და სხვა კითხვებით მივმართეთ ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, პოლიტილოგიის დოქტორს* **გულბაათ რცხილაძეს.**

**– ბატონო გულბაათ, რამდენად პროდუქტიულია ამ მომენტისათვის ამგვარ მასშტაბურ თემებზე, როგორიც გლობალიზაციის თემაა, მსჯელობა?**

– გლობალიზაციის პროცესები საქართველოს მომავლისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთრივ 1 ოქტომბრის არჩევნები. დაახლოებით ორმა ათეულმა მეცნიერმა და სტუდენტმა წერილობით წარმოადგინა საკუთარი მოსაზრებები მოცემულ თემაზე, რომლებიც ბროშურის სახით გამოიცემა ჩვენი ინსტიტუტის მიერ. გაიმართა ზეპირი მსჯელობაც. ამიტომ, მიმაჩნია, რომ შეკრება საჭირო და პროდუქტიულიც იყო.

**– გლობალიზაცია ფართო ცნებაა. როგორ უნდა მივუსადაგოთ იგი ქართულ რეალობას და, კერძოდ, რა მომენტებია ჩვენთვის საყურადღებო?**

– ბევრი მომენტია საყურადღებო. მართალი ბრძანდებით, რომ კონკრეტიზაციაა საჭირო, ანუ ზოგადი, ჟურნალისტური ტერმინოლოგია სამეცნიერო ჩარჩოებში უნდა მოვაქციოთ, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენთვის ამ თემის სამეცნიერო კვლევაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება, რისკ-ფაქტორების გამოყოფა და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება. ჩვენი საზოგადოება დღეს შეშფოთებულია იმ არატიპიური, საქართველოსთვის თვისობრივად უცხო მოვლენებით, რომლებსაც აქვთ ადგილი. შეიძლება მოვიხმოთ ე.წ. გეი-პარადის მოწყობა თბილისში ან ქაშუეთის ტაძრის ეზოს კედლებზე წმინდა ნინოს ე.წ. კარიკატურული გამოხატვა, სავალალოდ ცნობილი რუსული პანკ-ჯგუფის მხარდაჭერის მოტივით. ყოველივე ეს გახლავთ სწორედ გლობალიზაციის პროცესების გამოხატულება, ანუ, რადაც მოვლენებს ერთ ქვეყანაში, უნდა მოჰყვეს ჯაჭვური რეაქცია სხვა ქვეყნებში. მაგრამ ეს არ ხდება თავისთავად, როგორც ბევრს ჰგონია და როგორც ამაში არწმუნებენ ხალხს, არამედ განზრახ, გარკვეული რეჟისურით. აი, სწორედ აქ არის პოლიტიკური სახის საფრთხე და ამას სჭირდება საზოგადოების მზადყოფნა, დაიცვას საკუთარი ფასეულობები, საკუთარი ღირსება, არ გახდეს გლობალისტური ძალების მორჩილ დანამატს.

მორალურ-ფასეულობრივი თვითმყოფადობის წაშლის გარდა გლობალიზმი ეროვნული წარმოების მორღვევას, ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე დამოკიდებულებასა და საერთოდ, ეკონომიკურ ჩამორჩენასაც მოასწავებს საქართველოს ტიპის განვითარებადი ქვეყნებისათვის. საქართველო ვერასოდეს ჩამოყალიბდება რეალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, თუკი იგი არ ეცდება, წინ აღუდგეს გლობალისტურ ჭაობში ჩათრევის შეუწყვეტელ პროცესს.

**– თქვენი აზრით, გამოდის, რომ გლობალიზაცია ხელოვნური პროცესია და მას მხოლოდ უარყოფითი შედეგები მოაქვს?**

– გლობალიზაციას სხვა ინტერპრეტაციაც აქვს, კერძოდ ის, რომ იგი ბუნებრივი პროცესია, ისტორიის ლოგიკური განვითარება და მის უკან არ დგანან ვიღაც რეჟისორები და **"ბოროტი ძიები"**. დიახ, ეს მომენტიც არსებობს – მსოფლიო მასშტაბით სატრანსპორტო სისტემისა და ტელეკომუნიკაციების განვითარება, განსაკუთრებით, ინტერნეტში ჩართულობა, ინფორმაციების მყისიერი გავრცელებისა და გაცვლის საშუალებების გაჩენა, რაც მე-20 საუკუნემდე არ არსებობდა, ასევე მიიჩნევა გლობალიზაციის გამოვლინებად. მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რაც ზემოდ ითქვა – კერძოდ, რომ გლობალიზაციის ამა თუ იმ მიმართულებას ხელოვნური ხასიათი აქვს და კონკრეტული დამკვეთები ჰყავს. გლობალიზაციის მახინჯი ფორმებით განვითარებას მხარს უჭერს დასავლეთი, **აშშ**-ის ხელმძღვანელობით. სწორედ მათი სპეცსამსახურები დგანან ბევრი ნეგატიური მოვლენის უკან. ამას ნაწილობრივ არც მალავენ და სპეცსამსახურები იქით იყოს, დიპლომატიის დონეზეც ადასტურებენ. ისევ და ისევ მაგალითი, რომ ჩემი საუბარი ჰაერიდან მოტანილს არ დაემსგავსოს: **აშშ**-ის ელჩები და სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი დაესწრნენ გეი-აღლუმს რიგაში, ხოლო თბილისში ამ კატეგორიის დემონსტრატებთან ბრიტანეთის ელჩი მივიდა პარლამენტის შენობის წინ... მეტი რაღა მტკიცება სჭირდება იმას, რომ გლობალისტური ტენდენციები ყოველთვის ისტორიის ბუნებრივ მსვლელობას არ წარმოადგენს და ისინი კონკრეტული სახელმწიფოების – დასავლური სახელმწიფოების პოლიტიკის შედეგს წარმოადგენენ? ასევე ყურადსაღებია, რა თქმა უნდა, მართლმადიდებელ ეკლესიასთან ქიშპი და ჩვენი სარწმუნოების იურიდიული სტატუსის გათანაბრება სხვა რელიგიებთან. ესეც გლობალისტური მომენტია. მინდა აღვნიშნო, რომ გლობალიზაცია თავისი არსით ახალი მოვლენა არ არის. ძველი რომის იმპერიაც **"გლობალური"** სახელმწიფო იყო, რადგან მასაც ჰქონდა უნივერსალური ხასიათი. რომაული ფული ბატონობდა ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან შავი და აზოვის ზღვების სანაპიროებამდე. დღესაც ერთი ჰეგემონი ვალუტაა მსოფლიოში – ამერიკული დოლარი, თუმცა მისი პოზიციები ბოლო დროს გარკვეულწილად შესუსტდა. დღევანდელობის არსებითი განსხვავება რომის თუ შუა საუკუნეების იმპერიებთან იმაში მდგომარეობს, რომ გაჩნდა გლობალისტური ექსპანსიის დახვეწილი მეთოდები, როდესაც სამხედრო ძალის გამოყენება არ არის საჭირო. გლობალიზმი (ანუ, რეალური სახელი რომ დავარქვათ მას – დასავლური სამყაროს ექსპანსია) რადიაციასავით უხილავად ვრცელდება. გარდა ამისა, თუკი რომის იმპერია პროგრესის მომტანი იყო **"ბარბაროსი"** ხალხებისათვის, დღეს ამას უკვე ვეღარ ვიტყვით, რადგან დასავლეთზე უფრო ძველი და განვითარებული კულტურის ერები დგანან გლობალისტური **"ურავნილოვკის"** საფრთხის წინაშე.

**– ანტიგლობალისტურ მოძრაობაზე რას იტყვით, რომელიც ბოლო ათწლეულის მანძილზე გააქტიურდა მსოფლიოში? პრინციპში ესეც ხომ "გლობალისტური" მოვლენა გამოდის, რადგან ტრანსნაციონალურ პრინციპზე დგას და მსოფლიო მასშტაბის მოძრაობაზე აცხადებს პრეტენზიას?**

– სამწუხაროდ, ანტიგლობალისტური მოძრაობა ქაოტურია, არ ჩანან არც მოძრაობის ლიდერები, არც იდეოლოგია და გაცნობიერებული ფასეულობები. მართალს ბრძანებთ, თავისი არსით ეს **"ანტიგლობალისტური"** მოძრაობა სწორედ გლობალიზმს ემსგავსება, რადგან არ არის გამყარებული კონკრეტული შინაარსით, კონსტრუქციული ხედვებითა და გეგმებით.

**– თქვენი აზრით, რამდენად აქვს საქართველოს შანსი, თავი დაიცვას მძლავრი გლობალისტური ძალების ზემოქმედებისაგან?**

– ჩვენ, ქართველებმა, უნდა ვისწავლოთ დიდი ცივილიზაციური სივრცეების კატეგორიით აზროვნება, ანუ, უნდა გამოვიდეთ ჩვენი ვიწრო-ნაციონალისტური ნაჭუჭიდან. ქართული პოლიტიკური ელიტის ნაწილი გლობალისტურ ძალებთან არის შეკრული და ამას ვიწრო-ნაციონალისტურად, კერძოდ, ანტირუსული დისკურსით ასაბუთებდა. ეს არის მახე, რომელშიც არ უნდა გაებას ქართველი ხალხი, არ უნდა მივცეთ საშუალება ამ თვალთმაქცებს, რომ ჩვენი ეროვნული გრძნობებით მოახდინონ მანიპულირება თავიანთი შავ-ბნელი მიზნების განხორციელების მცდელობისას. ჩვენ სწორედ ამ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ, რომ ვართ მართლმადიდებელი ქრისტიანები და მივეკუთვნებით საერთო-მართლმადიდებელ სივრცეს, რომელსაც ევრაზიული სივრცე ეწოდება. ევრაზია მუსულმანებთანაც კეთილმეზობლობასა და ურთიერთობებს გულისხმობს, ნაცვლად მათთან კონფრონტაციისა, რასაც გვთავაზობს დასავლური ალტერნატივა. აბა, დავფიქრდეთ, გვაწყობს ჩვენ, ვიყოთ დასავლეთის დამანატი (მისი თანასწორუფლებიანი ნაწილი ვერც გავხდებით, თუმცა ბევრს ეს უნდა), მაშინ როდესაც დასავლეთში მოქმედებს მძლავრი პროვოკაციული ჯგუფები, რომლებიც უკვეთავენ მუსლიმების მოციქულ მუჰამედზე კარიკატურებსა და ბინძურ ფილმებს? მე მგონი, რომ ეს საქართველოს არაფერში სჭირდება. ჩვენ გვაქვს ჩვენი სარწმუნოება, რომლის საფუძველზეც უნდა ავაგოთ პოლიტიკური იდეოლოგია. ეს იქნება ყველაზე უფრო ადამიანური და პროგრესული იდეოლოგია, თუკი ჩვენ შევძელით მისი კოდიფიცირება და გასისხლხორცება. ეს არის ის მინიმალური ფუნდამენტალიზმი, რომელიც ნებისმიერ ცივილიზაციას და მძლავრ სახელმწიფოს აქვს. როგორ ფიქრობთ, ამერიკა, ევროპა, არ არიან ფუნდამენტალისტები? რა თქმა უნდა, არიან. მათ აქვთ მკაცრი იდეოლოგიური ჩარჩოები, მათი პოლიტიკა დგას გარკვეულ იდეურ ფუნდამენტზე, რომელსაც ისინი არ გადაუხვევენ. სწორედ ეს არის ფუნდამენტალიზმი, რომელსაც ჩვენ გვისაღებენ **"ფანატიზმად"** და ლამის **"ტერორიზმად"**, ამ დროს კი თავად პირველი ფუნდამენტალისტები არიან. ჩვენი მომავალი გადის ევრაზიაზე, ქრისტიანულ-მუსლიმური ხალხების თანაცხოვრებაზე, დასავლეთთან ნორმალური, პარტნიორული ურთიერთობების შენარჩუნებით, მასთან ტერორიზმის დაძლევის საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობისა და ინტენსიური კულტურული დიალოგის ფარგლებში. ფიქრი რადიკალურ დასავლურობაზე, ანდა კავკასიურ იზოლაციონიზმზე (**"კავკასიური სახლის"** და მსგავსი მარგინალური იდეები, რომლებიც ცხოვრებამ უარყო) არაფერს გვარგებს.

ინტერვიუ ჩაწერა
**ლიზა მახარაშვილმა**

## „ედინაია როსია“ თბილისთან დიალოგისთვის მზადაა

პარტია **„ედინაია როსია“** რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობებზე თბილისთან დიალოგისათვის მზად არის. ამის შესახებ რფ-ის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების კომენტირებისას განაცხადა. მისივე თქმით, ამ არჩევნების შედეგებით, საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი უფრო მრავალფეროვანი გახდება და პარლამენტშიც გაცილებით კონსტრუქციული ძალები შევლენ.

დიმიტრი მედვედევმა, ასევე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ **„ედინაია როსია“** ყოველთვის ინარჩუნებდა კონტაქტებს საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან.

რუსეთის პრემიერ-მინისტრის შეფასებით, საქართველოში არჩევნების შედეგები მოწმობს, რომ **"ამ ქვეყნის მოსახლეობას კარდინალური ცვლილებები სურს“.**

**საძინფორმი**

# გულითადი მილოცვა და რამდენიმე შეკითხვა ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ქართველ ემიგრანტთა სახელით

საოცარი და სასიხარულო ამბები მოხდა ამ დღეებში ჩვენსას!..

სამწუხაროდ, გულსაკლავი და სამარცხვინო საქმეების მოწმეც გავხდით:

თითქმის ერთი ხელის დაკვრით ჩამოიშორა ქართველმა ხალხმა წლების განმავლობაში დაბუდებული შიში, რასაც ადექვატური შედეგი მოჰყვა საპარლამენტო არჩევნებზე!

რაც, მართლაც საოცარი და სასიხარულოა!

ადრინდელ არჩევნებზე ყველა რეგიონში **"გარანტირებულ"** გამარჯვებას მიჩვეული ნაციონალები და მათი ლიდერი, ამჯერად მხოლოდ არაქართულ რეგიონებში გრძნობდნენ საკუთარ სახლში თავს!

ამაშიც დაგვეთანხმებით – მართლაც საგანგაშო და გულსაკლავია რადგან:

**სომხებმა – რომლებიც ცხრაასზე მეტ ისტორიისა და კულტურის ძეგლს გვედავება, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ!**

**და**

**აზერბაიჯანელებმა – რამდენიმე კვირის წინ დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსს გვაგლეჯდნენ ხელიდან, ურთიერთმტრობა დაავიწყეს, ერთ მუშტად შეიკვრნენ და მიშას და მის ნაციონალებს, უცოცხოდ და უხელკეტოდ, ბოლომდე მისცეს ხმა!**

ღმერთო, მაპატიე, თუ შეგცოდე!

ოღონდ ესენი შერიგდნენ და ჩვენ ამასაც ავიტანთ! მაგრამ, ეს რომ ასე არ მოხდება აქედანვე ცხადია, რადგან დიდი ხანია მივეჩვიეთ – **სომხები და აზერბაიჯანელები მაშინ ერთიანდებიან და პირად მტრობას ივიწყებენ, როცა იგი ქართული ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული!**

არაერთხელ დაგვიწერია და გვითქვამს – საქართველოში მცხოვრები ყველა უცხოტომელი ქართველებთან ერთად თანაბრად იყოფს ყველა სიკეთეს, რაც ქვეყანაში ხდება, მაგრამ, როცა ქვეყანას უჭირს ისიც დაკანონდა – ქვეყნის გასაჭირი მათი გასაჭირი არ არის და არც ვითხოვთ მათგან თანადგომას!.. ის კი არა, იმაზე უნდა ვილოცოთ თურმე – საქართველოს შემოსეულ, თანამედროვე **"აღა-მაჰმად ხანებს"** კრიტიკულ მომენტში გვერდში არ დაუდგნენ და მათი წინამორბედებივით არ გაამხნევონ – **დროზე დაჰკარ მათ (ქართველებს), ფეხზე არ წამოდგნენ, თორემ მერე ვეღარ მოერევიო!**

ასე იყო თუ ისე, მოსახდენი მოხდა, როგორც ყოველთვის – სხვისი ცუდი უფრო მოგვხვდა თვალში, ვიდრე საკუთარი, რადგანაც არც ზუგდიდელი და მარტვილელი ამომრჩევლის საქციელი იყო სანაქებო, როცა პირველებმა ძალადობას მისცეს ხმა, მარტვილელებმა კი უნიკალურ არჩევანზე თქვეს უარი და ეს ჩვენ არ გვიკვირს, რადგან – **საკუთარ თავზე, მხოლოდ ღირსეული საზოგადოება მაღლდება!**

**ზუგდიდელებიც და მარტვილელებიც, ქართული საზოგადოების ნაწილია, რომელსაც,** არა ერთხელ გვითქვამს და გვიწერია – **დიდი ხანია, საზოგადოებრივი მორალი, პასუხისმგებლობა და ღირსება არ გააჩნია!**

ამ თემას, ჩვენ მოგვიანებით მივუბრუნდებით. ამჯერად იმაზე ვისაუბროთ, რა სჯობია საქართველოსთვის და მისი მოსახლეობისთვის და არა იმაზე, რა უნდა ჩვენგან აშშ-ს, ან რუსეთს!

...ჩვენ, ჩვენი სოფლის და ბავშვობის სიყვარულმა და ოცნებამ ჩამოგვიყვანა საქართველოში, რომელსაც არაფერი აქვს საერთო პარტიულ და პოლიტიკურ ინტერესებთან, საკუთარი, დასნეულებული სული გვტკივა და არ გვასვენებს, თორემ კრინტსაც არ დავძრავდით!

...ისედაც ცოტანი დარჩით ამ ქვეყანაზე!

საოცარია – როცა ხელისუფალთ მისათვლელი ხმები სჭირდებათ, დავით აღმაშენებლისა და თამარის საქართველოს ვჭარბობთ, ხოლო, როცა მარტო გვიწევს ჩვენი სამშობლოს სოფლების, კუთხე-კუნჭულის შემოვლა, ბალახამოსული კიბე-საფეხურები უფო ჭარბობენ, ვიდრე მოლგადახალიჩებული, ბავშვმრავალი სახლკარები!

ათ ოქტომბერს ოცი წელი შესრულდება, მას შემდეგ, როცა – **"შევარდნაძე-უხსენებელმა"** ქურდი, მამაძაღლი, ქვეყნის გამყიდველი და მოამაგე ერთად შეჰყარა ე.წ. **"იმელის"** შენობაში და ხალხის რჩეული პარლამენტი უწოდა მას!

ბევრი მათგანი გასულ არჩევნებშიც მონაწოლეობდა და კუდამოძუებულებმა დატოვეს სარბიელი, რადგან დღეს არავის სჭირდება მათი ხმები, მაგრამ დამარცხებული ხელისუფლება მათ არ დაივიწყებს, დროებით ნაფტალინს მიაყრის და, როცა დასჭირდება ობსაც მოაცლის და **"ძველ დამსახურებებსაც გაუხსენებს"** ისე, როგორც ობმოკიდებულ ვაჟა ადამიას და მისი საზოგადოების გამოჩენისას მოხდა ამ დღეებში!

არავის უკითხავს ხალხისთვის, მაშინ, ოცი წლის წინ, ვის და რატომ ირჩევდნენ, რა დამსახურებისთვის უნდა ყოფილიყვნენ ისინი ქვეყნის და იმ ხალხის მომავლის გადამწყვეტები, ვისი სახელითაც, მაშინდელი ხელისუფალნი, ომებს იწყებდნენ და მარცხით ამთავრებდნენ, ათასობით ადამიანის სიცოცხლე გასწირეს და დღენიადაგ იმას ითხოვდნენ – **კიდევ ცოტა გვაცალეთ და აგაშენებთო!**

ყოველი მორიგი არჩევნების წინ, ამომრჩეველთა რაოდენობა იზრდებოდა, პარალელურად – კიბეებზე ბალახამოსული და სახურავ-ჩაქცეული, გაუკაცრიელებული კარ-მიდამოებიც ემატებოდა სოფელს!

არც ოცი წლის შემდეგ შეცვლილა ბევრი არაფერი, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ათეული კილომეტრი ავტობანის დაგებას, შუშებიანი სახლების და პოლიციის გამჭვირვალე განყოფილებების მშენებლობებს, რომელთაც, არც ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება მოჰყოლია და არც საკუთარი მოსახლეობის ცოცხებითა და ხელკეტებით წამება-გაუპატიურებისთვის შეუშლია ხელი!

ვერ გამოვიდა ხელისუფლება და მასთან ერთად საქართველოს მოსახლეობა **"შევარდნაძე-უხსენებელის"** მიერ თვალებზე ჩამოფხატული ბურუსისგან!

**...გადავედითო ჩვენ ოპოზიციაში და ფრთხილად იყავით – მოსვენებას არ მოგცემთო! –** დაემუქრნენ **"ნაციონალები"** და მათი პრეზიდენტი მიშა სააკაშვილი **"ახალ ოცნებას"** და მეორე დღეს ვაჟა ადამია გამოჩნდა თავ-კისერ ერთნაირად გასუქებულ **"გია ჭანტურიას კუთვნილ"**, ხალხის მიერ დაფინანსებულ, სამთავრობო პირველ არხზე!

გაოცებასთან ერთად, ყურებში ცნობილი გამოთქმა **"შენმა მზემან, აქამომდე, მე ოცხალიმც არ მეგონე"** ამოხმიანდა!

ერთი საათი **"ისაუბრა"** არ ჰქვია მას, რაც ბ-ნი ვაჟასგან მოვისმინეთ, მაგრამ ამჯერად ასე დავარქვათ, ეს არ არის მთავარი. ჩემთვის მოულოდნელი და ამაზრზენი ის იყო, რომ ამ ცოდვიან არსებას, ოცი წლის მერეც ვერაფერი შეუგნია და ძველებურად აგრძელებს ზვიად გამსახურდიას ძაგებას, **"შევარდნაძე-უხსენებელი"**-ს და **სააკაშვილ ქვეყნის დამაქცევარის** ნამოქმედარის გამართლებას!

ამ სისაძაგლეზე აქ არ გავაგრძელებ საუბარს, მაგრამ თავს უფლებას ვერ მივცემ მოკლედ მაინც არ მივანიშნო იმ საშიშროებაზე, რაც შუბლის ძარღვგაწყვეტილი (როგორც მას ერთერთმა რადიომსმენელმა უწოდა!) ვაჟა ადამიას გამოჩენას შეიძლება მოჰყვეს:

ჩვენ არ ვიცოდით, მას და მის საზოგადოებას არჩევნებში რომ მიუღიათ მონაწილეობა. მათ შედეგზე აქ არ მოგაწყენთ, მთავარი ეს არ არის, მთავარი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ მან ვიღაცის რჩევით თავი შეახსენა საზოგადოებას! ეს ვიღაცა კი დარწმუნებული ვართ, დამარცხებული **"ნაცმოძრაობაა"**, რომელმაც შორიდან გათვალა ადამიას საჭიროება და მისი გამოჩენა სააკაშვილის და მისი ბანდის ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ რომ არ მომხდარიყო, მოვლენებს დაასწრეს და მას წლების მანძილზე უსაქმოდ გდებისგან მოკიდებული ობი და ხავსი ჩამოაცილეს!

ადამიამ ყველაზე უკეთ იცის, რომ არცერთ ხელისუფლებას ის არ დასჭირდება და თავს ოპოზიციონერად წარმოაჩენს იმ იმედით რომ, ოცდაერთი წლის შემდეგ ჩემი მოღალატეობა ვის ეხსომებაო!

ასე არ არის საქმე, შენ რომ ფიქრობ ვაჟა ადამიავ, ხალხს არაფერი დავიწყნია – შენ ოპოზიცია არასოდეს ყოფილხარ, შენ მოღალატე იყავი ყოველთვის და თურმე დღემდე იგივედ რჩები! შენისთანა ხალხი გაკოტრებულ მიშა სააკაშვილისა და მის ნაციონალებს თუ დასჭირდებათ მხოლოდ, ამიტომაც გამოგაჩინეს და გაქებინეს მათი კრიმინალური საქმიანობა! აქამდე, არცერთ ოპოზიციურ ძალას არ გაუმართლებია ციხის ჯალათების ნამოქმედარი **"მერაბ კოსტავას"** წმინდა სახელს ამოფარებული ვაჟა ადამიას გარდა!

დარწმუნებული ვართ, ის რადიომსმენელი **"შუბლისძარღვგაწყვეტილი"** რომ გიწოდათ, თქვენი ყოფილი, გონსმოგებული თანამებრძოლი იქნებოდა, რომელიც მაშინვე იცანით და სიტყვა გააწყვეტინეთ!

...ახალი ხელისუფლება უნდა მიესალმოს (ვიმედოვნებთ, რომ ეს ასეც მოხდება!), "**სამართლიან ოპოზიციას**", მაგრამ უნდა უფრთხილდეს ვაჟა ადამიასნაირებთან წილნაყარ ოპოზიციას, რადგან ვაჟა ადამიას შემდეგ მხედრიონი და მისნაირი ორგანიზაციებიც მალევე გაჩნდებიან მათ გვერდით. მითუმეტეს, ყოფილ მხედრიონელებს **"ნაცების"** პარლამენტსა და მთავრობაში მნიშვნელოვანი პოზიციები ეჭირათ!

...ხალხს ვერაფერს გამოაპარებ – ოცი წლის მანძილზე უკანონობასა და ყოველი ახალი არჩევნების მერე, უზომოდ გამდიდრებული, ადრე **"ცალ-ცალი კალოშებით"** მოსული პარლამენტარების შემხედვარეს!

ამიტომ ჩვენი მეგობრებისა და ამომრჩევლების სახელით, ვასრულებთ ერთ უმნიშვნელოვანეს დავალებას, რამდენიმე კითხვით მივმართოთ **"ქართული ოცნების"** ლიდერს, ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს:

გაქვთ თუ არა შესწავლილი თქვენი გუნდის არჩევნებში გამარჯვებულ, მომავალ პარლამენტართა ფინანსური მდგომარეობა?

ეყოფათ თუ არა მათ, პარლამენტარის ხელფასი, თუ წინამორბედთა მსგავსად ისინიც შავი ბიზნესით იქნებიან დაკავებული?

ხომ არ დაადებინებდით ყველა მათგანს ხელწერილს, რომ მოულოდნელად არ აღმოაჩნდებათ **"ბიზნესმენის ნიჭი"** რომელიც ადრე არ ჰქონიათ?.. არც მათ სიდედრ-სიმამრებს, ცოლიდებსა და ცოლის ძმებს, შორეულ და ახლონათესავებს?

თუ ამას არ იზამთ – ვერაფრით ვერ აცდებით იმ უბედურებას, რამაც ყოფილი ხელისუფლება და მისი პრეზიდენტი გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანა!

ახლა შევნიშნე, მეორედ ვახსენე – **"ყოფილი ხელისუფლება, ნაცები და მისი პრეზიდენტი!"**

აქვე მოგახსენებთ:

ჩვენ ირონიულად არაფერი გვითქვამს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა თვითონვე განაცხადა **"მე და ჩემი გუნდი დღეიდან ოპოზიციაში გადავდივართო!"**

შესაძლოა იგი არც დაფიქრებულა (ჩვენ არც ეს არ გვიკვრს, რადგანაც მას, ცოტა მაინც რომ ეფიქრა, თუ რას აკეთებდა განვლილი ცხრა წლის განმავლობაში, საციხედ არ გაიხდიდა საქმეს!) იმაზე რაც თქვა – **მე ჩემი გუნდის პრეზიდენტი ვარ და გუნდიანად გავდივარ ოპოზიციაშიო!**

გამოდის რომ, საქართველოს მოსახლეობის 60%-ს დღეს პრეზიდენტი არ ჰყავს!

ამიტომაც, ჩვენი გამოთქმები პრეზიდენტისა და მისი გუნდის მიმართ, ჩვენგან წამოსული ირონია არ გახლავთ!

კიდევ ერთი დანაბარები **"ქართული ოცნების"** ლიდერ ბ-ნ ბიძინა ივანიშვილისადმი:

ჩვენ დიდი ხანია უცხოეთში ვცხოვრობთ. ამ ხნის მანძილზე უამრავ დიდ თუ პატარა წარმოებებში გვიმუშავია. სადაც კი გაიგებდნენ, რომ ქართველები ვართ, პირველი იმას გვეკითხებოდნენ რუსული ვიცოდით თუ არა. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ყოველი მათგანი ცდილობდა გამოვეყენებინეთ რუსეთთან ურთიერთობისათვის.

გეკითხებით – თქვენი წინამორბედის მსგავსად თქვენც უპერსპექტივოდ და მეათეხარისხოვნად აცხადებთ რუსული ენის ცოდნას და რუსეთთან ურთიერთობას?

ზემოთ ვახსენეთ უცხოური ფირმების ცხოველი ინტერესი რუსეთთან დაკავშირებით. ცოტა ვრცლად ამის შესახებ – ინფორმაციის სიმწირეს დღეს ვერავინ დაიჩივლებს (**"ნაცების"** მიერ, სამი სატელევიზიო არხით გამოყრუებული, საქართველოს პროვინციებში მცხოვრებთა გარდა!) და საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიო ბაზარი დიდი ხანია გადანაწილებულია და იქ ფეხის შედგმა პრაქტიკულად შეუძლებელია! ერთადერთი, სადაც ჯერ კიდევ არსებობს, ახალი ტექნოლოგიებით და ტექნიკით დამკვიდრების საშუალება ეს რუსეთია!

გამომდინარე აქედან, ვეკითხებით ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს – **მართლა ამოიკვეთეთ ფეხი რუსეთიდან და ამიერიდან არაფერი გაკავშირებთ მასთან?**

თუ ეს მართლა ასეა რატომ ქენით ეს საქმე?

თქვენ, მსოფლიოში ცნობილი საქმიანი ადამიანი, ბანკირი და მეცენატი – **რატომ აჭევეთ სააკაშვილსა და მის უსაქმურთა ბანდას, რომელთაც ყაჩაღობის და ქურდობის გარდა ერთი თეთრი საკუთარი ნიჭის და შრომის შედეგად არ მოუხვეჭიათ?**

ამ რამდენიმე წლის წინ, გაზეთი **„ილორი“** წერდა (მოგვყავს ნაწყვეტი ამ წერილიდან) ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე. ბ-ნი დავით ქობალია, საგაზეთო სტატიაში იხსენებდა საქართველოს პირველ პრეზიდენტ ბატონ ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრას (მაშინ ბ-ნი დავითი კრწანისის რაიონის პრეფექტი გახლდათ), რომელიც მაშინდელი კრწანისის რაიონის საკრებულოს წევრთა ნაწილის პროვოცირებით აგზნებულ მომიტინგეთა გამო მოხდა:

*„...ეროვნული მთავრობის დროსაც გვყავდა ადამიანები, რომლებიც მიტინგების დონეს ვერ გასცდნენ, მაგრამ ქვეყნის გამყიდველები და დამაქცევარნი „შევარდნაძე-უხსენებელმა“ რომ მოიყვანა, წარმოუდგენელი იყო!*

*...ადრე გაზაფხულზე, მთავრობაში მოსულებს, რაიონის ხაზინა დაცარიელებული დაგვხვდა. მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებული, უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე, ბატონი ზვიად გამსახურდიას მიმართვა ქართველი ხალხისადმი – „...ჩვენ ვიწყებთ ახალ ცხოვრებას, თუ კი ვინმეს სახელმწიფოებრივი დონის დანაშაული არ აქვს ჩადენილი, ან ადამიანი არ ჰყავს მოკლული ყველას, ყველაფერი ეპატიება!.. დავუდგეთ ერთმანეთს გვერდში და ვაშენოთ ჩვენი სამშობლო საქართველო!“ ჩვენთვის კანონი იყო და დამნაშავეს კი არ ვეძებდით, არამედ გამოსავალს, ვიდრე ახალფეხადგმული ქვეყანა იმძლავრებდა!..*

*...მაშინ, გათბობის სეზონისთვის სამზადისი ივლისის თვეში იწყებოდა. უსახსროდ დარჩენილებს კრწანისელ ებრაელთა საზოგადოებამ შემოგვთავაზა თანადგომა და ერთერთ საქვაბეში ვიყავი სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად, მდივანმა რომ დამირეკა და მაცნობა – საკრებულოს წევრები მიტინგის გამართვას აპირებენ და სასწრაფოდ თქვენთან უნდათო შეხვედრა!*

*ელდა მეცა. გავიფიქრე – რა დროს მიტინგია –მეთქი! მაგრამ, არ დავახანე და რამდენიმე წუთში სათათბირო დარბაზში ვისხედით, რაიონის სამოცზე მეტ, მცირე და დიდი წარმოების ხელმძღვანელებთან ერთად!*

*მიტინგის მიზეზი ვიკითხე – პრეზიდენტს რუსეთიდან ნედლეულის შემოტანა აუკრძალავს და ჩვენი რაიონის წარმოებების ურჩი ხელმძღვანელები ჯიუტად აგრძელებენ ჩვენს მტრებთან ურთიერთობასო!..*

*ჩამოარაკრაკა საკრებულოს ერთმა წევრმა, რომელიც ინტრიგანობის გარდა არაფრით გამოირჩეოდა!*

*ვიკითხე – კიდევ ხომ არა გაქვთ რაიმე საკითხი გასარკვევი –მეთქი!*

*– ამაზე მეტი მნიშვნელოვანი რა უნდა იყოსო, მომახალა მომხსენებელმა!*

*– მაშინ, სამთავრობო ხელმძღვანელობასთან დასაკავშირებელი ორი ტელეფონი არსებობდა – ოთხნიშნა პატარა მთავრობად წოდებული და სამნიშნა დიდი მთავრობა! ორივე, მაშინდელი საკომუნიკაციო საშუალება, სათათბირო დარბაზშიც მქონდა და მოსული სტუმრების თანდასწრებით ავკრიფე პრეზიდენტის ნომერი!*

*ჩემდა გასაკვირად თვითონ ბატონმა ზვიადმა აიღო ყურმილი. მეც მაშინვე მოვახსენე კრწანისის პრეფექტი დავით ქობალია გელაპარაკებით-მეთქი!*

*– რა გაგჭირვებიაო დავით! – რომ მიპასუხა, გავთამამდი და პირდაპირ მოვახსენე – დარბაზში კრწანისის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები მიზის, თუ შეიძლება სასწრაფოდ მინდა თქვენთან შეხვედრა, მათ სატკივარზე უნდა მოგახსენოთ – მეთქი!*

*ახლავე წამოდიო და ყურმილიც დადო!*

*– ჩვენი მოკლე საუბარი ყველამ მოისმინა და ახლაც თვალწინ მიდგას იქ დამსწრეთა გაოგნებული სახეები, უთქმელად რომ იკითხებოდა – რა უბრალო და თბილი ადამიანი ყოფილაო ჩვენი პრეზიდენტი!*

*მთავრობის სახლში მისულსაც გამიმართლა – დაუყოვნებლივ შემიშვეს პრეზიდენტთან. ფანჯარასთან მდგარი დამხვდა. გამომეგება, ხელი ჩამომართვა, სკამზე მიმანიშნა და მკითხა – რა გაგჭირვებიათ კრწანისშიო!*

*თბილი მიღებით გათამამებულმა, არაფერი დავუმალე და პირდაპირ მოვახსენე – თქვენ ბრძანება გამოგიციათ, რუსეთიდან ნედლეულის შემოტანის აკრძალვის შესახებ. თუ ეს ასეა, კრწანისის წარმოებების 90% უნდა დავხუროთ მეთქი!*

*გაოცებულმა შემომხედა, მერე თავი ხელებში ჩარგო, კარგა ხანს ასე იყო!..*

*მე ჩემი დამემართა, სანამ რამეს იტყოდა და ვიფიქრე იქნებ არ უნდა მეთქვა-მეთქი! და სწორედ იმ წამს, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა – "მეც მოვკარი ყური ამის მაგვარს, მაგრამ ყურადღება ვერ მივაქციე, უამრავი პრობლემა დაგვხვდა და დაგვიგროვდა მოსაგვარებელი!.." თქვა და კიდევ უფრო ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ისევ თავისთვის განაგრძო – "რუსებს იმდენი ვალი აქვთ ჩვენი ათი წელიწადი ვერ გადმოვზიდავთ იგი ნედლეულით რომ გადაგვიხადონ!.. რუსეთი ჩვენ ფულს არ გადაგვიხდის, ერთადერთი ნედლეულია, რითაც ვალის დაბრუნებას შევიძლებთ და დღესვე მოახსენე ყველა წარმოების ხელმძღვანელს, რაც კი სატრანსპორტო საშუალება გააჩნიათ, ყველას მობილიზება გააკეთონ და ნედლეულის მარაგი შექმნანო!.."*

*გახარებული წამოვედი პრეფექტურაში. სიტყვა-სიტყვით გადავეცი პრეზიდენტის დანაბარები დარბაზში მყოფთ. იქვე საგანგებო ბრძანების ტექსტიც გავამზადეთ რუსეთიდან ნედლეულის შემოტანასთან დაკავშირებით და ასე ჩაეშალათ მორიგი მიტინგი უსაქმეებსა და ინტრიგანებს.*

*...მოგვიანებით გაირკვა – მთავრობისა და რაიონის სტრუქტურებში, მრავლად იყვნენ ადამიანები, რომლებიც ახალფეხადგმული ქვეყნის და მისი მთავრობის წინააღმდეგ მუშაობდნენ!*

*..."შევარდნაძე-უხსენებელის" დაკვეთით და დაფინანსებით, საქართველოს ეროვნული მთავრობის დამხობის შემდეგ, რამდენიმე წელიწადს იმუშავა კრწანისის რაიონის წარმოება-დაწესებულებებმა, ზვიად გამსახურდიას სიტყვიერი განკარგულებით, რუსეთიდან შემოტანილი ნედლეულის ბაზაზე!"*

ბატონო ბიძინა – ინტრიგნებისა და უსაქმურებისგან არც თქვენ და თქვენი მთავრობა იქნებით დაზღვეული, არც თქვენი წინამორბედების მლანძღველები მოგაკლდებათ, რომლებიც, არამც და არამც თქვენი კეთილისმსურველები არ იქნებიან, როგორც ეს ღვარძლით სავსე ვაჟა ადამიამ დაგვანახა!

ჩვენ რა უნდა გასწავლოთ და გირჩიოთ, ჩვენ მხოლოდ ჩვენს გულისტკივისა და სიხარულს გიზიარებთ, თქვენი საქართველოში მოსვლით, სამშობლოში დაბრუნების იმედად რომ გვესახება წლების განმავლობაში სამშობლოწართმეულებს!

**"ილორის წმინდა გიორგი"** გიძღოდეთ წინ ყველა ქართულ საქმეში!

**დავით შოთაძე, კობლენცი, გერმანია,**
**ბივი შავიშვილი, ანტვერპენი, ბელგია,**
**დავით მარიამიძე, ვაალსი, ჰოლანდია,**
**ვასილ ხომერიკი, ანტვერპენი, ბელგია**

# “მე ლექსები გამაფრენენ ცაზე”...

(დარდებად ქცეული ფიქრები ტერენტი გრანელზე)

უზომოდ გვიყვარს და გვედარდება შესანიშნავი ქართველი პესიმისტი პოეტი, გარდაცვალების შემდეგ საკმაო ხნით მივიწყებული ტერენტი გრანელი, რომელიც შესანიშნავმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ლერი ალიმონაკმა თავის ნაწარმოებებიანად გაგვიცოცხლა და ღირსეული ადგილი მიუჩინა დიდ ქართველ შემოქმედთა გალერეაში.

**“ალბათ პირველად იყო, წალენჯიხელებმა რომ უქუდო კაცი ნახეს, თმაგაწეწილი, საწერი ქაღალდებით ხელში, მიუკარებელი და განმარტოებული, რაც აკვირვებდა სოფლის ხალხს. ხშირად გაკვირვება გაღიზიანებაში გადასულა, ხოლო გაღიზიანება აღშფოთებაში. მისი გამომწვევი ცხოვრებით აღშფოთებულნი, ათასნაირ ჭორებს ავრცელებდნენ, ათასნაირ ცილს სწამებდნენ, ცილისწამება, მთელი მისი ცხოვრების ბედისწერად რომ იქცა მერე. ვინ რა იცოდა, რა ღვიოდა მის გულში, რა ძლიერი სიყვარულით უყვარდა თავისი ხალხი, თავისი სოფელი, თავისი ქვეყანა... თითქოს საკუთარ არსებაში ერის დაღლილობასაც კი ატარებდა...”** – წერს ბატონი ლერი ალიმონაკი თავის შესანიშნავ წიგნში **“კვირის წირვები ანუ ცხოვრება ტერენტი გრანელისა”**.

**“შავი წამები მიჰქრიან. ისევ ცოცხალი ვარ, ისევ ვოცნებობ და ისევ ვფიქრობ. დიდი ხანია, რაც ერთმანეთი არ გვინახავს, მაგრამ ჩვენი გულები მაინც ახლოს არიან. ეხლა უფრო განვიცდი შენთან სიახლოვეს. შენ თითქოს შორს იმყოფები ჩემგან და ეს უფრო საშინელს ხდის ჩემს მარტოობას, მე ხომ ყოველთვის მარტოობის ქვეშ ვიფერფლები, და ეს მარტოობა მიყვარს და თან მეშინია... მე შეიძლება მიწას მალე მოვშორდე და ზეცისაკენ წავიდე... რა ვქნა, სად არის ის დიდი ნუგეში, რასაც ადამიანი ყოველთვის ეძებს...”** – ამას უკვე ტერენტი გრანელი სწერს თავის **“უცნაურ”** სიყვარულს – თამარ ჯაფარიძეს. პოეტის ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი ეპიზოდისა და უცნაურად მკაცრი ბედისწერის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორს, თამარ პაიჭაძეს ვესაუბრეთ...

– ტერენტი გრანელი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში არა მხოლოდ საინტერესო პოეტი, არამედ ზოგადად ფიგურაა. კითხვები მისი პიროვნების, ცხოვრების, ბედისწერის გარშემო ყოველთვის არსებობს, რადგან ფაქტია, ის საკმაოდ არაორდინარული ბედის პიროვნება იყო, მტკივნეული სიურპრიზები არგუნა ცხოვრებამ. საერთოდ, როცა ლიტერატურის ისტორიაში მწერალს ვაფასებთ, მის შემოქმედებას დინამიკაში განვიხილავთ – როგორ ჩამოყალიბდა, რა მეთოდოლოგიური გარდასახვა მოხდა მის შემოქმედებაში. ტერენტის შემთხვევაში, ეს პროცესი ნაკლებად ცნობიერდება, რადგან ყველაფერი პირიქით მოხდა – ის მისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი ყოფის ადრეულ ეტაპზე უფრო პოპულარული იყო, ვიდრე მოგვიანებით, რაც მისმა უმძიმესმა ცხოვრებისეულმა ყოფამ გამოიწვია. ყოველდღიური ცხოვრების წესით გრანელი ძალიან ჰგავდა ნიკო ფიროსმანს – ტერენტიც მასავით კიბის ქვეშ ცხოვრობდა. კიბეს ერთი ფარღალალა შეჭედილი ფიცრული კარი ჰქონდა, კარს მიღმა კი ერთი ჭრიალა ტახტი, მაგიდა, ორი სკამი და ერთი ნავთის ლამფა იყო. არანაირი გათბობა და აუცილებელი საცხოვრებელი პირობები არ ჰქონდა.

**– როგორ გახდა ტერენტი კვირკველია ტერენტი გრანელი?**

– ტერენტი გრანელი წალენჯიხიდან ერთი აბგით ჩამოვიდა. თან ჰქონდა გულისხმიერი მეზობლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის – იაკობ შანავას სარეკომენდაციო წერილი ზაქარია ჭიჭინაძისა და იოსებ იმედაშვილისადმი. მათ შეიფარეს პოეტი და ლექსების დაბეჭდვის საქმეშიც უშუამდგომლეს. ტერენტი გრანელის ნამდვილი გვარი **“კვირკველია”**, მეორე ვერსიით კი – **“კვირკვაიაა”**. თბილისში ჩამოსვლისთანავე პოეტი ფსევდონიმად **“გრანელს”** ირჩევს. ამ სიტყვის ეტიმოლოგიის რამდენიმე ვერსია არსებობს, თუმცა ალბათ ყველაზე სწორი ვერსია სიტყვის ლათინური წარმოშობით აიხსნება. **“გრანუმ”** ლათინურად, **“მარცვალს”** ნიშნავს. პოეტი ხშირად ამბობდა: **“მეც პატარა, ობოლი მარცვალი, სამყაროს უმცირესი ნაწილი ვარ”...**

**– ცნობილია მისი უცნაური სასიყვარულო თავგადასავლის შესახებ...**

– ეს ამბავი მის წინააღმდეგობრივ, ემოციურ, ფრთხილ, სათუთ და ამასთანავე, პრინციპულ სულიერ სამყაროს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. პოეტის უახლოესი მეგობარი, გენო ქელბაქიანი, ტერენტის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას დაუმეგობრდა. მისი მოგონების მიხედვით, ტერენტი გრანელს თავისი შემოქმედებითი სრულყოფილების ზენიტში ყოფნისას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო ახალგაზრდებში და უამრავ წერილს იღებდა. ერთ-ერთი, კიევიდან ახალგაზრდა ქალმა გამოუგზავნა. ეს იყო თამარ ჯაფარიძე – იმ დროისათვის კიევში საცხოვრებლად წასული ოფიცრის მეუღლე. წერილის მიხედვით, გრანელის ლექსების კითხვა მისთვის **“ყოველდღიურ სულიერ საზრდოდ”** ქცეულიყო. ამბობდა, რომ თბილისში ყოფნისას საიდუმლოდ უყვარდა პოეტი და ბევრი მისი ლექსი ზეპირად იცოდა. ტერენტი ამ წერილით გაოცებული და აღფრთოვანებული დარჩა. მისი მეგობარი წერს, – რადგან ის ამ ქალს არ იცნობდა, საკითხს ფრთხილად ეკიდებოდა, თუმცა საპასუხო წერილი მისწერა და ამის შემდეგ მათი მიმოწერა რეგულარული გახდა. მეგობრები ამჩნევდნენ, რომ პოეტი სხვაგვარი გახდა, სიხარულისა და ბედნიერებისაგან ცაში დაფრინავდა. საერთოდ, ძალიან დაუდევარი, მოუვლელი იყო, ზოგჯერ ზამთარში თეთრი ტილოს ტანსაცმელი ეცვა; იმ პერიოდში კი ამ მხრივაც გამოიცვალა – ყოველთვის სევდიანსა და მისტიკურს, თვალებშიც სიხარულის სხივი ჩაუდგა. გარშემო მყოფებისთვის საგრძნობი იყო, რომ მის ცხოვრებაში სერიოზული ცვლილება მოხდა. პოეტმა ერთადერთს – გენო ქელბაქიანს გაანდო თავისი საიდუმლო. სწორედ ამ პერიოდში დაწერა ლექსი **“შენს მოლოდინში”...** ერთ-ერთ წერილთან ერთად, თამარმა ტერენტის საკუთარი ფოტოსურათი გამოუგზავნა. ტერენტიმ ის გენო ქელბაქიანს უჩვენა, რომლის თქმითაც, ქალი იმდენად მომხიბვლელი იყო და ისეთი მშვენიერი თვალები ჰქონდა, რომ თავადაც მოინუსხა. ერთხელაც, ტერენტიმ თამარისგან მიიღო წერილი, რომელშიც თავისი გადაწყვეტილების შესახებ ატყობინებდა: მან ოჯახის მიტოვება და ტერენტისთან თბილისში წამოსვლა გადაწყვიტა. პოეტი მოუთმენლად ელოდა ამ დღეს, ადგილს ვერ პოულობდა... დათქმულ დღეს სადგურზე მისულმა გენომ და ტერენტიმ ხალხისგან დაცლილ ვაგონში მარტოდ დარჩენილი ქალბატონი დაინახეს, გვერდით უზარმაზარი ჩემოდნით. როცა გენოს ტერენტისთვის შეუხედავს, სახეზე ფერი არ ედო თურმე პოეტს... მეგობრები ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ ქალს. თამარმა პოეტს ხელი გაუწოდა და მიესალმა, ტერენტიმაც მიუგო: **“გამარჯობა”**. მერე გენოს მიუბრუნდა და უთხრა: **“ჩვენ წავედით, გვეჩქარება!”** – და ადგილიდან მოწყდა. გენო ქელბაქიანი იხსენებს: **“მე არ მინახავს უფრო ნატანჯი სახე, უფრო მწუხარე თვალები, მეც ცრემლი მომერია. ქალი ჩემოდანზე ჩამოჯდა და ცრემლი ვეღარ შეიკავა, ამოიკვნესა და, უნდა ითქვას, მეც ისევე მეტკინა გული, როგორც მას. ძალიან მომეწონა ეს ქალი იმ წუთებში! ნეტა მე მყვარებოდა, ნეტა, მე ვყვარებოდი”**. დაბნეულმა და შეწუხებულმა გენომ ატირებული ქალი ეტლამდე მიაცილა, იქიდან მობრუნებულმა კი მეგობარს დაუწყო ძებნა. მოგვიანებით, ქანდაკებასავით თეთრი და მგლოვიარე პოეტი ფიროსმანის ქუჩის კუთხეში, ბოძზე მიყრდნობილი და ჩუმად მობუტბუტე ნახა... პოეტი თითქოს ცოცხლებში აღარ ეწერა... მეგობრის საყვედურის შემდეგ ესღა თქვა: **“ვაიმე, რამხელა ჩემოდანი ჰქონდა... სად იყო ის ქალი, მე რომ მიყვარდა?! რატომ მწერდა ასეთ ნაზ წერილებს? რად მივწერე მე წერილები? რად დავწერე ლექსი? რად მოვტყუვდი? ახ, რად მემტერება ჩემი მუხთალი ბედი!”** ეს არ მომხდარა იმის გამო, რომ ქალი ან ულამაზო, ან ასაკოვანი იყო. უბრალოდ, ტერენტის ის სხვაგვარი წარმოედგინა, მისი პოეტური წარმოსახვა არ დაემთხვა რეალობას... ეს ქალბატონი კიევში აღარ დაბრუნებულა, საცხოვრებლად თბილისში დარჩა. ტერენტი სადილად ერთ ქალბატონთან დადიოდა, რომელიც ვერის სასაფლაოსთან ახლოს ცხოვრობდა. ერთხელ, ამ ქალის სახლის ფანჯრიდან თამარ ჯაფარიძე დაუნახავს, ფეხზე წამოჭრა თურმე და სხვა ფანჯრიდან მეორე მხარეს გადახტა. მთელი ცხოვრება თავს არიდებდა თამართან შეხვედრას და არც არასოდეს ახსენებდა. მხოლოდ ამ სტრიქონით **“გამოიტირა”: “და სევდა მიპყრობს ისევ და ისევ,/ დაბნელდა ჩემი ოცნების მხარე,/ არყოფნის ღამევ, შენ დამიფარე,/ არყოფნის ღამევ, შენ დამიფარე”/**

პოეტის ამ მორალურ ფიასკოსთან მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მეორე პერიოდის დასაწყისია დაკავშირებული. მის ცხოვრებაში ნელ-ნელა სხვა გარდატეხა დაიწყო. საზოგადოებას თავადვე გაუუცხოვდა და მოგვიანებით, სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდა. გენო ქელბაქიანმა და მისმა რამდენიმე მეგობარმა ტერენტის ჩააკითხეს და იქაურ აღმასკომის თავმჯდომარეს აუხსნეს, რომ ის პოეტი იყო; სთხოვეს, უფრო სათუთად მოპყრობოდნენ და მისთვის გასეირნების საშუალებაც მიეცათ. სწორედ ერთ-ერთი სეირნობისას, ტერენტი თბილისში გამოიპარა. უკვე ამის შემდეგ მისი ცხოვრების უმძიმეს ეპიზოდებს იხსენებენ... ვეღარავის ცნობდა – სრულიად მიუსაფარი, დადიოდა დახეული ტანსაცმლით და ცხოვრობდა ქუჩაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც. მისი ცხოვრების ბოლო 5-6 წელი, ფაქტობრივად, არ იყო ადამიანური ცხოვრება. როგორც უპატრონო მიცვალებული, მიხაილის სახ. საავადმყოფოს პროზექტურაში მიასვენეს, სადაც პოეტი ერთმა პრაქტიკანტმა იცნო. მწერალთა კავშირს შეატყობინეს. დაკრძალვის პროცესიას სულ რამდენიმე ადამიანი მიჰყვებოდა, მათ შორის, ვალერიან გაფრინდაშვილი. საავადმყოფოს გადაღმა, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს, მოგვიანებით კი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

**– ცნობილია, რომ პოეტი ჯერ კიდევ ბავშვობაში, მამის სახელოსნოში გვიან ღამემდე წაღებს კერავდა, შემდგომ მუშაობდა ვაგონების გადამბმელად, კონდუქტორად, საქმიანი ქაღალდები დაჰქონდა სტამბაში... ანუ ცხოვრობდა საკმაოდ პრაქტიკული ცხოვრებით. უფრო მეტად რას მიეწერება მისი ცხოვრების ასეთი ტრანსფორმაცია?**

– პოეტის ოჯახს მატერიალურად ყოველთვის უჭირდა. ვერ ვიტყვი, რომ ბავშვობიდან არ იყო მელანქოლიური. ბავშვობაში თხებსაც მწყემსავდა. ხშირად უნახავთ წალენჯიხის გარეუბანში, ძველი ეკლესიის ნანგრევებში იჯდა და თვალი ცისკენ ჰქონდა მიშტერებული, თან რაღაცას ხმადაბლა ლაპარაკობდა. ძალიან გამხდარს, საოცრად უძირო ლურჯი თვალები ჰქონდა. ჭაბუკობიდანვე მარტოობისა და მელანქოლიისკენ იყო მიდრეკილი. ტერენტი დედინაცვალმა, დარია მებონიამ გაზარდა, რომელიც ერთ-ერთი ნათელი წერტილი იყო მის ცხოვრებაში. მას უფრო სულიერი ობლობა სტანჯავდა, ვიდრე პიროვნული. მიუხედავად მამის წინააღმდეგობისა, ტერენტის უნდოდა, პოეტი ყოფილიყო და ზუსტად ისე წარმართა საკუთარი ცხოვრება, როგორც თავად სურდა. შედგა კიდეც პოეტად – სულ 2 წლის ჩამოსული იყო თბილისში, როცა მისი პირველი ლექსების კრებული გამოვიდა. გამოვიდა ასევე გაზეთი – **“ტერენტი გრანელი”**, სადაც მისი პოეზიის შესახებ ვასილ ბარნოვის, კონსტანტინე გამსახურდიას, ვალერიან გაფრინდაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძისა და სხვა სერიოზულ ლიტერატორთა რეცენზიები იბეჭდებოდა. პოეტს ასევე საშუალება მისცეს, თავისი რედაქტორობით ორი გამოცემა გამოეცა. ეს იყო **“კრონოსის სარკე”** და **“ია”**. მაგრამ მისივე ბუნების გამო, ეს არ გაგრძელდა. ჰონორარს რომ აიღებდა, მეგობრები მუდმივად ეჩხუბებოდნენ, – წადი, ტანსაცმელი, საჭმელი იყიდე, ბინა იქირავეო, – მაგრამ მას ქართველი სიმბოლისტების ცხოვრება მოსწონდა – ისინი დადიოდნენ ორთაჭალის ბაღებში, ქეიფობდნენ დუქნებში... ერთადერთი, ვალერიან გაფრინდაშვილი, შედარებით ლიბერალური ფიგურა, კეთილგანწყობილი იყო ამ ადამიანის მიმართ. პაოლო იაშვილსა და ტერენტის პირდაპირ ხელჩართული ჩხუბი მოუხდათ რამდენჯერმე, რადგან პაოლოს მიაჩნდა, რომ მას არ ჰქონდა უფლება, **“ცისფერყანწელებს”** მიჰკედლებოდა. **“ცისფერყანწელები”** ხაზგასმულად მიდრეკილი იყვნენ ესთეტიზმისკენ და გარეგნული ნიშნებით მათთვის შეუსაბამო ტერენტი გრანელი ვერაფრით მიიღეს. არადა, ტერენტი სულით მაინც სიმბოლისტი იყო.

**– მოგონებების მიხედვით, გალაკტიონი იყო ერთადერთი პოეტი, ვინც მას პატივს სცემდა, პროლეტარი პოეტები კი გრანელზე ზეწოლასაც ახდენდნენ...**

– პროლეტარი პოეტებიდან ხარიტონ

ვარდოშვილთან მეგობრობდა, მაგრამ ვარდოშვილი წერს: ისე მაწყენინა, მისი სახელის ხსენება აღარ მინდოდაო. რაც შეეხება გალაკტიონ ტაბიძეს – ერთხელ ტერენტი ქუჩაში წინ გადაუდგა თურმე და უთხრა: რატომ ამბობენ შენზე, რომ ჩემზე დიდი პოეტი ხარ? მე ვარ შენზე დიდი პოეტიო. გალაკტიონსაც უპასუხია: კი, ძამიკო, შენ ხარ ჩემზე დიდი პოეტიო...

**– მოგონებების თანახმად, ტერენტი გრანელი პოლიტიკაში არასოდეს ერეოდა და არც ხმამაღლა საუბრობდა, თუმცა ნახსენები ისიცაა, რომ ხმამაღლა აკრიტიკებდა სტალინს და მას დიქტატორს უწოდებდა; ხმამაღლა უარყოფდა ასევე “პარტიულ პოეზიას”. როგორც ჩანს, მაინც აღელვებდა პოლიტიკური პროცესები...**

– 20-იანი წლების მთელ ლიტერატურულ ბომონდს **“წითელმა”** ხელისუფლებამ უნდობლობა გამოუცხადა. ეს ცნობილი ფაქტია. ანუ **“წითელმა”** ხელისუფლებამ პირველ მტრებად **“ცისფერყანწელები”**, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე გამოაცხადა. საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებით, მოდერნისტებისადმი იყო არაკეთილგანწყობილი. მაგრამ ტერენტი გრანელს ცალსახად სამშობლოს მოღალატეობა ვერ დააბრალეს, რადგან 1926 წლის შემდეგ იგი პოეტთა სიაში, ფაქტობრივად, აღარ ირიცხებოდა; მასში მოწინააღმდეგეს ვერ ხედავდნენ. პოეტი თავადაც განყენებული იყო პოლიტიკური და იდეოლოგიური პროცესებისგან. ის მისტიკოსი, სხვა მიმართულების, აზრების, ფსიქოლოგიისა და მსოფლმხედველობის **“მონა”** იყო. თავადვე ამბობდა: **“გადავეცემი მსოფლიო ელემენტებს”**. ადამიანის ყოფას, სიკვდილსა და საყოველთაო ფილოსოფიაზე უფრო იყო ორიენტირებული, ვიდრე ყოველდღიურ თემებზე.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს შეუძლიათ **“ჩემი რჩეულის”** სერიის მორიგ ტომად გამოცემული, ტერენტი გრანელის ნაწარმოებთა კრებული შეიძინონ.

***წერილში გამოყენებულია მასალები, რომელიც გამოაქვეყნა ჟურნალმა “გზა”***

# ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲫᲦᲝᲚᲘᲡ ᲐᲮᲡᲐᲠᲔᲑᲐ – "ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲕᲙᲐᲚᲘ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ, ᲘᲡᲔ "ᲑᲐᲑᲐᲡᲐᲦᲔᲑ" ᲨᲔᲜᲪᲝ"

***ამ დღეებში ბევრს საუბრობენ ძმები ახალაიების ბრალეულობაზე. საყურადღებოა, რომ პატიმრებმა უკვე კონკრეტული ფაქტების დასახელება დაიწყეს. პირველი, ვინც დათა ახალაიას უპირისპირდება და სკანდალურ ჩვენებას იძლევა, ირაკლი ოქრუაშვილის მძღოლი, გიორგი ჩიხლაძეა. ამ ბრალდებების შესახებ მისი ადვოკატი, ედიშერ ქარჩავა გვესაუბრა.***

**ᲔᲓᲘᲨᲔᲠ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ:**

– 2011 წლის 30 ივნისს გიორგი ჩიხლაძე უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობისა და ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-ტარების ბრალდებით დააკავეს და პირდაპირ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში (კუდ-ი), დათა ახალაიას კაბინეტში შეიყვანეს. საქმის მასალების მიხედვით თითქოს იკვეთებოდა, რომ ის შეიარაღებული ჯგუფის ორგანიზატორი იყო და ოქრუაშვილთან ერთად, ხელისუფლების დამხობას აპირებდა. ჩიხლაძე კარგად იცნობდა დათა ახალაიას, რადგან ორივე **"ნაციონალები"**, თანამებრძოლები და მეგობრები იყვნენ, ბევრჯერ ერთადაც უქეიფიათ. მერე მათი გზები გაიყო. ჩიხლაძე ირაკლი ოქრუაშვილის პირადი მძღოლი, მცველი, მისი ნათლული და ოჯახთან ძალზე დაახლოებული პირია, ამიტომაც განხორციელდა მასზე ძალადობის წნეხი... როგორც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ამბობს, დათა ახალაია ნარკოტიკით თრობის მდგომარეობაში იმყოფებოდა და პირდაპირ უთხრა, – ხომ იცი, ვინცა ვარ და რისი გამკეთებელიც ვარ; ახლა არ დამიწყო აქ ზდაპრების მოყოლა, ყველაფერი მითხარი, თორემ, როგორც დავგეგმე და მოვკალი გურამ შარაძე, ისე **"გაგასაღებ"** შენცო!.. ჩიხლაძემ რაღაც ჩვენება მისცა. ახალაია გაბრაზდა: შენ რასაც ახლა გვიყვები, ეს ჩვენ ისედაც ვიცით, სხვა დეტალები მითხარიო. მისგან იმაზე მეტ ინფორმაციას ითხოვდნენ, ვიდრე ჰქონდა. სხვა ვერაფერი რომ ვერ ათქმევინეს, მერე უთქვამთ, – ჩვენ დავწერთ და ხელი მოგვიწერეო. ეს ჩვეულებრივი მეთოდია. ვინაიდან დათა ახალაიას ეჭვი შეეპარა, რომ ჩიხლაძე რეალურ ჩვენებას იძლეოდა, პატარა ფლაკონი ამოიღო და მას სახეში რაღაც ნივთიერება შეასხურა. ჩიხლაძე ამბობს, – გონება არ დამიკარგავს, მაგრამ ტანსა და სხეულს, ფაქტობრივად, ველარ ვგრძნობდიო. დასძენს, – ამის შემდეგ, დათა ახალაიამ ხელკეტით სასტიკად მცემაო. მასთან ერთად ამ დროს კაბინეტში იმყოფებოდა რამდენიმე პიროვნება, რომლებსაც ნიღბები ეკეთათ. დათამ გული რომ იჯერა ცემით, მერე სხვებმაც წამარტყესო, – ამბობს ჩიხლაძე.

**– ბატონო ედიშერ, თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი სერიოზულ ბრალდებას უყენებს დათა ახალაიას – პირველ რიგში, გურამ შარაძის მკვლელობას ვგულისხმობ. ამის თქმის რეალური საფუძველი თუ არსებობს? ან რატომ დუმდა აქამდე?**

– მითხრა, – იმ კადრების შემდეგ, რომელიც ტელეეკრანზე უჩვენეს, მორალური უფლება აღარ მაქვს, ჩუმად ვიყოო, – და შარაძის საქმეზე ეს მითხრა. ეს დათა ახალაიას სიტყვები იყო. მან თურმე სხვა პიროვნებებიც ჩამოუთვალა მაშინ; **"ეიფორიაში"** იყო, თან ყვიროდა, – იმ მეთოდით **"გაგასაღებ"** შენცო!.. ჩემთვის სრულიად დასაბუთებულია მისი პოზიცია: რაღა შარაძეზე თქვა და სხვაზე – არა?! მის ქმედებას რომ დამაჯერებლობა მისცემოდა, ალბათ ამიტომ თქვა ასე. ჩიხლაძემ მთხოვა, ეს განცხადება გამეკეთებინა. რაც შეეხება მისი წამების დეტალებს, ეს ჩემთვის ისედაც ცნობილი იყო.

**– რა გაგრძელება ჰქონდა ამ ამბავს?**

– ახალაიას მიერ ნაცემი ჩიხლაძე რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოხვდა. **კუდ**-ში, როცა მის დასაცავად მივედი, პატიმარი ვერსად ვიპოვე. მითხრეს, რომ ბრალი წარუდგინეს და ბრალდების დადგენილება უნდა მიმეღო. დაკავებულის ნახვას ვითხოვდი, მაგრამ არ მახვედრებდნენ. დიდი ბრძოლის შემდეგ მითხრეს, რომ საავადმყოფოში იწვა და ბადრაგი იცავდა. ჩემს კოლეგებთან – ცისმარ ონიანთან და ზვიად ხუხიასთან ერთად წავედი საავადმყოფოში და რაც იქ ვნახეთ, ეს საშინელება იყო: ადამიანს სახე საერთოდ არ უჩანდა, ცემის შედეგად ისე ჰქონდა მთელი სხეული დასივებული, რომ გაოგნებული დავრჩი. რამდენიმე აპარატზე იყო შეერთებული, ვერ ლაპარაკობდა. არსებობს ამის დამადასტურებელი ცნობაც და ის ხელთ მაქვს. დასკვნაში წერია, რომ ჩიხლაძის მდგომარეობა არის მძიმე, განუვითარდა თირკმლის უკმარისობა; ჩამოთვლილია დიაგნოზები და ასევე მითითებულია, რომ საგამოძიებო მოქმედებებში მისი მონაწილეობა არ შეიძლება. იმ რაღაც ნივთიერების შესხურებისა და წამების შემდეგ, როცა მომაკვდავი ჩიხლაძე ბიჭებს ახალაიას კაბინეტიდან გაუყვანიათ, დათას უთქვამს, – კარგი, არ მოკლათ, სისხლი გაუფილტრეთო... ესეც გაკეთდა. გამოძიების საგანი უნდა გახდეს და უნდა დადგინდეს, რა ნივთიერება შეასხურა მან ჩიხლაძეს. რამდენიმე დღე უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა და თვითონაც უკვირს, როგორ გადარჩა. ვერ საუბრობდა, მაგრამ მანიშნა, რომ არ გამეხმაურებინა... იმ დროს რომ გვეყვირა, ჩიხლაძე დღეს ცოცხალი აღარ იქნებოდა. მის სიცოცხლეს გავუფრთხილდით. იურისტები ვართ და ფაქტებით გესაუბრებით... მერე უთხრეს, – ციხის სამკურნალო დაწესებულებაში იმ შემთხვევაში გადაგიყვანთ და გიმკურნალებთ, თუ ხელს მოაწერ და იტყვი, რომ ეს დაზიანებები შენით მიიღეო. ამასაც მოაწერა ხელი. საგამოძიებო ორგანოში მორწმუნე ბიჭები, გამომძიებლები მუშაობენ და მათ ვთხოვდი, – არ მოკლან ეს კაცი, თუ რამე იცის, გამოჩნდება, ეკითხოთ და ისე მივიღოთ მისგან მეტი ინფორმაციამეთქი...

მართალია, მას 6 წელი მისჯილი აქვს საპროცესო გარიგებით, მაგრამ დღემდე არ გადაუყვანიათ სხვა დაწესებულებაში და გლდანის საპყრობილეში რჩება. როცა გადაყვანა მოვითხოვე, მითხრეს, – ნუ წერ განცხადებებს, არავინ გადაიყვანს, სანამ ამას დათა ახალაია არ გადაწყვეტსო. დღეს მხოლოდ რიგითი თანამშრომლები, შემსრულებლები არიან დაკავებულები. ჩიხლაძე კი უშუალოდ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ამხელს ცემა-წამებაში და იმაში, რომ მან თანამედროვე ქიმიური საშუალება გამოიყენა მის წინააღმდეგ. ამას მსვლელობა უნდა მიეცეს და საქმე უნდა აღიძრას. კიდევ ერთ მნიშვნელოვან, სრულიად გაუგებარ და აღმაშფოთებელ დეტალზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ჩიხლაძე ამბობს, – ახალაია ჩემს ცემა-წამებას რომ მორჩა, უბიდან ღვთისმშობლის გამოსახულებით მედალიონი ამოიღო, რომელიც მკერდზე ეკიდა; მაჩვენა, რამდენჯერმე ეამბორა, ჩაიღიმა და ისევ უბეში ჩაიდოო. მას აქვს თუ არა ასეთი მედალიონი, მისმა გარემოცვამ ხომ კარგად იცის, მაგრამ ამ ქცევის ახსნას ვერ ვპოულობ: თუ კაცს აწამებ, ამ დროს ღვთისმშობელი რას გიშველის?!. 13 დეკემბერს ჩიხლაძეს საკანში გაუპატიურებაც დაუპირეს. იმ ხალხიდან დღეს ორი პირი უკვე დაჭერილია. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ციხის სამკურნალო დაწესებულებაში უმკურნალეს, მაგრამ მის ოთახში სულ ჩართული იყო შუქი და ძილის საშუალებას არ აძლევდნენ, ესეც წამების ერთ-ერთი ფორმაა. მერე, როდესაც მთავარ კორპუსში გადაიყვანეს, სპეციალურ საკანში შეაგდეს; იქ მყოფებმა უთხრეს, – მოემზადე, უნდა გაგაუპატიუროთო. შველას ითხოვდა. მაშინვე საქმის კურსში ჩავაყენე დაწესებულების უფროსის მოადგილე და დამპირდა, – რაც ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებო. ალბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ იმავე დღეს ასეთივე განცხადებით მივმართე დათა ახალაიას და ვთხოვე, არ განეხორციელებინათ ძალადობა. სასწაული პრეცედენტია, მაგრამ ახალაიამ გაუპატიურებისგან დაიცვა. დაიცვა კაცმა, რომელმაც ასე სადისტურად აწამა... მერე ისევ პოლიციელებისთვის განკუთვნილ საკანში დააბრუნეს და ახლაც იქ იმყოფება.

**ხ. ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ**

# ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ?!

ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობიაო – უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. ამ გამონათქვამის სისწორე კიდევ ერთხელ დადასტურდა, როდესაც ქართულ ციხეებში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობა საკუთარი თვალით ვიხილეთ. მართალია, ყველამ იცოდა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ყველაფერი რიგზე არ იყო, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას ამ სისტემის სულისჩამდგმელთა ქონებაზე, მათ შემოსავალზე. ამის შესახებ ქართულ პრესაში ადრეც თქმულა და დაწერილა, მაგრამ გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა ჩვენი მკითხველისთვის.

### "ᲡᲐᲗᲣᲗ-ᲮᲐᲗᲣᲜᲘ"

**"სათუთი მინისტრი"** – ამ ეპითეტით მოიხსენიებს **"მაესტროს"** პოპულარული გადაცემა **"ყოველდღიური ა(მ)ბების"** წამყვანი ვასიკო ოდიშვილი ხათუნა კალმახელიძეს, რომელიც გვარწმუნებდა – ქართულ ციხეებში ლამის ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს საკადრისი პირობები შევქმენითო... 2010 წლის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით კალმახელიძე თბილისში, ნიკოლაძის ქუჩაზე, 15 კვმ ფართობის ავტოფარეხს ფლობდა. 2011 წლის ქონებრივი დეკლარაციის თანახმად კი ხათუნა კალმახელიძის ქონებას 100 კვმ ფართობის ბინაც შეემატა, რომელიც კრწანისის პირველ ჩიხში მდებარეობს. ყოფილი მინისტრის უძრავ-მოძრავ ქონებას **"ჰიუნდაის"** მარკის ავტომანქანა და **"როლექსის"** საათიც ამშვენებს. რაც შეეხება მის მიერ გაწეული **"შრომისა და ღვაწლის"** ანაზღაურებას – 2011 წელს ხათუნა კალმახელიძის წლიური შემოსავალი 97 355 ლარი ყოფილა: წლიური ხელფასი 42 480, ხოლო პრემია – 54 875 ლარი (ეს მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ საინფორმაციო სააგენტო **"პირველისა"** და ინფორმაციის თავისუფლებისგან ვითარების ინსტიტუტის ვებ-გვერდებზე).

2012 წელი **"სათუთი"** მინისტრისათვის უიღბლო აღმოჩნდა, რადგან პატიმართა წამების ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა თანამდებობა, რომელსაც ასეთი **"სიყვარულით", "გულმოდგინედ"** ემსახურებოდა.

### ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ "ᲑᲛᲘᲠᲔᲑᲘ"?!

ამ მახინჯი სისტემის ერთ-ერთი შემოქმედი ბაჩო ახალაია, შეიძლება ვიღაცისთვის მართლაც გმირია. გავიხსენოთ, პრეზიდენტმა ის თავდაცვის მინისტრად იმიტომ გადაიყვანა, რომ თურმე პენიტენციურ სისტემაში **"გაქაჩა"**. საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მინისტრების ქონებრივი დეკლარაციებიდან გაირკვა, რომ 2009 წელს ბაჩო ახალაიამ თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე **"სულ რაღაც"** 70 ათას 865 ლარი გამოიმუშავა. 2011 წლის დეკლარაციიდან ირკვევა, რომ თავდაცვის მინისტრმა თბილისში, დოლიძის 46-ში 118 კვმ ფართობის ბინა შეიძინა 80 000 ლარად. წინამძღვრიშვილის 17-ში მდებარე ბინა და სარდაფი კი 120 000 ლარად გაასხვისეს.

ალბათ, მკითხველს დააინტერესებს, როგორი იყო **"ჩვენი დროის გმირის"** ანაზღაურება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ მუშაობისას. ბაჩო ახალაიამ ამ თანამდებობაზე მუშაობისას მიიღო, 2006 წელს 32 000 ლარი, ხოლო 2007 წელს – 26 000 ლარი.

არანაკლებ შემოსავლიანი ყოფილა პენიტენციური სისტემა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ დიმიტრი შაშკინისათვის: 2009 წელს ამ პოსტზე მუშაობისას შაშკინს 70 886 ლარი გამოუმუშავებია, აქედან წლიური ხელფასი 42 480 ლარს, ხოლო პრემია 28 406 ლარს შეადგენდა.

### ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ "ᲑᲛᲘᲠᲘ", ᲑᲕᲐᲠᲐᲓ – ᲭᲐᲙᲣᲐ

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ყოფილი მადალჩინოსნის, დავით ჭაკუას შემოსავალი 2008 წელს 38 000 ლარი ყოფილა, აქედან წლიური ხელფასი 24 600 ლარი, ხოლო პრემია – 13 400 ლარი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ყოფნისას, 2010 წელს, ჭაკუას წლიური შემოსავალი 70 250 ლარი იყო: აქედან წლიური ხელფასი 30 240, ხოლო პრემია – 40 010 ლარს შეადგენდა. 2011 წელს ჭაკუას წლიური შემოსავალი კიდევ უფრო გაიზარდა და 93 090 ლარი გახდა, საიდანაც წლიური ხელფასი 30 240 ლარი იყო, ხოლო პრემია – 62 850 ლარი.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, თუმცა ჩვენს საზოგადოებაში გაჩნდა კიდევ ერთი მტკივნეული კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს – რისთვის ვუხდიდით ამ ხალხს პრემიებს – პატიმრების ცემა-ტყეპისა და წამებისთვის?!

**ხ. ᲩᲘᲒᲝᲒᲘᲫᲔ**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ზვიად სიჭინავა: საქართველოს ნაკრებს ახალი სისხლი სჭირდება

გვესაუბრება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა:

**– სამი წელი შესრულდა, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხართ. რას გვეტყოდით განვლილ პერიოდზე?**

– უშუალოდ საფეხბურთო საკითხებზე არასდროს ვსაუბრობ, რადგან პური მეპურემ უნდა გამოაცხოს. მე შემიძლია გესაუბროთ მხოლოდ ფინანსურ და ინფრასტრუქტურულ საკითხებსა და პრობლემებზე.

უპირველესად, რასაც ხაზგასმით აღვნიშნავ, ის არის, რომ ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში თერთმეტი სტადიონისა და ტექნიკურ ცენტრ **"ბასას"** რეაბილიტაცია განხორციელდა.

სტადიონებს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა თბილისში (**"მიხეილ მესხი"**), გორში, ფოთში, ქობულეთში, ლანჩხუთში, სამტრედიაში, მცხეთაში, რუსთავში, ქუთაისში, განმუხურსა და თელავში.

**– როგორ აფასებთ ქართულ სტადიონებზე ხელოვნური საფარის დაგების ტენდენციას?**

– მე ამის წინააღმდეგი ვარ. ყველაფრის მიზეზი ის არის, რომ რაიონებში არ აქვთ ალტერნატიული მოედნები ბავშვთა ჯგუფებისთვის და ამიტომ უფროსებიც, დუბლებიცა და ბავშვებიც ამ ერთ ხელოვნურ მოედანზე ვარჯიშობენ და თამაშობენ.

სწორედ ეს არის ხელოვნური მოედნის უპირატესობა, თორემ, რა თქმა უნდა, მისი დაგება კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული. თანაც, ბუნებრივი და ხელოვნური საფარის ღირებულება ერთმანეთისგან მცირედით განსხვავდება.

ხელოვნურ მოედანს ამ მხრივ კიდევ უფრო მეტი ყურადღება სჭირდება, თუმცა კლუბების მხრიდან ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიურობას ვერ ვხედავ.

**– ამჟამად თუ მუშაობს ფიფას პროგრამა "გოლი", რომელიც ჩვენნაირ ქვეყნებს საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში ეხმარება?**

– სამწუხაროდ, პროექტი ჯერაც არ განახლებულა, რადგან ფიფასა და უეფას ხელმძღვანელობას შორის სერიოზული დაპირისპირებაა და ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს წყალი აქვს შემდგარი.

**– ვემზადებით ევროპის 2015 წლის სუპერთასის მასპინძლობისთვის, რისთვისაც "მიხეილ მესხის" რეკონსტრუქცია გრძელდება.**

– ყველაფერი კეთდება ამ სტადიონის ევროპულ სტანდარტებამდე მისაყვანად. კეთდება სამი ვიპ-ზონა, ავტოსადგომები, ახალი შესასვლელები და ასე შემდეგ.

უახლოეს პერიოდში ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დეპარტამენტი და საშეჯიბრო განყოფილება სტადიონის შენობაში გადავა სამუშაოდ.

თანამედროვედ მოეწყობა **"მიხეილ მესხის"** გარე მოედანი, სადაც 5-ათას ადგილიანი ტრიბუნა აშენდება და იქ საქართველოს ჩემპიონატის მატჩების გამართვაც იქნება შესაძლებელი.

დეკემბერში უეფას სპეციალური კომისია გვეწვევა, რომელიც აქამდე გაწეულ სამუშაოებს შეაფასებს და ჩვენთან ერთად რეკონსტრუქციის სამომავლო დეტალებზე იმსჯელებს.

**– დიდი პრობლემაა მსაჯობა. რა კეთდება მსაჯობის დონის ასამაღლებლად?**

– მოხარული ვარ, რომ მოდის მსაჯთა ახალი თაობა. საკმაოდ ნიჭიერი და რაც მთავარია, წესიერი ბიჭები არიან და მათ ხელშესაწყობად ყველაფერს გავაკეთებთ.

აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და ხაზგასმით განვაცხადებ, რომ საქართველოს ჩემპიონატში მსაჯთა დანიშვნა მხოლოდ სამსაჯო განყოფილების პრეროგატივაა და კლუბებს ვურჩევ, ნუ აპელირებენ ამა თუ იმ მსაჯის კვალიფიკაციითა თუ წარმომავლობით.

გამოვეხმაურები **"ჩიხურა"-"სიონის"** მატჩის წინ მომხდარ ფაქტს, სადაც მთავარმა მსაჯმა ტრავმის მომიზეზებით უარი თქვა საკუთარი ფუნქციის შესრულებაზე და შეხვედრას სათადარიგო მსაჯი გაუძღვა. ამ უკანასკნელმა ცუდად იმსაჯა და ერთი თვე დაისვენებს, ისევე როგორც მისი ტრავმირებული კოლეგა.

**– საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თემურ ქეცბაიას კონტრაქტი გაუხანგრძლივა. რა კონკრეტული მოთხოვნა წაუყენეთ მას?**

– თემურმა ნაკრები უნდა გააახალგაზრდავოს. გვესმის, რომ ეს ხანმოკლე პროცესი არ არის და ასეთ მძიმე ჯგუფში ჩვენს ნაკრებს მეორე ადგილის დაკავებას ვერ მოვთხოვთ. თუმცა ჩვენმა გუნდმა თითოეულ მატჩში გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლოს. იმაში კი უნდა შევთანხმდეთ, რომ საქართველოს ნაკრებს ახალი სისხლი სჭირდება.

უნდა შეწყდეს ულტიმატუმის ენით საუბარი ნაკრების მწვრთნელთან. ქეცბაია რომ გულღრძო ადამიანი იყოს, ლევან ყენიას ნაკრების კარს სამუდამოდ მიუხურავდა, ამის სანაცვლოდ კი პირადი კონტაქტებით მას ლვოვის **"კარპატიში"** გადასვლაში დაეხმარა.

მწირი ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად, მაქსიმალურად ვცდილობთ, ყურადღება არც ასაკობრივ ნაკრებებს მოვაკლოთ.

ბუნებრივია, კიდევ დიდხანს ვერ მივუახლოვდებით, მაგალითად, გერმანიას, რომლის 17-წლამდელთა ნაკრებსაც სლოვენიაში, ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე შვიდი პედაგოგი და ათი მასწავლებელი ახლდა, აღარაფერს ვამბობ თბილისში ჩამოსულ ესპანელებზე, რომლებმაც მხოლოდ ამ ვიზიტში მილიონი ევრო დახარჯეს.

გერმანელები ვახსენე და გაოგნებულები დავრჩით იმით, რომ ამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა სლოვენიაში ნაკრებს ავტობუსი თვითმფრინავით გაუგზავნა.

**– შეგიძლიათ თქვათ, რომ ჩვენს ჩემპიონატში გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული სკანდალი ამოწურულია?**

– სულაც არა. უეფა საეჭვო მატჩებს სისტემატურად სწავლობს და ჩვენც სისტემატურად ვაწვდით მათთვის საინტერესო თამაშების ვიდეოჩანაწერს. უბრალოდ, ამის მოკვლევა დროში გაწელილი პროცესია და სიახლეები ყოველთვიურად არ არის.

**– რატომ ვერ მოახერხა ფედერაციამ "სოკარის" გარდა სხვა მსხვილი სპონსორის მოზიდვა?**

– ფაქტია, რომ ქართულ კომპანიებს ფეხბურთი დიდად არ აინტერესებთ, **"სოკარის"** მიმართ კი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

წარმოიდგინეთ, აზერბაიჯანულმა კომპანიამ ამდენი გააკეთა ქართული ფეხბურთისთვის და ჩვენი კომპანიები ასე პასიურობენ. ერთ მსხვილ ქართველ ბიზნესმენს საქართველო-ესპანეთის მატჩზე ბანერის შეძენა შევთავაზე, მან კი ჯერ გაიკვირვა, ესპანეთი აქ როგორ ჩამოდისო, მერე კი თქვა, ამ თამაშს წავაგებთ და არ მინდა, ჩემი კომპანია მარცხთან ასოცირდებოდესო.

ძალიან მწყდება გული, რომ საქართველოში ბევრმა არ იცის ფეხბურთის ფასი. არადა, მარადიული არავინ ვართ და მათ შორის არც ფედერაციის ხელმძღვანელობა. ქვეყანაში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, ფეხბურთი კი მუდამ იარსებებს.

**– რა მიგაჩნიათ თქვენი საფეხბურთო მოღვაწეობის მთავარ მიღწევად და შეცდომად?**

– უშეცდომო არავინ ვართ, ეს ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. შეცდომები დავუშვი ხელოვნური მოედნებისთვის უპირატესობის მინიჭებისას, ნაწილობრივ ფედერაციის თანამშრომლებისა თუ ნაკრების მწვრთნელთა დანიშვნისას და ასე შემდეგ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა კი ჩემი ცხოვრების უდიდესი მიღწევაა და ასეთ მნიშვნელოვან როლს ცხოვრებაში სხვაგან ვერ შევასრულებ.

რაც მთავარია, ეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა, რასაც ძალიან კარგად ვაცნობიერებ.

## ილუმორი

**სვანს ცხენი დაეკარგა. ბევრი ეძება, ძალიან იდარდა და ბოლოს გული დაიმშვიდა – კიდევ კარგი, ზედ არ ვიჯექიო...**

* * *

**– ცოლი ვითხოვე! – ამბობს კახელი.**

**– გილოცავ! რა ჰქვია? – ეკითხება მეგობარი.**

**– რექსონა!**

**– ეგ რა სახელია?**

**– რექსონა ყველას სჯობია, ამას წინათ ტელევიზორმა გამოაცხადა: არასოდეს არ გიღალატებსო!**

* * *

**თვითმფრინავის სალონში ჯარისკაცი დგას და გადმოსახტომად ემზადება.**

**– პარაშუტის მოკიდება არ დაგავიწყდეს! – აფრთხილებს სერჟანტი.**

**– პარაშური აუცილებელია? – ეკითხება ჯარისკაცი.**

**– აბა რა, ვერ ხედავ როგორ წვიმს?**

* * *

**– რატომ ზიხარ მთვრალი საჭესთან? – ეკითხება პატრული ქუთაისელს.**

**– აბა, რომ წამოვწვე, ჩამეძინება, უფროსო!**

* * *

**ავტობუსში საშინელი ჭედვაა.**

**– ცოტაც მოითმინეთ და მეოთხე გაჩერებაზე ჩავდივარ.**

**– ეგ კარგია, მაგრამ ჩემი ფეხიდან რომელ გაჩერებაზე ჩამოხვალ? – კნავის მეზობელი მგზავრი.**

## "მე მრცხვენია" – დეკანოზ გიორგი ჯგუშიას მიმართვა ზუგდიდელებს

ზუგდიდში მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, როლანდ ახალაიას გამარჯვებას მაცხოვრის კარის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი ჯგუშია გამოეხმაურა, სადაც ის ამბობს, რომ მას რცხვენია 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების შედეგების, რომელიც ზუგდიდში დაფიქსირდა. მოძღვარი მიმართავს როლანდ ახალაიას და ქალაქის მოსახლეობას, რომელთაც მხარი სწორედ "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" და ახალაიას დაუჭირეს მხარი.

**"ჩემო ძვირფასო ზუგდიდელებო, შემაწუხა სათქმელმა და თავი შემახსენა ცნობილმა აფორიზმმა: "ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების", სინდისმა ასე მიკარნახა,– თქმა სჯობს. ამით მეც გავთავისუფლდები დაგუბებული ნაღველისაგან და ალბათ ბევრი თქვენგანიც გამოუტყდება საკუთარ თავს იმ არჩევანის სიცრუესა და უკეთურებაში, რაც ჩვენმა ქალაქმა და, ალბათ, მთლიანად კუთხემ გააკეთა. ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენ ალბათ შიშით ან სხვა მიზეზით გადავდგით ნაბიჯი და გავაკეთეთ სამარცხვინო არჩევანი. არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას შორის, არჩევანი ღირსებასა და უღირსებას შორის, არჩევანი სიმართლესა და სიცრუეს შორის.**

**იმ ცნობილი საშინელი კადრების შემდეგ გავრცელდა ჭორი, თითქოს როლანდ ახალაიამ კანდიდატურა მოხსნა. ნეტავ მართლაც ასე ყოფილიყო. ეს ბატონიც გადარჩებოდა ღირსების შელახვას და ზუგდიდელებსაც აგვაცილებდა ამ საშინელ სიცრუესა და ფარისევლობას. სამეგრელოში ხომ თითქმის ყოველ მეოთხე-მეხუთე ოჯახს ჰყავს ახლობელი პატიმარი. ეს კი უმეტესწილად ამ პიროვნების სინდისზეა. ბევრი მისი პირადი პატიმარია!!! ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს, ეს სახელმწიფოს მოვალეობაა. მსუბუქად რომ ვთქვა, ყველაფერი პატიოსნად რომ არ იყო, ყველამ კარგად ვუწყით.**

**იმ ხალხში, ვინც ბატონი როლანდის წინასაარჩევნო შეხვედრებს ესწრებოდა და აღფრთოვანებული ტაშს უკრავდა მის გამოსვლებს, ბევრი ნაცნობი სახე ვნახე, როგორც ასაკოვანი ხალხი, ასევე დღეს მოღვაწე პედაგოგები. პატივცემულო მასწავლებლებო, ალბათ სკოლაში რომ ბავშვი რამეს დააშავებს, იცელქებს ან გაკვეთილს არ ისწავლის, თქვენ დატუქსავთ და შენიშვნასაც მისცემთ, მაგრამ ასეთი კადრების შემდეგ თუ გავითვალისწინებთ თქვენს მცდარ არჩევანს, თქვენი აღსაზრდელი რომ შემოგიბრუნდეთ და გითხრათ: რა უფლება გაქვთ ჩვენ ზნეობასა და პატიოსნებაზე გველაპარაკოთო, რა პასუხს გასცემთ მათ? თქვენ ხომ თქვენი სინდისის წინააღმდეგ წახვედით და ამ სუხს გასცემთ მათ? თქვენ ხომ თქვენი სინდისის წინააღმდეგ წახვედით და ამ ყველაფერს გამართლება მოუძებნეთ. დაგვაშინესო, იტყვით ალბათ, მაგრამ, მერწმუნეთ მათაც ექნებათ პასუხი, და ეს პასუხი არ იქნება თქვენთვის სასიამოვნო.**

**ამ წერილს არჩევნების შემდეგ ვწერ, იმიტომ რომ არავინ თქვას, სასულიერო პირები პროპაგანდას ეწევიანო. ჩემი მიზანი სულ სხვაა, მე მრცხვენია და მინდა თქვენც შეგრცხვეთ და დღეის ამას იქეთ მაინც ყური დაუგდოთ საკუთარი სინდისის ხმას და იქნებ რამენაირად სინანული შეძლოთ. ჭეშმარიტი სინანული კი ყველაფერს განსწმენდს.**

**ბატონო როლანდ, თქვენც იმავეს გისურვებთ, სინანული მოგმადლოთ ღმერთმა.**

**ქრისტესმიერი სიყვარულით უღირსი დეკანოზი გიორგი ჯგუშია".**

ISSN 1987-8966 "ილორი"
9 771987 896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge